⁵ შეფასების მიდგომები: **საჭიროების შემთხვევაში** აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

1.5 სასწავლო კურსი/საგანი	კლასტერული და ინდივიდუალური
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	კლასტერული და ინდივიდუალური
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	კლასტერული
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	კლასტერული
2.4. სტუდენტების შეფასება	კლასტერული
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	
3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერი სერვისები	კლასტერული
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	კლასტერული
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	
4.1. ადამიანური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	კლასტერული და ინდივიდუალური
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	კლასტერული
4.4. მატერიალური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	კლასტერული და ინდივიდუალური
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.2. გარე ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	კლასტერული

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

აღწერა: კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების მიზნებია, გააგრძელოს თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის, ასევე დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის რომანული ფილოლოგიის კათედრის ტრადიციები და განახორციელოს სწავლება და კვლევა კლასიკური, შუა საუკუნეების ბერძნული და ლათინური, ახალი ბერძნული და რომანული ენების ფილოლოგიის სხვადასხვა პრობლემატიკაზე.

საგანმანათლებლო პროგრამები მიზნად ისახავს, მისცეს სტუდენტს დარგის თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი განათლება, მოამზადოს დარგის კონკურენტუნარიანი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, განახორციელოს კვლევა კოლეგიალურ აკადემიურ გარემოში და შექმნას სამეცნიერო-კვლევითი პროექტები ინოვაციური მიდგომებით, საერთაშორისო სასწავლო-კვლევითი ცენტრების ჩართულობითა და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებით.

ანალიზი: კლასტერში დაჯგუფებულია ორი საფეხურის (BA, MA) 8 საგანმანათლებლო პროგრამა, ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის და რომანული ფილოლოგიის მიმართულებით,

არგუმენტირებულადაა დასაბუთებული კლასტერში ზემოთ აღნიშნული პროგრამების დაჯგუფების საფუძველი - წარმოდგენილი „პროგრამების ენების ორგანული კავშირით“.

აკრედიტაციისთვის წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული; რა წვლილი შეაქვთ მათ საზოგადოების განვითარებაში. კერძოდ, მიზნად ისახავს, წვლილი შეიტანოს ჰუმანიტარული და ფილოლოგიური ცოდნის გაცვლა-გავრცელებაში და ხელს უწყობს ქვეყანაში დემოკრატიული, ზოგადსაკაცობრიო ჰუმანისტური და მულტიკულტურული ღირებულებების დამკვიდრებას.

პროგრამები შეესაბამება როგორც უნივერსიტეტის ზოგად მისიას, მიზნებსა და სტრატეგიებს, ასევე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრატეგიას. პროგრამები თავისი მიზნებით, შინაარსითა და სწავლის შედეგებით, ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით (ჩატარებულია საგანგებო კვლევა) და ინტერვიუს შედეგებით.

მოქმედი პროგრამები საჯარო და ხელმისაწვდომია (დასტურდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციით). პროგრამების მიზნები, ძირითადად, გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ, რაც დადასტურდა ინტერვიუებით.

პროგრამები შექმნილია როგორც უნივერსიტეტის საკუთარი გამოცდილების, ასევე უცხოური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების გამოცდილების საფუძველზე (თუმცა ყველა პროგრამას არ ახლავს შესაბამისი მტკიცებულება. მაგ., რომანისტიკის მიმართულების პროგრამებს), გათვალისწინებულია სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების შედარებითი ანალიზის საფუძველზე, რაც დადასტურდა როგორც პროგრამის ხელმძღვანელებთან საუბრისას, ასევე წარმოდგენილ თვითშეფასების დოკუმენტაციაშიც.

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნები სრულიად შეესაბამება ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს, რომელშიც გათვალისწინებულია სფეროს მიმართ მოთხოვნები და დარგის განვითარების თავისებურებანი.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 - კლასიკური ფილოლოგია, პირველი საფეხური⁶

⁶ აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

აღწერისა და ანალიზის ველი გთხოვთ, გაიმეოროთ პროგრამების რაოდენობის შესაბამისად, მაგალითად, პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური), პროგრამა 3 (სახელწოდება, საფეხური) და ა.შ. (მითითების ეს ფორმატი, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველი შემდგომი კომპონენტის შეფასების დროს).

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

აღწერა: კლასიკური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა იძლევა ფართო ჰუმანიტარულ-ფილოლოგიურ განათლებას, კლასიკური ფილოლოგიის სპეციალობის კურსდამთავრებულთა თეორიული ცოდნა და პრაქტიკული საქმიანობა ხელს შეუწყობს როგორც ანტიკური კულტურული ღირებულებების შესწავლასა და კლასიკური ფილოლოგიის განვითარებას, ისე ქართული ლიტერატურის, ხელოვნებისა და კულტურის, საქართველოს ევროპული იდენტობის სიღრმისეულ გააზრებას ანტიკურობისა და ევროპული ცივილიზაციის კონტექსტში.

კლასიკური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია კლასიკური ფილოლოგიის სპეციალისტების მომზადება საზოგადოების ინტელექტუალური განვითარებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით და კურსდამთავრებულების აღჭურვა როგორც კლასიკურ ფილოლოგიასთან, ისე, ზოგადად, ჰუმანიტარულ და ფილოლოგიურ მეცნიერებებთან დაკავშირებული უახლესი და მულტიდისციპლინური ცოდნით, დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) უნარებით.

პროგრამის კონკრეტული მიზნები (ანტიკური სამყაროს ენობრივი, ლიტერატურული, ისტორიულ-კულტურული თავისებურებების გააზრება სინქრონულ და დიაქრონულ ჭრილში; ანტიკური ლიტერატურის ნიმუშების თარგმნა კლასიკური ენებიდან ქართულად და, ამგვარად, წვლილის შეტანა საზოგადოების კულტურული განვითარების პროცესში; ანტიკური ლიტერატურის ძირითადი პრობლემატიკის, კონცეპტუალური და სტილისტური თავისებურებების ანალიზი; სხვადასხვა ჟანრისა და შინაარსის ტექსტების რედაქტირება პროგრამის ფარგლებში გამომუშავებული ფილოლოგიური კომპეტენციების გამოყენებით; მასმედიის სფეროში, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საჯარო სექტორში საქმიანობა არა მხოლოდ კლასიკურ ფილოლოგიასთან, არამედ ზოგადად ჰუმანიტარულ და ფილოლოგიურ მეცნიერებებთან დაკავშირებული ცოდნის, სხვადასხვა (კოგნიტური, მეთოდოლოგიური, ტექნოლოგიური, სისტემური, საკომუნიკაციო, სოციალური და სხვ.) უნარებით რეალისტური და მიღწევადია, რაც განპირობებულია პროგრამის სტრუქტურით, ადეკვატური სწავლა/სწავლების მეთოდების, სასწავლო და კვლევითი კომპონენტების გამოყენებით.

ანალიზი: პროგრამის მიზნები შეესაბამება საბაკალავრო საფეხურს, ლოგიკური, რეალისტური და მიღწევადია და აძლევს სტუდენტს ფართო დარგობრივ ცოდნას როგორც კლასიკური ფილოლოგიის, ასევე ზოგადად, ფილოლოგიისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სფეროში.

პროგრამის მიზნების შესაბამისად მომზადებული სპეციალისტების დასაქმების სფეროდ განსაზღვრულია როგორც ძირითადი სპეციალობის, ასევე მომიჯნავე სფეროები, საგანმანათლებლო-კულტურულ-სოციალური დაწესებულებები, საჯარო სამსახური, არასამთავრობო ორგანიზაციები.

პროგრამის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში არსებული საუკეთესო გამოცდილება.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 - ბიზანტიური ფილოლოგია, პირველი საფეხური

აღწერა: ბიზანტიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა იძლევა ფართო ჰუმანიტარულ-ფილოლოგიურ განათლებას, ხოლო პროგრამის მულტიდისციპლინური პროფილის გამოკურსდამთავრებულებს აქვთ არა მხოლოდ ბიზანტიური ფილოლოგიის, არამედ ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა პროფილით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

ბიზანტიური ფილოლოგიის სპეციალობის კურსდამთავრებულთა თეორიული ცოდნა და პრაქტიკული საქმიანობა ხელს შეუწყობს როგორც ბიზანტიური კულტურული ღირებულებების შესწავლასა და ბიზანტიური ფილოლოგიის განვითარებას, ისე ქართული ლიტერატურის, ხელოვნებისა და კულტურის, საქართველოს მართლმადიდებლური იდენტობის სიღრმისეულ გააზრებას ბიზანტიური და ქრისტიანული ცივილიზაციის კონტექსტში.

ბიზანტიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია ბიზანტიური ფილოლოგიის სპეციალისტების მომზადება საზოგადოების ინტელექტუალური განვითარებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით და კურსდამთავრებულების აღჭურვა როგორც ბიზანტიურ ფილოლოგიასთან, ისე ზოგადად ჰუმანიტარულ და ფილოლოგიურ მეცნიერებებთან დაკავშირებული უახლესი და მულტიდისციპლინური ცოდნით, დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) უნარებით, რომ მათ შეძლონ: ბიზანტიური სამყაროს ენობრივი, ლიტერატურული, ისტორიულ-კულტურული თავისებურებების - როგორც ევროპული ცივილიზაციის საწყისების - გააზრება სინქრონულ და დიაქრონულ ჭრილში; ბიზანტიური ლიტერატურის ნიმუშების თარგმნა ბიზანტიური (შუა საუკუნეების) ბერძნული და შუა საუკუნეების ლათინური ენებიდან ქართულად და, ამგვარად, წვლილის შეტანა საზოგადოების კულტურული განვითარების პროცესში; ბიზანტიური ლიტერატურის ძირითადი პრობლემატიკის, კონცეპტუალური და სტილისტური თავისებურებების ანალიზი, ქართული თარგმანებისთვის ენათმეცნიერული და ლიტერატურათმცოდნეობითი კომენტარების მომზადება; სხვადასხვა ჟანრისა და შინაარსის (მხატვრული, პუბლიცისტური, სამეცნიერო და სხვ.) ტექსტების რედაქტირება პროგრამის ფარგლებში გამომუშავებული ფილოლოგიური კომპეტენციების გამოყენებით; მასმედიის სფეროში, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საჯარო სექტორში, სასულიერო-საგანმანათლებლო პროფილის ორგანიზაციაში საქმიანობა საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შეძენილი არა მხოლოდ ბიზანტიურ ფილოლოგიასთან, არამედ ზოგადად ჰუმანიტარულ და ფილოლოგიურ მეცნიერებებთან დაკავშირებული ცოდნის, სხვადასხვა (კოგნიტური, მეთოდოლოგიური, ტექნოლოგიური, სისტემური, საკომუნიკაციო, სოციალური და სხვ.) უნარების გამოყენებით.

ანალიზი: აღნიშნული მიზნები სრულიად შეესაბამება საბაკალავრო საფეხურს და აძლევს სტუდენტს ფართო დარგობრივ ცოდნას როგორც ბიზანტიური ფილოლოგიის, ასევე ზოგადად, ფილოლოგიისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სფეროში, სძენს მას ისეთ ზოგად ტრანსფერულ

უნარებს, რომ ეს მიღებული ცოდნა და უნარები უზრუნველყოფდეს სტუდენტის დასაქმებას როგორც სასპეციალიზაციო, ისე მომიჯნავე სფეროებში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 - ახალი ბერძნული ფილოლოგია, პირველი საფეხური

აღწერა: ახალი ბერძნული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა იძლევა ფართო ჰუმანიტარულ-ფილოლოგიურ განათლებას, ხოლო პროგრამის მულტიდისციპლინური პროფილის გამო კურსდამთავრებულებს აქვთ არა მხოლოდ ახალ ბერძნული ფილოლოგიის, არამედ ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა პროფილით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

ახალ ბერძნული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია ახალ ბერძნული ფილოლოგიის სპეციალისტების მომზადება საზოგადოების ინტელექტუალური განვითარებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით და კურსდამთავრებულების აღჭურვა როგორც ახალ ბერძნულ ფილოლოგიასთან, ისე ზოგადად ჰუმანიტარულ და ფილოლოგიურ მეცნიერებებთან დაკავშირებული უახლესი და მულტიდისციპლინური ცოდნით, დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) უნარებით, რომ მათ შეძლონ: თანამედროვე საბერძნეთის - როგორც ანტიკური საბერძნეთის მემკვიდრის და ერთ-ერთი ევროპული ქვეყნის - ენობრივი, ლიტერატურული, ისტორიულ-კულტურული თავისებურებების გააზრება; თანამედროვე ბერძნული ლიტერატურის ნიმუშების თარგმნა ახალი ბერძნული ენიდან ქართულად და, ამგვარად, წვლილის შეტანა საზოგადოების კულტურული განვითარების პროცესში; თანამედროვე ბერძნული ლიტერატურის ძირითადი პრობლემატიკის, კონცეპტუალური და სტილისტური თავისებურებების ანალიზი, ქართული თარგმანებისთვის ენათმეცნიერული და ლიტერატურათმცოდნეობითი კომენტარების მომზადება; სხვადასხვა ჟანრისა და შინაარსის (მხატვრული, პუბლიცისტური, სამეცნიერო და სხვ.) ტექსტების რედაქტირება პროგრამის ფარგლებში გამომუშავებული ფილოლოგიური კომპეტენციების გამოყენებით;

ახალი ბერძნული ფილოლოგიის სპეციალობის კურსდამთავრებულთა თეორიული და პრაქტიკული საქმიანობა მომავალში ხელს შეუწყობს როგორც თანამედროვე ბერძნული კულტურული ფასეულობების შესწავლასა და ახალი ბერძნული ფილოლოგიის განვითარებას, ისე ორ ქვეყანას შორის უკვე არსებული ურთიერთობების, ქართულ-ბერძნული მრავალსაუკუნოვანი და მრავალმხრივი კავშირების გაღრმავებას.

შეფასება: ახალი ბერძნული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია ბერძნული ენის ისეთი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც, გარდა ახალი ბერძნულისა, ზოგადად ჰუმანიტარულ და ფილოლოგიურ მეცნიერებებთან დაკავშირებული უახლესი და მულტიდისციპლინური ცოდნითაა აღჭურვილი, გააზრებული აქვთ თანამედროვე საბერძნეთის, როგორც ანტიკური საბერძნეთის მემკვიდრის და ერთ-ერთი ევროპული ქვეყნის, ენობრივი, ლიტერატურული, ისტორიულ-კულტურული თავისებურებები; აქვთ დარგობრივი და ტრანსფერული უნარები: შეუძლიათ თანამედროვე ბერძნული ლიტერატურის თარგმნა ახალი ბერძნული ენიდან ქართულად; ლიტერატურის ანალიზი, ენათმეცნიერული და

ლიტერატურათმცოდნეობითი კომენტარების მომზადება; ტექსტების რედაქტირება; პროგრამის კურსდამთავრებულები პროგრამის ფარგლებში შეძენილი ცოდნითა და უნარებით შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებს: ისინი შეიძლება დასაქმდნენ მასმედიის სფეროში, არასამთავრობო ორგანიზაციებში და საჯარო სექტორში, დიპლომატიურ წარმომადგენლობებში. როგორც დამსაქმებლებთან ინტერვიუმ აჩვენა, უკვე არის ხანგრძლივი გამოცდილება მათი სსიპ მწერალთა სახლში, სსიპ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრთან (მათ შორის, უფროსკურსელთა სტაჟირებისაც), სსიპ ეროვნულ არქივთან, მუზეუმებში, საქართველოში მცხოვრებ ბერძენთა ასოციაციასა და საქართველოს საელჩოში დასაქმებისა. ახალი ბერძნული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა სახის დოკუმენტაციაზე, ასევე სააკრედიტაციო ვიზიტისას უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალთან განხორციელებულ ინტერვიუებზე დაყრდნობით დგინდება, რომ აღნიშნული პროგრამა თავისი მიზნებითა და შინაარსით სრულად შეესაბამება თსუ-სა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფ-ტის მისიას. კერძოდ, იგი უზრუნველყოფს ახალი ბერძნული ფილოლოგიის სპეციალისტების მომზადებას საზოგადოების ინტელექტუალური განვითარებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით და კურსდამთავრებულების აღჭურვას როგორც ახალ ბერძნულ ფილოლოგიასთან, ისე ზოგადად ჰუმანიტარულ და ფილოლოგიურ მეცნიერებებთან დაკავშირებული უახლესი და მულტიდისციპლინური ცოდნით, დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) უნარებით.

ახალი ბერძნული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის განმახორციელებლებთან (როგორც აფილირებულ, ასევე მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან) და სტუდენტებთან გამართულმა გასაუბრებებმა ცხადყო, რომ პროგრამის მიზნები გაზიარებულია მასში ჩართული პირების მიერ.

პროგრამის მიზანი სრულიად შეესაბამება ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს, რომელშიც გათვალისწინებულია სფეროს მიმართ მოთხოვნები და დარგის განვითარების თავისებურებანი.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 - ბერძნულ-რომაული ფილოლოგია, მეორე საფეხური

აღწერა: ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულთა თეორიული და პრაქტიკული საქმიანობა მომავალში ხელს შეუწყობს: ანტიკური, ბიზანტიური და თანამედროვე ბერძნული კულტურული ღირებულებების შესწავლასა და ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის განვითარებას; ქართული ლიტერატურის, ხელოვნებისა და კულტურის სიღრმისეულ გააზრებას ანტიკურობის, ბიზანტიური და ევროპული ცივილიზაციის კონტექსტში; საქართველოსა და საბერძნეთს შორის უკვე არსებული ურთიერთობების, ქართულ-ბერძნული მრავალსაუკუნოვანი და მრავალმხრივი კავშირების გაღრმავებას.

სამაგისტრო პროგრამის აქტუალობას განაპირობებს: საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიული და კულტურული კონტაქტები როგორც ანტიკურ საბერძნეთთან და რომთან, ისე

ბიზანტიასთან და თანამედროვე საბერძნეთთან; საქართველოში მნიშვნელოვანი ბერძნული დიასპორის არსებობა; ანტიკური და ბიზანტიური სამყაროს როლი და მნიშვნელობა როგორც ევროპული ცივილიზაციის, ისე ქართული კულტურის ფორმირების პროცესში, ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის როლი და ადგილი მსოფლიოს ყველა წამყვანი უნივერსიტეტის კურიკულუმში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მრავალწლოვანი სამეცნიერო კონტაქტები კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის წამყვან საერთაშორისო სამეცნიერო და სასწავლო ცენტრებთან და ამ ტრადიციის გაღრმავების აუცილებლობა.

ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მიზნად ისახავს ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის – კლასიკური, ბიზანტიური ან ახალბერძნული ფილოლოგიის – სპეციალისტების მომზადებას, რომელთა დარგობრივი ცოდნა, სხვადასხვა (კოგნიტური, მეთოდოლოგიური, ტექნოლოგიური, სისტემური, საკომუნიკაციო, სოციალური და სხვ.) უნარები და ზოგადი კომპეტენციები უზრუნველყოფს მათ დასაქმებას დიდაქტიკურ და სამეცნიერო, მთარგმნელობით, საგამომცემლო, მასმედიის სფეროებში, სასულიერო-საგანმანათლებლო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, საჯარო სექტორში და სხვ. ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა იძლევა სწავლის შესაბამისი დეტალური სფეროების ღრმა და სისტემურ ცოდნას და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ჩვევებს, ხოლო პროგრამის მულტიდისციპლინური პროფილის გამო კურსდამთავრებულებს აქვთ არა მხოლოდ კლასიკური, ბიზანტიური ან ახალბერძნული ფილოლოგიის, არამედ ზოგადად ფილოლოგიურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფართო პროფილით სწავლის გაგრძელების პერსპექტივა. ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა მიზნებია: 1. ბერძნულ-რომაული სამყაროს ენობრივი, ლიტერატურული, კულტურული თავისებურებებისა და ძირითადი მახასიათებლების - შესწავლა და გააზრება სინქრონულ და დიაქრონულ ჭრილში; 2. ანტიკურობის გავლენისა და მნიშვნელობის შესწავლა ბიზანტიური და ახალი ბერძნული ლიტერატურისა და კულტურის ფორმირების პროცესში; 3. ანტიკური, ბიზანტიური და ახალი ბერძნული ლიტერატურის ნიმუშების თარგმნა კლასიკური (ძველი ბერძნული და ლათინური), შუასაუკუნეების ბერძნული და ლათინური, ახალი ბერძნული ენებიდან ქართულად და, ამგვარად, წვლილის შეტანა საზოგადოების კულტურული განვითარების პროცესში; 4. დიდაქტიკურ და სამეცნიერო, მთარგმნელობით, საგამომცემლო, მასმედიის სფეროებში, სასულიერო-საგანმანათლებლო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, საჯარო სექტორში საქმიანობა სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შეძენილი ცოდნის, სხვადასხვა (კოგნიტური, მეთოდოლოგიური, ტექნოლოგიური, სისტემური, საკომუნიკაციო, სოციალური და სხვ.) უნარების გამოყენებით.

ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულთა თეორიული და პრაქტიკული საქმიანობა მომავალში ხელს შეუწყობს: ანტიკური, ბიზანტიური და თანამედროვე ბერძნული კულტურული ღირებულებების შესწავლასა და ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის განვითარებას; ქართული ლიტერატურის, ხელოვნებისა და კულტურის სიღრმისეულ გააზრებას ანტიკურობის, ბიზანტიური და ევროპული ცივილიზაციის

კონტექსტში; საქართველოსა და საბერძნეთს შორის უკვე არსებული ურთიერთობების, ქართულ-ბერძნული მრავალსაუკუნოვანი და მრავალმხრივი კავშირების გაღრმავებას. სამაგისტრო პროგრამის აქტუალობას განაპირობებს: საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიული და კულტურული კონტაქტები როგორც ანტიკურ საბერძნეთთან და რომთან, ისე ბიზანტიასთან და თანამედროვე საბერძნეთთან; საქართველოში მნიშვნელოვანი ბერძნული დიასპორის არსებობა; ანტიკური და ბიზანტიური სამყაროს როლი და მნიშვნელობა როგორც ევროპული ცივილიზაციის, ისე ქართული კულტურის ფორმირების პროცესში, ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის როლი და ადგილი მსოფლიოს ყველა წამყვანი უნივერსიტეტის კურიკულუმში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მრავალწლოვანი სამეცნიერო კონტაქტები კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის წამყვან საერთაშორისო სამეცნიერო და სასწავლო ცენტრებთან და ამ ტრადიციის გაღრმავების აუცილებლობა.

ანალიზი: აღნიშნული მიზნები სრულიად შეესაბამება სამაგისტრო საფეხურს და აძლევს სტუდენტს ღრმა და სისტემურ დარგობრივ ცოდნას ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის სფეროში, სძენს მას ისეთი კვლევით და ზოგად ტრანსფერულ უნარებს, რომ ეს მიღებული ცოდნა და უნარები უზრუნველყოფდეს მის დასაქმებას როგორც სასპეციალიზაციო, ისე მომიჯნავე სფეროებში. პროგრამის მიზანი სრულიად შეესაბამება ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს, რომელშიც გათვალისწინებულია სფეროს მიმართ მოთხოვნები და დარგის განვითარების თავისებურებანი.

ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა სახის დოკუმენტაციაზე, ასევე სააკრედიტაციო ვიზიტისას უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალთან განხორციელებულ ინტერვიუებზე დაყრდნობით დგინდება, რომ აღნიშნული პროგრამა თავისი მიზნებითა და შინაარსით სრულად შეესაბამება თსუ-სა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მისიას. კერძოდ, იგი უზრუნველყოფს ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის – კლასიკური, ბიზანტიური ან ახალბერძნული ფილოლოგიის – სპეციალისტების მომზადებასა და მათ აღჭურვას დარგობრივი ცოდნითა და სხვადასხვა უნარებით თუ ზოგადი კომპეტენციებით.

ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა იძლევა სწავლის შესაბამისი დეტალური სფეროების ღრმა და სისტემურ ცოდნასა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის საჭირო აუცილებელ ჩვევებს, ხოლო პროგრამის მულტიდისციპლინური პროფილის გამო კურსდამთავრებულებს აქვთ არა მხოლოდ კლასიკური, ბიზანტიური ან ახალბერძნული ფილოლოგიის, არამედ ზოგადად ფილოლოგიური და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფართო პროფილით სწავლის გაგრძელების პერსპექტივა.

ბერძნულ-რომაული სამაგისტრო პროგრამის განმახორციელებლებთან (როგორც აფილირებულ, ასევე მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან) და სტუდენტებთან გამართულმა გასაუბრებებმა ცხადყო, რომ პროგრამის მიზნები გაზიარებულია მასში ჩართული პირების მიერ.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 (ფრანგული ფილოლოგია, პირველი საფეხური)

აღწერა: აკადემიური სწავლების 70-წლიან ტრადიციაზე დაფუძნებული ფრანგული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა მიზნად ისახავს ფრანგული ენისა და ლიტერატურის შესწავლის გზით ინტერკულტურული და საერთაშორისო კომუნიკაციის პროცესების ხელშეწყობას. პროგრამა ორიენტირებულია ეროვნული და დასავლური კულტურის ღირებულებების ჩამოყალიბებაზე. მაღალპროფესიული ფილოლოგიური კომპეტენციების გამომუშავების პარალელურად, პროგრამა პრიორიტეტად განსაზღვრავს საზოგადოების ინტელექტუალური განვითარების ხელშეწყობას, აკადემიური თავისუფლების დაცვას, სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებასა და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას. იგი მიზნად ისახავს სტუდენტის შემოქმედებითი აქტიურობის სტიმულირებას, სტუდენტის ცოდნისა და კრიტიკული ანალიზის უნარ-ჩვევის აქტივაციას, რათა პროგრამის კურსდამთავრებულმა შეძლოს როგორც ფრანგულ ენასა და ლიტერატურასთან, ასევე ზოგადად ევროპულ კულტურასთან დაკავშირებული საკითხების გაცნობიერება, გაანალიზება, შეფასება, პრიორიტეტების ადეკვატურად განსაზღვრა, თეორიული ცოდნის და პრაქტიკული უნარების გამოყენება როგორც შემდგომში სამეცნიერო-კვლევითი, აგრეთვე პრაქტიკული დარგობრივი პროფესიული საქმიანობის განხორციელების პროცესში.

ფრანგული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზნებია: • აღჭურვოს ფრანგული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი კომპლექსური ცოდნით, რომელიც მოიცავს კომპეტენციებს ფრანგული ენის, ფრანგული ენათმეცნიერების თეორიის, ფრანგული და ფრანკოფონული ლიტერატურის ისტორიის, კულტურის, ცივილიზაციის, თარგმანის ძირითადი მიმართულებებით; • პროგრამაში ინტეგრირებული ფრანგული ენის, ლიტერატურის, კულტურის, ცივილიზაციის, თარგმანის საფუძვლების ეფექტიანი სასწავლო კურსების საფუძველზე ჩამოყალიბოს დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომელიც სიღრმისეულად, ფილოლოგიური კომპეტენციის დონეზე ფლობს სასპეციალიზაციო სფეროს და გააჩნია დარგობრივი და ინტერდისციპლინური კომპეტენციების ფარგლებში ინფორმაციის კვლევის, დამუშავების, ანალიზის, ზეპირი და წერილობითი ფორმით გადმოცემის აკადემიური უნარები; • სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების ფარგლებში ჩართული პრაქტიკული სასწავლო დისციპლინების საფუძველზე უზრუნველყოს ფრანგული ენის დაუფლება ოთხივე ენობრივი კომპეტენციის (წერა, კითხვა, მოსმენა, ზეპირმეტყველება) ფარგლებში B2 დონეზე უცხოური ენების სწავლის, სწავლებისა და შეფასების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მიხედვით; უზრუნველყოს შესაძლებლობა, დაეუფლოს მეორე ევროპულ უცხოურ ენას; • სტუდენტს შეასწავლოს ფრანგული ლიტერატურის ძირითადი ტენდენციები, ლიტერატურული ჟანრები, ავტორები, პერიოდები და ამით ხელი შეუწყოს არა მარტო მრავალსაუკუნოვანი ფრანგული კულტურის გაცნობას, სტუდენტის ინტელექტუალური უნარებისა და თვალსაწიერის გაფართოებას, არამედ ფრანგული ენის დაუფლებას; • ფრანგული ენის, ლიტერატურისა და კულტურის საფუძვლიანი შესწავლით მოახდინოს სტუდენტის ცოდნის სისტემატიზაცია და კრიტიკული ანალიზის აქტივაცია; • გააცნოს პრაქტიკული

ლინგვისტური თარგმანის თეორიული და პრაქტიკული ბაზა, ფრანგული ენიდან ქართულად თარგმნის საფუძვლები, დარგობრივი ენის საბაზისო ელემენტები; • ფრანგული ენისა და ლიტერატურის სფეროში კომპლექსური ცოდნის საფუძველზე ხელი შეუწყოს მთარგმნელობითი უნარების განვითარებას; • აკადემიური დარგობრივი კომპეტენციების შექმნის გზით უზრუნველყოს ფრანგული ენისა და ლიტერატურის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების ჩამოყალიბება, რომელთა რეალური დეფიციტი გლობალური დასაქმების ბაზარზე დღეს ნამდვილად არსებობს. ხელი შეუწყოს ქართულ საგანმანათლებლო სფეროში ევროპული სტანდარტების შესაბამისი აკადემიური ფრანკოფონული ტრადიციების შენარჩუნებასა და განვითარებას. ამ მიზნების მისაღწევად პროგრამა ემყარება და აგრძელებს საუნივერსიტეტო ტრადიციებს, სადაც უნივერსიტეტის დაარსების პირველივე დღეებიდანვე ზოგადად ფილოლოგიური დისციპლინების, კერძოდ კი დასავლეთ ევროპის ენების და ლიტერატურის სწავლებას, კვლევას და ზოგადფილოლოგიური კომპეტენციების დაუფლებას, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა.

ანალიზი - ფრანგული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანი შეესაბამება სწავლების საფეხურს, საჯარო, ხელმისაწვდომი, რეალისტური და მიღწევადია. მათში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს მოამზადებს ფრანგული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა. მიზანი ითვალისწინებს ენის დაუფლების დარგობრივი მახასიათებლის მიერ განსაზღვრულ სწავლის სფეროს თავისებურებებს, ასევე ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონის საკვალიფიკაციო აღმწერის მოთხოვნებს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მუხლი III-ით განსაზღვრულ დეტალური სფეროს შინაარსს „0231.1.6 ფრანგული ფილოლოგია“.

სწავლის დროს გამომუშავებული უნარები კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს როგორც ფართო პროფილის სპეციალისტი დასაქმდეს სათარჯიმნო, სარედაქტორო, სარეფერენტო და მხატვრულ-კრიტიკული საქმიანობის მიმართულებით; ასევე სახელმწიფო და საზოგადოებრივ სტრუქტურებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, გამომცემლობებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სისტემებში, ბიბლიოთეკებში, ტურისტულ ფირმებში, მთარგმნელობით ბიუროებში, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საელჩოებში, სხვადასხვა კომპანიაში ყველა იმ თანამდებობაზე, რომელიც გათვალისწინებული იქნება ბაკალავრის ხარისხის მქონე სპეციალისტათვის. პროგრამა შემუშავებულია შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების შესაბამისად.

ჩატარებულია შრომის ბაზრის კვლევა რეგიონის ფარგლებში. კვლევა გვიჩვენებს კერძო სექტორში ფრანგული ფილოლოგიის კურსდამთავრებულთა სამსახურში დასაქმების პოტენციურ შესაძლებლობებს, გამომდინარე მათი ტრანსფერული უნარებიდან.

ინტერვიუს შედეგებმა ნათელყო, რომ კურსდამთავრებულთა ნაწილი დასაქმებულია, მათ შორის სპეციალობით. ფრანგული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს ასევე შეუძლია სწავლა გააგრძელოს უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე - მაგისტრატურაში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7-იტალიანისტიკა, პირველი საფეხური

აღწერა - იტალიანისტიკის საბაკალავრო პროგრამა მასში ჩართული აკადემიური რესურსითა და სასწავლო კომპონენტით მიზნად ისახავს მოამზადოს სპეციალისტი, რომელსაც ექნება იმგვარი დარგობრივი კომპეტენციები და უნარები, რომლებიც უზრუნველყოფენ მის შრომით ბაზარზე დასაქმებას; პროგრამა მიზნად ისახავს მიცემული ცოდნის საფუძველზე უზრუნველყოს საკუთარი კურსდამთავრებული სწავლის გაგრძელების შესაძლებლობით როგორც შესაბამის, ისე მომიჯნავე სპეციალობებზე; უფრო კონკრეტულად, პროგრამის მიზანია კომპლექსურად შეასწავლოს სტუდენტს პრაქტიკული იტალიური ენა B2 დონეზე უცხოური ენების სწავლის, სწავლებისა და შეფასების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მიხედვით; კომპლექსურად, ერთ მთლიან ლინგვო-კულტურულ კონტექსტში შეასწავლოს იტალიის ისტორია, ლიტერატურა, სოციალურ-კულტურული თავისებურებები; მოამზადოს კურსდამთავრებული, რომელსაც შეუძლია იტალიის ისტორიულ, ლიტერატურულ-ენობრივ, სოციალურ-კულტურულ პროცესებთან და თავისებურებებთან, ასევე იტალიური ენის მორფო-სინტაქსურ და სტილისტურ საკითხებთან დაკავშირებული როგორც წერილობითი, ისე ზეპირი წყაროების დამუშავება, ანალიზი და კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად. მოამზადოს კურსდამთავრებული, რომელიც მიღებული ცოდნის საფუძველზე ახორციელებს მთარგმნელობით და სათარჯიმნო საქმიანობას; ახდენს იურიდიული და ეკონომიკური ხასიათის ტექსტის თარგმნას იტალიურიდან ქართულ ენაზე და პირიქით ზეპირად და წერილობით, შესაბამისი წერილობითი ხასიათის ტექსტის შექმნას; აღზარდოს ახალგაზრდა, რომელიც დაიცავს სათანადო აკადემიურ და ეთიკურ ნორმებს: აკადემიური პატიოსნების სტანდარტებს, ინტერპერსონალური ურთიერთობების ეთიკას; რომელსაც ექნება კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის, ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარი, განსხვავებული კონფესიებისა და აზრის პატივისცემა; გამოუმუშავდება დემოკრატიული ფასეულობების პატივისცემა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა.

ანალიზი - იტალიანისტიკის საბაკალავრო პროგრამის მიზანი შეესაბამება სწავლების საფეხურს, საჯარო, ხელმისაწვდომი, რეალისტური და მიღწევადია. მათში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს მოამზადებს იტალიანისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა. მიზანი ითვალისწინებს ენის დაუფლების დარგობრივი მახასიათებლის მიერ განსაზღვრულ სწავლის სფეროს თავისებურებებს, ასევე ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონის საკვალიფიკაციო აღმწერის მოთხოვნებს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მუხლი III-ით განსაზღვრულ დეტალური სფეროს შინაარსს. სწავლის დროს გამოუმუშავებული უნარები კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს როგორც ფართო პროფილის სპეციალისტი დასაქმდეს სათარჯიმნო, სარედაქტორო, სარეფერენტო და მხატვრულ-კრიტიკული საქმიანობის მიმართულებით; ასევე სახელმწიფო და საზოგადოებრივ სტრუქტურებში, არასამთავრობო

ორგანიზაციებში, გამომცემლობებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სისტემებში, ბიბლიოთეკებში, ტურისტულ ფირმებში, მთარგმნელობით ბიუროებში, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საელჩოებში, სხვადასხვა კომპანიაში ყველა იმ თანამდებობაზე, რომელიც გათვალისწინებული იქნება ბაკალავრის ხარისხის მქონე სპეციალისტთათვის.

პროგრამა შექმნილია როგორც უნივერსიტეტის საკუთარი გამოცდილების, ასევე უცხოური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების გამოცდილებებზე დაყრდნობით, გათვალისწინებულია სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების შედარებითი ანალიზის საფუძველზე, რაც დადასტურდა როგორც პროგრამის ხელმძღვანელებთან საუბრისას, ასევე წარმოდგენილ თვითშეფასების დოკუმენტშიც, მაგრამ არ არის წარმოდგენილი გარე შეფასების შესაბამისი დოკუმენტი.

პროგრამა შემუშავებულია შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების შესაბამისად. ჩატარებულია შრომის ბაზრის კვლევა რეგიონის ფარგლებში. კვლევა გვიჩვენებს კერძო სექტორში იტალიანისტიკის კურსდამთავრებულთა სამსახურში დასაქმების პოტენციურ შესაძლებლობებს, გამომდინარე მათი ტრანსფერული უნარებიდან. ინტერვიუს შედეგებმა ნათელყო, რომ კურსდამთავრებულთა ნაწილი დასაქმებულია, მათ შორის სპეციალობით. იტალიანისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს ასევე შეუძლია სწავლა გააგრძელოს უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე - მაგისტრატურაში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7 - ესპანისტიკა, პირველი საფეხური

აღწერა - ესპანისტიკის საბაკალავრო პროგრამა მასში ჩართული აკადემიური რესურსით, სასწავლო კომპონენტით მიზნად ისახავს, მოიცვას დარგის ფართო ცოდნა და ბაკალავრის მომზადებისას გაითვალისწინოს შრომითი ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნები, აგრეთვე უზრუნველყოს საკუთარი კურსდამთავრებულისთვის შესაბამისი და მომიჯნავე სპეციალობებით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა. პროგრამის მულტიდისციპლინური პროფილის გამო ესპანისტიკის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს აქვთ არა მხოლოდ ესპანისტიკის, არამედ ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა პროფილით სწავლის გაგრძელების პერსპექტივა. აღნიშნული საბაკალავრო პროგრამა იძლევა ესპანისტიკის სფეროში მოღვაწეობისა და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიან სპეციალისტად ჩამოყალიბებისთვის საჭირო როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკული ცოდნის მიღების შესაძლებლობას. სწავლება წარიმართება რამდენიმე ძირითადი მიმართულებით, ესენია: ესპანური ენა და ამ ენით მარკირებული საზოგადოება, ისტორია, ლიტერატურა, კულტურა, რაც ნიშნავს, რომ წინამდებარე საბაკალავრო პროგრამა სტუდენტს სთავაზობს არა მარტო ენის შესწავლას, არამედ მრავალმხრივ ცოდნას როგორც ესპანეთის, ისე ლათინური ამერიკის ქვეყნების ისტორიის, საზოგადოების, კულტურისა და ლიტერატურის შესახებ. ამრიგად, ესპანისტიკის საბაკალავრო პროგრამის მიზანია: სტუდენტს კომპლექსურად შეასწავლოს **ესპანურ ენა** უცხოური ენების სწავლის, სწავლებისა და შეფასების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს ენობრივი კომპეტენციის B2.2 დონის ჩათვლით და გააცნოს ესპანური ენის ლათინურ ამერიკაში გავრცელებული ვარიანტის ძირითადი მახასიათებლები. მოამზადოს

კურსდამთავრებული, რომელიც შეძლებს ზეპირ და წერით კომუნიკაციას დარგობრივი ტერმინოლოგიის გამოყენებით როგორც ქართულ, ისე ესპანური ენაზე, აითვისებს ლექსიკის ახალ სტრატეგიებს; პროგრამის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა პროფესიული (დარგობრივი) ენის ათვისებას; კურიკულუმის სავალდებულო და არჩევითი საგნების უმრავლესობა ორიენტირებულია გამოუმუშავოს სტუდენტს პროფესიული ესპანური ენის ტერმინოლოგიური ლექსიკის ცოდნა. ამას ხელს უწყობს როგორც სწავლების მთელ პროცესის მსვლელობისას პრაქტიკულ ენასა და ესპანურენოვან ლიტერატურაზე მუშაობა, ისე სწავლების ბოლო მეშვიდე და მერვე სემესტრებში დაგეგმილი ესპანურენოვანი თეორიული კურსების მოსმენა. სტუდენტს კომპლექსურად შეასწავლოს ესპანური ლიტერატურის მნიშვნელოვანი წარმომადგენლები და მათი შემოქმედება, ლიტერატურული მიმდინარეობები, ასევე ლიტერატურული ტექსტების ანალიზი. ამასთან ასწავლოს ესპანურენოვანი ქვეყნების ისტორია, ენა, კულტურა და ესპანეთის სახელმწიფო წყობა და სამართლებრივი და პოლიტიკური სისტემების განმასხვავებელი ნიშნები. აღზარდოს ახალგაზრდა, რომელსაც ექნება კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმისა და პატივისცემის უნარი.

ანალიზი - ესპანისტიკის საბაკალავრო პროგრამის მიზანი შეესაბამება სწავლების საფეხურს, საჯარო, ხელმისაწვდომი, რეალისტური და მიღწევადია. მათში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს მოამზადებს ესპანისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა. მიზანი ითვალისწინებს ენის დაუფლების დარგობრივი მახასიათებლის მიერ განსაზღვრულ სწავლის სფეროს თავისებურებებს, ასევე ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონის საკვალიფიკაციო აღმწერის მოთხოვნებს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მუხლი III-ით განსაზღვრულ დეტალური სფეროს შინაარსს. სწავლის დროს გამომუშავებული უნარები კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს როგორც ფართო პროფილის სპეციალისტი დასაქმდეს სათარჯიმნო, სარედაქტორო, სარეფერენტო და მხატვრულ-კრიტიკული საქმიანობის მიმართულებით; ასევე სახელმწიფო და საზოგადოებრივ სტრუქტურებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, გამომცემლობებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სისტემებში, ბიბლიოთეკებში, ტურისტულ ფირმებში, მთარგმნელობით ბიუროებში, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საელჩოებში, სხვადასხვა კომპანიაში ყველა იმ თანამდებობაზე, რომელიც გათვალისწინებული იქნება ბაკალავრის ხარისხის მქონე სპეციალისტათვის. პროგრამა შექმნილია როგორც უნივერსიტეტის საკუთარი გამოცდილების, ასევე უცხოური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების გამოცდილებებზე დაყრდნობით, გათვალისწინებულია სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების შედარებითი ანალიზის საფუძველზე, რაც დადასტურდა როგორც პროგრამის ხელმძღვანელებთან საუბრისას, ასევე წარმოდგენილ თვითშეფასების დოკუმენტშიც. კერძოდ, აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში შეხვედრაზე, ესპანისტიკის პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ერთად, იგი იმყოფებოდა გრანადის უნივერსიტეტში, სადაც გაეცნო გრანადის უნივერსიტეტის ესპანისტიკის

პროგრამას, რომლის მიხედვითაც შემუშავდა ესპანისტიკის აკრედიტაციაზე წარმოდგენილი პროგრამა, მაგრამ გარე შეფასების შესაბამისი დოკუმენტი არ არის წარმოდგენილი.

პროგრამა შემუშავებულია შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების შესაბამისად. ჩატარებულია შრომის ბაზრის კვლევა რეგიონის ფარგლებში. კვლევა გვიჩვენებს კერძო სექტორში ესპანისტიკის კურსდამთავრებულთა სამსახურში დასაქმების პოტენციურ შესაძლებლობებს, გამომდინარე მათი ტრანსფერული უნარებიდან. ინტერვიუს შედეგებმა ნათელიყო, რომ კურსდამთავრებულთა ნაწილი დასაქმებულია, მათ შორის სპეციალობით. ესპანისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს ასევე შეუძლია სწავლა გააგრძელოს უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე - მაგისტრატურაში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 8 - რომანული ფილოლოგია - მეორე საფეხური

აღწერა - რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს ოთხ სასპეციალიზაციო მოდულს:

- ფრანგული თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერება
- ფრანგული და კომპარატიული ლიტერატურა
- იტალიური ენა და ლიტერატურა
- ესპანური ენა და ლიტერატურა

რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის საერთო მიზნებია: • მოამზადოს მაგისტრი, აღჭურვოს ფილოლოგიის დარგში ღრმა და სისტემური ცოდნით, შესძინოს მას ლინგვისტური და ლიტერატურთმცოდნეობითი კომპეტენციები; • მოამზადოს მაგისტრი რომანული ფილოლოგიის დარგში კვლევებისათვის, შესძინოს ეროვნულ და საერთაშორისო კონტექსტში აქტუალურ საკითხებზე კვლევის წარმოების შესაბამისი თეორიული და მეთოდოლოგიური ცოდნა და უნარები; • აღჭურვოს მაგისტრი თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი მთარგმნელობითი სფეროს კომპეტენციებით; განუვითაროს, როგორც ლინგვისტური ასევე ლიტერატურული ტექსტების თარგმნის უნარები; • განუვითაროს კრიტიკული აზროვნების და ანალიზის უნარი, როგორც სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში, ასევე თარგმანის შეფასებისა და კრიტიკის მიმართულებით; • თანამედროვე, ევროპულ სამეცნიერო-მეთოდოლოგიურ ნაშრომებზე დაყრდნობით, მოამზადოს კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, როგორც შრომით ბაზარზე დასასაქმებლად, ასევე სწავლის გასაგრძელებლად.

I მოდულის - ფრანგული გამოყენებითი და თეორიული ენათმეცნიერების - მიზანია: • მოამზადოს ფრანგული ენის სპეციალისტი, რომელიც აღჭურვილია გამოყენებითი და თეორიული ენათმეცნიერების სფეროს დარგობრივი კომპეტენციებით, რაც მას ეროვნულ და საერთაშორისო შრომით ბაზარზე კონკურენტული ოპერირებისა და, სურვილის შემთხვევაში, სადოქტორო აკადემიურ საფეხურზე სწავლის გაგრძელების საშუალებას მისცემს; • მისცეს მაგისტრანტს ღრმა და სისტემური ცოდნა ენათმეცნიერული კვლევის უახლესი მეთოდებში, ლინგვისტურ თეორიებში, კონცეფციებში; განუვითაროს თეორიული ცოდნის გაანალიზებისა და პრაქტიკაში გამოყენების უნარი; • აღჭურვოს ფრანგულ ენაზე ზეპირი და წერილი კომუნიკაციის უნარებით C1 დონეზე უცხოური ენების სწავლის, სწავლებისა და შეფასების ერთიანი ევროპული

სარეკომენდაციო ჩარჩოს მიხედვით; ასწავლოს ლინგვისტური ცოდნის გამოყენება ახალ, გაუთვალისწინებელ გარემოში, (მომიჯნავე) მულტიდისციპლინურ კონტექსტში, სამეცნიერო და კვლევითი მიზნებისათვის; უზრუნველყოს სასწავლო-სამეცნიერო მასალის აღქმის, წერისა და მეტყველების უნარების სრულყოფა C1 დონეზე, რათა მაგისტრანტმა შეძლოს აღნიშნულ საკვალიფიკაციო დონეზე რთული უცხოენოვანი მასალის გაგება, დამუშავება, ანალიზი და მიღებული ცოდნის რეალიზაცია როგორც ქართულ ასევე უცხოურ სამეცნიერო-კვლევით სივრცეში; • შესძინოს ფრანგულენოვანი დარგობრივი ტერმინოლოგიის შესაბამისი ცოდნა თანამედროვე ბაზარზე ყველაზე მოთხოვნილი მიმართულებებით (პოლიტიკა, ეკონომიკა, კონფლიქტოლოგია, მარკეტინგი, ხელოვნება, ტურიზმი საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მიმართულებები); • შესძინოს საკომუნიკაციო და ანალიტიკური კომპეტენციები მთარგმნელობითი მიმართულებით ლინგვისტური ცოდნის პრაქტიკაში რეალიზაციის მიზნით (წერთი თარგმანი, თანმიმდევრული ზეპირი თარგმანი, საქმიანი კორესპონდენციის სფერო, პრესის თარგმანი, საკონფერენციო თარგმანი); • შეასწავლოს მაგისტრანტს ღირებულებათა საფუძველზე სამეცნიერო სივრცეში და შრომის ბაზრისთვის აქტუალური კონკრეტული თეორიული თუ პრაქტიკული პრობლემის გადაჭრის ახალი ორიგინალური გზების მოძიება; სამაგისტრო ნაშრომის მოთხოვნათა შესაბამისობაში კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.

II მოდულის - ფრანგული და კომპარატიული ლიტერატურის - მიზნებია: • სტუდენტს შეასწავლოს ფრანგული და კომპარატიული ლიტერატურის ისტორიისა და თეორიის, თარგმნის ისტორიისა და კრიტიკის უახლესი კვლევის მეთოდები და მიღწევები; • სხვადასხვა ჟანრის ლიტერატურული ტექსტების ინტერდისციპლინური და ინტერკულტურული მეთოდოლოგიები; • სტუდენტს გამოუმუშავოს ტექსტების ანალიზის, სინთეზისა და ინტერპრეტაციის უნარები ლიტერატურული კვლევის მეთოდების გამოყენებით; სტუდენტს მისცეს ლიტერატურის ტექსტების მიმართ კრიტიკული მიდგომისთვის საჭირო თეორიული და მეთოდოლოგიური საშუალებების ცოდნა; • მოამზადოს თეორიული და პრაქტიკული ცოდნით შეიარაღებული სტუდენტი, რომელიც შესაძლებელია დასაქმდეს ისეთ სფეროებში, როგორცაა: კულტურის სფერო, კერძო და საჯარო სამსახურები, საგამომცემლო საქმე (საგამომცემლო პროექტის ხელმძღვანელი, კორექტორი, სტილისტი, რედაქტორი), მთარგმნელობითი საქმიანობა (მხატვრული ტექსტის მთარგმნელი, თარგმნის ექსპერტი);

III მოდულის - ესპანური ფილოლოგიის - მიზანია: • სტუდენტს მისცეს ესპანური ფილოლოგიის დარგობრივი სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა; გააცნოს საენათმეცნიერო და ლიტერატურათმცოდნეობით სამეცნიერო აპარატი და დარგობრივ სფეროში მუშაობის უახლესი მეთოდები; დაანახოს ესპანური ფილოლოგიის დარგის მნიშვნელობა და ამოცანები, დარგობრივი სფეროს მთავარ პრინციპები, თეორიები და კონცეფციები; • სტუდენტს შეასწავლოს ესპანეთისა და ლათინური ამერიკის ესპანური ენის სისტემის ფუნქციონირების, თანამედროვე ესპანური ენის ლექსიკური შემადგენლობის, ლექსიკის სხვადასხვა შრეების ფუნქციონირების წესები; • სტუდენტს შეასწავლოს სხვადასხვა ტიპის ესპანურენოვანი ტექსტის ლინგვისტური ანალიზის თავისებურებები; • სტუდენტს შესძინოს ესპანურენოვანი ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების

ღრმა, სისტემური და საფუძვლიანი ცოდნა მათი ლინგვისტურ და სოციოკულტურულ კონტექსტში გააზრებით; • მოამზადოს მაგისტრი, რომელიც მიღებულ ღრმა ცოდნაზე დაყრდნობით შეიმუშავებს ახალ, ორიგინალურ იდეებს, გააცნობიერებს ცალკეულ, ესპანურენოვან ლიტერატურასთან დაკავშირებულ კონკრეტული პრობლემის გადაჭრის ორიგინალურ გზებს და შეძლებს მათი წვლილის შეფასებას დასავლეთ ევროპის ლიტერატურასთან მიმართებაში; • მოამზადოს მაგისტრი, რომელიც დაუფლებულია სასპეციალიზაციო ესპანურ ენას C1 დონეზე საერთო ევროპული სარეკომენდაციო საბჭოს მიერ შემუშავებული ენის ცოდნის დონეთა განმსაზღვრელი ჩარჩოს მიხედვით, რასაც იყენებს აკადემიური და კვლევითი მიზნებისთვის.

IV მოდულის - იტალიური ენისა და ლიტერატურის - მიზანია: • მოამზადოს იტალიური ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი, რომელიც აღჭურვილია იმგვარი დარგობრივი კომპეტენციებითა და უნარებით, რომელიც უზრუნველყოფს მის შრომით ბაზარზე დასაქმებას, ან, სურვილის შემთხვევაში, სწავლის გაგრძელებას დოქტორანტურის საფეხურზე; • მოამზადოს მაგისტრანტი, რომელმაც იცის იტალიური ლიტერატურის მნიშვნელოვანი მიმდინარეობები და მათი საუკეთესო ნიმუშები, შეუძლია მათი ანალიზი და განხილვა მსოფლიო ისტორიულ-ლიტერატურულ კონტექსტში, აქვს ლინგვისტური თეორიების სიღრმისეული ცოდნა, ასევე მათი განხილვისა და ანალიზის უნარი; • მოამზადოს მაგისტრანტი, რომელსაც შეუძლია იტალიური ენის თეორიულ და იტალიური ლიტერატურის სფეროში მიღებული ცოდნის საფუძველზე მოახდინოს საკვლევო საკითხის იდენტიფიცირება, აწარმოოს დამოუკიდებელი კვლევა და გააკეთოს შესაბამისი დასკვნები; შეიმუშაოს ახალი, ორიგინალური იდეები; • მოამზადოს პასუხისმგებლობით აღჭურვილი კურსდამთავრებული, რომელიც პატივს სცემს აკადემიური პატიოსნების სტანდარტებს, შეუძლია დამოუკიდებლად აწარმოოს კვლევა და პასუხისმგებლობა აიღოს სხვების პროფესიულ განვითარებაზე.

ანალიზი - სამაგისტრო პროგრამის მიზანი შეესაბამება სწავლების საფეხურს, საჯარო, ხელმისაწვდომი, რეალისტური და მიღწევადია. მათში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს მოამზადებს რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა. მიზანი ითვალისწინებს ენის დაუფლების დარგობრივი მახასიათებლის მიერ განსაზღვრულ სწავლის სფეროს თავისებურებებს, ასევე ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VII დონის საკვალიფიკაციო აღმწერის მოთხოვნებს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორით განსაზღვრულ დეტალური სფეროს შინაარსს „0231.1.5 რომანული ფილოლოგია“.

აღნიშნული დარგობრივი ცოდნით, მისი პრაქტიკაში გამოყენების უნარით და ზოგად ტრანსფერული უნარებით რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული -ფრანგული/ესპანური/იტალიური ფილოლოგიის მაგისტრი - მზადდება, როგორც ფართო პროფილის სპეციალისტი რომანული ფილოლოგიის დარგში, რომელიც თავისი პროფილის მიხედვით შესაძლებელია დასაქმდეს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და უმაღლეს სასწავლებლებში; აგრეთვე სახელმწიფო და საზოგადოებრივ სტრუქტურებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, გამომცემლობებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა

სისტემებში, ბიბლიოთეკებში, მუზეუმებში, ტურისტულ ფორმებში, სხვადასხვა კომპანიებში ყველა იმ თანამდებობაზე, რომელიც გათვალისწინებულ იქნება მაგისტრის ხარისხის მქონე სპეციალისტათვის; ამავდროულად, ზემოაღნიშნულ დაწესებულებებში მაგისტრის ხარისხი სტუდენტებს კარიერული წინსვლის შესაძლებლობას აძლევს. ფრანგული/ესპანური/იტალიური ფილოლოგიის მაგისტრი შესაძლებელია აგრეთვე თავისი პროფილით დასაქმდეს პედაგოგიურ სექტორში (მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში); ასევე თარჯიმნებად, რისი მოთხოვნილებაც დღევანდელი საქართველოს შრომით ბაზარზე არსებობს.

პროგრამა შემუშავებულია შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების შესაბამისად. ჩატარებულია შრომის ბაზრის კვლევა რეგიონის ფარგლებში. კვლევა გვიჩვენებს კერძო სექტორში რომანული ფილოლოგიის კურსდამთავრებულთა სამსახურში დასაქმების პოტენციურ შესაძლებლობებს, გამომდინარე მათი ტრანსფერული უნარებიდან. ინტერვიუს შედეგებმა ნათელყო, რომ კურსდამთავრებულთა ნაწილი დასაქმებულია, მათ შორის სპეციალობით.

რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს ასევე შეუძლია სწავლა გააგრძელოს უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე - დოქტორანტურაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიში თვითშეფასების ანგარიში
- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები
- თსუ მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება
- ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი;
- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს კვალიფიკაციათა აღმწერი დონეების მიხედვით
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი
- სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვების ანალიზი
- ვიზიტისას გამართული ინტერვიუს შედეგები (ადმინისტრაციასთან, აფილირებულ და მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან)

რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები - არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 3 (ახალი ბერძნული ფილოლოგია), პროგრამები 5-8 (ფრანგული ფილოლოგიის საბაკალავრო, იტალიური ფილოლოგიის საბაკალავრო, ესპანური ფილოლოგიის საბაკალავრო, რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამები)

- სასურველია, ყურადღება მიექცეს განსაკუთრებულ შემთხვევებს, როცა ერთი აკადემიური პირი კითხულობს 10-ზე მეტ (11,13,14,15, 17 სასწავლო კურსს (მაგალითად, ახალი ბერძნული ფილოლოგიის მიმართულებით; რომანული ფილოლოგიის (ფრანგული, ესპანური, იტალიური), რაც არ არის მიზანშეწონილი და დასაბალანსებელია, რომ აკადემიური პერსონალის დენადობის შემთხვევაში არ შეფერხდეს სასწავლო პროცესი.

პროგრამები 5-8 (ფრანგული ფილოლოგიის საბაკალავრო, იტალიური ფილოლოგიის საბაკალავრო, ესპანური ფილოლოგიის საბაკალავრო, რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამები)

სასურველია, პროგრამების შემუშავების პროცესში გარე შეფასების, საუკეთესო უცხოური გამოცდილების გაანალიზებისა და გაზიარების პროცედურებისა და მექანიზმების სრულად გამოყენება, რაც არ არის წარმოდგენილი რომანული ფილოლოგიის მიმართულების პროგრამებში.

-გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (კლასიკური ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამა 2 (ბიზანტიური ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (ახალი ბერძნული ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (ბერძნულ-რომაული ფილოლოგია, მეორე საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ფრანგული ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (იტალიანისტიკა, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (ესპანისტიკა, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (რომაული ფილოლოგია, მეორე საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

აღწერა: კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები, ძირითადად, ლოგიკურად გამომდინარეობს მათივე მიზნებიდან და შეესაბამება როგორც სტანდარტსა და დარგის არსებულ მახასიათებელს, ასევე კვალიფიკაციის შესაბამის დონეს, დეტალური სფეროს აღმწერს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიულ გეგმას; აღწერს იმ ცოდნასა და უნარებს, ასევე ავტონომიურობასა და პასუხისმგებლობებს, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულების შედეგად. სწორედ მიღწეული შედეგების და შეძენილი კომპეტენციების საფუძველზე საქმდებიან კურსდამთავრებულები, რომელთა დასაქმების მაჩვენებელი მაღალია; სწავლის შედეგები იძლევა შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

კლასიკური, შუა საუკუნეების ბერძნული და ლათინური, ახალი ბერძნული და რომანული ენების კლასტერში შემავალი ორივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შემუშავებულია სხვადასხვა დაინტერესებული მხარის (აკადემიური/ სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი და სხვა) ჩართულობით და, ძირითადად, არის მიღწევადი და რეალისტური.

ანალიზი: საბაკალავრო პროგრამის სწავლების შედეგები შედგენილია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონის საკვალიფიკაციო აღმწერის მოთხოვნებით, თანმიმდევრულია და ვითარდება სირთულის, კომპლექსურობისა და სწავლის სფეროს შინაარსის მიხედვით. სწავლის შედეგები პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნების რელევანტურია და იძლევა უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე სწავლის გაგრძელების, ასევე მიღებული ცოდნის გავრცელებით საზოგადოებრივ ცხოვრებაში წვლილის შეტანის, მულტიკულტურული ღირებულებების დამკვიდრების შესაძლებლობას. პროგრამის შედეგები არის გაზომვადი და მიღწევადი, რაც დასტურდება კურსდამთავრებულთა გამოკითხვების ანალიზით და ასევე პირადი ინტერვიუებიდან.

თვალსაჩინოა კლასტერის საბაკალავრო პროგრამების შედეგების შინაარსობრივი ბმა სამაგისტრო სწავლის შედეგებთან, კერძოდ, კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტიური ფილოლოგიისა და ახალი ბერძნული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამების გაგრძელება მეორე საფეხურზე ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა; ხოლო ფრანგული ფილოლოგიის, იტალიანისტიკისა და ესპანისტიკის საბაკალავრო პროგრამების გაგრძელება მეორე საფეხურზე - რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა. მათი ურთიერთმიმართება ემყარება თანმიმდევრული გართულებისა და გაღრმავების პრინციპს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 - კლასიკური ფილოლოგია - პირველი საფეხური

აღწერა: კლასიკური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება ენის დაუფლების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს. სწავლის შედეგები იყოფა ცოდნისა და გაცნობიერების (1. განსაზღვრავს, აღწერს, მიმოიხილავს და აანალიზებს ძირითად ენათმეცნიერულ, ლიტერატურათმცოდნეობით და თარგმანთმცოდნეობით თეორიებს, კლასიკურ (ძველ ბერძნულ და ლათინურ) ენებთან, მათ ისტორიულ-კულტურულ გარემოსთან და კონტექსტთან, ანტიკურ (ძველ ბერძნულ და რომაულ) ლიტერატურასთან დაკავშირებულ საკვანძო საკითხებსა და უახლეს პრობლემატიკას, ანტიკური სამყაროს რელიგიური, მითოლოგიური და ფილოსოფიური აზროვნების ძირითად მახასიათებლებს. 2. ამჟღავნებს ძველი ბერძნული და ლათინური ენების მორფოლოგიის, სინტაქსის, ლექსიკისა და ფრაზეოლოგიის, ლათინური სენტენციების ცოდნას. 3. მიმოიხილავს და აანალიზებს ანტიკური (ძველი ბერძნული და რომაული) ლიტერატურის განვითარების ძირითად ეტაპებს, ჟანრებს, მნიშვნელოვან ავტორებს, მათი შემოქმედების ძირითად პრობლემატიკას და კვლევის თანამედროვე მდგომარეობას, ცალკეული ნაწარმოებების კონცეპტუალურ და სტილისტურ მახასიათებლებს); სხვადასხვა უნარის (1. თარგმნის კლასიკური (ძველი ბერძნული და

ლათინური) ენებიდან ქართულად სხვადასხვა პერიოდისა და ჟანრის, სამუალო სირთულის ტექსტს ლექსიკონების გამოყენებით, კლასიკური ენებიდან ქართულად თარგმნის თავისებურებების გათვალისწინებით. 2. განსაზღვრავს და განასხვავებს ძველ ბერძნულ და რომაულ კულტურას შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებებს. 3. ახორციელებს კვლევითი ხასიათის ნაშრომს კლასიკური ენების ან ანტიკური ლიტერატურის თემაზე, ხელმძღვანელის მეთვალყურეობით, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად. 4. კლასიკური ენების ან ანტიკური ლიტერატურის თემაზე კვლევითი ხასიათის ნაშრომის შესრულების პროცესში მოიძიებს და იყენებს ქართულ და ერთ-ერთ დასავლეთ ევროპულ ენაზე არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას, ელექტრონულ საბიბლიოთეკო რესურსებს. 5. კრიტიკულად აფასებს კლასიკური ფილოლოგიის სფეროში როგორც პირველადი, ისე მეორადი საინფორმაციო წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას, სხვადასხვა მეცნიერულ მოსაზრებას, ჰიპოთეზასა და თეორიას და აყალიბებს საკუთარ პოზიციას. 6. სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციისას, კლასიკურ ფილოლოგიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემის პროცესში ეფექტიანად იყენებს ინფორმაციულ და კომუნიკაციების ტექნოლოგიებს. 7. მონაწილეობს კლასიკურ ფილოლოგიასთან დაკავშირებულ დისკუსიაში, მსჯელობს არგუმენტირებულად და თანმიმდევრულად ქართულ ენაზე, შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით); პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის (1. აღიარებს და იცავს პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს. 2. ამჟღავნებს დამოუკიდებლად სწავლის, თვითორგანიზებისა და დროის მართვის უნარს) კომპეტენციებს.

ანალიზი: აღნიშნული შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან. შედეგები შეესაბამება ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს, შედეგები შესაბამისია აგრეთვე ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეექვსე დონის კვალიფიკაციის სირთულისა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 - ბიზანტიური ფილოლოგია - პირველი საფეხური

ბიზანტიური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები პროგრამის მიზნების შესაბამისი, ლოგიკური და მიღწევადია: ცოდნა და გაცნობიერება (განსაზღვრავს, აღწერს, მიმოიხილავს და აანალიზებს ძირითად ენათმეცნიერულ, ლიტერატურათმცოდნეობით და თარგმანთმცოდნეობით თეორიებს, ბიზანტიურ (შუა საუკუნეების) ბერძნულ და შუასაუკუნეების ლათინურ ენებთან, მათ ისტორიულ-კულტურულ გარემოსთან და კონტექსტთან, ბიზანტიურ ლიტერატურასთან დაკავშირებულ საკვანძო საკითხებსა და უახლეს პრობლემატიკას, ბიზანტიური სამყაროს საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური აზროვნების ძირითად მახასიათებლებს; ამჟღავნებს ბიზანტიური პერიოდის (შუა საუკუნეების) ბერძნული და შუასაუკუნეების ლათინური ენების მორფოლოგიის, სინტაქსის, ლექსიკისა და ფრაზეოლოგიის, შესაბამისი საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიის ცოდნას. მიმოიხილავს და აანალიზებს ბიზანტიური ლიტერატურის განვითარების ძირითად ეტაპებს, ჟანრებს, მნიშვნელოვან ავტორებს, მათი შემოქმედების ძირითად პრობლემატიკას და კვლევის თანამედროვე მდგომარეობას, ცალკეული ნაწარმოებების კონცეპტუალურ და სტილისტურ მახასიათებლებს); უნარები (1. თარგმნის ბიზანტიური (შუა საუკუნეების)

ბერძნული და შუა საუკუნეების ლათინური ენებიდან ქართულად სხვადასხვა პერიოდისა და ჟანრის, საშუალო სირთულის ტექსტს ლექსიკონების გამოყენებით, შუა საუკუნეების ბერძნული და ლათინური ენებიდან ქართულად თარგმნის თავისებურებების გათვალისწინებით. 2. განსაზღვრავს და განასხვავებს ანტიკურ და ბიზანტიურ კულტურას შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებებს. 3. ახორციელებს კვლევითი ხასიათის ნაშრომს შუა საუკუნეების ბერძნული და ლათინური ენების ან ბიზანტიური ლიტერატურის თემაზე, ხელმძღვანელის მეთვალყურეობით, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად. 4. შუა საუკუნეების ბერძნული და ლათინური ენების და ბიზანტიური ლიტერატურის თემაზე კვლევითი ხასიათის ნაშრომის შესრულების პროცესში მოიძიებს და იყენებს ქართულ და ერთ-ერთ დასავლეთ ევროპულ ენაზე არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას, ელექტრონულ საბიბლიოთეკო რესურსებს. 5. კრიტიკულად აფასებს ბიზანტიური ფილოლოგიის სფეროში როგორც პირველადი, ისე მეორადი საინფორმაციო წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას, სხვადასხვა მეცნიერულ მოსაზრებას, ჰიპოთეზასა და თეორიას და აყალიბებს საკუთარ პოზიციას. 6. სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციისას, ბიზანტიურ ფილოლოგიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემის პროცესში ეფექტიანად იყენებს ინფორმაციულ და კომუნიკაციების ტექნოლოგიებს. 7. მონაწილეობს ბიზანტიურ ფილოლოგიასთან დაკავშირებულ დისკუსიაში, მსჯელობს არგუმენტირებულად და თანმიმდევრულად ქართულ ენაზე, შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით); პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა (1. აღიარებს და იცავს პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს. 2. ამჟღავნებს დამოუკიდებლად სწავლის, თვითორგანიზებისა და დროის მართვის უნარს). აღნიშნული შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

ეს შედეგები სრულიად შეესაბამება ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს, შედეგები შესაბამისია აგრეთვე ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეექვსე დონის კვალიფიკაციის სირთულისა.

ანალიზი: როგორც პროგრამის აღწერილობა (კურიკულუმი), ასევე კურსების სილაბუსები მოწმობს, რომ ბიზანტიური ფილოლოგიის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია ნათლად და ადეკვატურად. გამოყოფილია სწავლების თორმეტი შედეგი.

სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებული სწავლა/სწავლების მეთოდოლოგია ისევე, როგორც გამოყოფილი დრო და დასამუშავებელი მასალა ცხადყოფს, რომ სწავლის შედეგები მიღწევადია.

პროგრამის ხელმძღვანელსა და მის განმახორციელებლებს აქვთ მუდმივი საქმიანი კომუნიკაცია როგორც მუდმივ, ასევე მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან, ასევე მოქმედ და პოტენციურ სტუდენტებთან, რაც მათთან ინტერვიუების დროსაც დადასტურდა. სტუდენტების მხრიდან დაფიქსირდა, რომ აღნიშნულ პროგრამაზე აკადემიური პერსონალის მიდგომები და სტუდენტებთან დამოკიდებულება არის მაქსიმალურად საქმიანი და შედეგებზე ორიენტირებული. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი უზრუნველყოფს სტუდენტებისგან მიღებული უკუკავშირის შედეგად მუდმივად გააუმჯობესოს პროგრამა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 - ახალი ბერძნული ფილოლოგია - პირველი საფეხური

აღწერა: ახალი ბერძნული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან: ცოდნა და გაცნობიერება (8. განსაზღვრავს, აღწერს, მიმოიხილავს და აანალიზებს ძირითად ენათმეცნიერულ, ლიტერატურათმცოდნეობით და თარგმანთმცოდნეობით თეორიებს, ახალ ბერძნულ ენასთან, მის ისტორიულ-კულტურულ გარემოსთან და კონტექსტთან, თანამედროვე ბერძნულ ლიტერატურასთან დაკავშირებულ საკვანძო საკითხებსა და უახლეს პრობლემატიკას, თანამედროვე ბერძნული კულტურის ძირითად მახასიათებლებს. 9. ამჟღავნებს ახალი ბერძნული ენის მორფოლოგიის, სინტაქსის, ლექსიკისა და ფრაზეოლოგიის ცოდნას. 10. მიმოიხილავს და აანალიზებს თანამედროვე ბერძნული ლიტერატურის განვითარების ძირითად ეტაპებს, ჟანრებს, მნიშვნელოვან ავტორებს, მათი შემოქმედების ძირითად პრობლემატიკას და კვლევის თანამედროვე მდგომარეობას, ცალკეული ნაწარმოებების კონცეპტუალურ და სტილისტურ მახასიათებლებს); უნარები (1. იყენებს ახალ ბერძნულ ენას წერითი და ზეპირი კომუნიკაციის დროს, სხვადასხვა მიზნისა და აუდიტორიისთვის და თარგმნის ახალი ბერძნული ენიდან ქართულად სხვადასხვა პერიოდისა და ჟანრის, საშუალო სირთულის ტექსტს ლექსიკონების გამოყენებით, ახალ ბერძნული ენებიდან ქართულად თარგმნის თავისებურებების გათვალისწინებით. 2. განსაზღვრავს და განასხვავებს ძველ და თანამედროვე ბერძნულ კულტურას შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებებს. 3. ახორციელებს კვლევითი ხასიათის ნაშრომს ახალი ბერძნული ენის ან ახალი ბერძნული ლიტერატურის თემაზე, ხელმძღვანელის მეთვალყურეობით, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად. 4. ახალი ბერძნული ენის ან ახალი ბერძნული ლიტერატურის თემაზე კვლევითი ხასიათის ნაშრომის შესრულების პროცესში მოიძიებს და იყენებს ქართულ და ერთ-ერთ დასავლეთ ევროპულ ენაზე არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას, ელექტრონულ საბიბლიოთეკო რესურსებს. 5. კრიტიკულად აფასებს ახალ ბერძნული ფილოლოგიის სფეროში როგორც პირველადი, ისე მეორადი საინფორმაციო წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას, სხვადასხვა მეცნიერულ მოსაზრებას, ჰიპოთეზასა და თეორიას და აყალიბებს საკუთარ პოზიციას. 6. სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციისას, ახალ ბერძნულ ფილოლოგიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემის პროცესში ეფექტიანად იყენებს ინფორმაციულ და კომუნიკაციების ტექნოლოგიებს. 7. მონაწილეობს ახალ ბერძნულ ფილოლოგიასთან დაკავშირებულ დისკუსიაში, მსჯელობს არგუმენტირებულად და თანმიმდევრულად ქართულ და ბერძნულ ენაზე, შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით); პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა (1. აღიარებს და იცავს პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს. 2. ამჟღავნებს დამოუკიდებლად სწავლის, თვითორგანიზებისა და დროის მართვის უნარს).

ეს შედეგები სრულიად შეესაბამება ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს, შედეგები შესაბამისია აგრეთვე ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეექვსე დონის კვალიფიკაციის სირთულისა.

ანალიზი: პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას. პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ სწავლის გაგრძელებას მაგისტრატურის საფეხურზე,

სხვადასხვა მიმართულების პროგრამებზე. აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების (ნაკლებად) ინტერვიუებმა ცხადყო, რომ ყველა რგოლი აქტიურად იყო ჩართული სწავლის შედეგების შედგენაში. გათვალისწინებულია მსოფლიოში არსებული პრაქტიკა, შრომის ბაზრის მოთხოვნები. ბოლო აკრედიტაციის შემდეგ შეცვლილია სწავლის შედეგების ფორმულირების პრინციპები და კონცეფცია (კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოსა და ენის დაუფლების დარგობრივი მახასიათებლის გარდა, პროგრამის განახლების პროცესში გამოყენებულია ბრიტანეთის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს ეგიდით მომზადებული დარგობრივი მახასიათებელი). პროგრამის სწავლის შედეგები მიღწევადი, რეალისტური და გაზომვადია. სწავლის 12 შედეგი, რაც დადგენილ ზღვარზე მეტია, მაგრამ შეესაბამება დასახულ მიზნებს: ცოდნა და გაცნობიერება - 3 შედეგი: განსაზღვრავს, აღწერს, მიმოიხილავს და აანალიზებს ძირითად ენათმეცნიერულ, ლიტერატურათმცოდნეობით და თარგმანთმცოდნეობით თეორიებს, ახალი ბერძნული ენის საკვანძო საკითხებსა და პრობლემატიკას, ამჟღავნებს ახალი ბერძნული ენის მორფოლოგიის, სინტაქსის, ლექსიკისა და ფრაზეოლოგიის ცოდნას, მიმოიხილავს და აანალიზებს თანამედროვე ბერძნული ლიტერატურის განვითარების ძირითად ეტაპებს, ჟანრებს, მნიშვნელოვან ავტორებს, მათი შემოქმედების პრობლემატიკას და თანამედროვე კვლევას, ცალკეული ნაწარმოებებს; უნარები - 7 შედეგი: უნარი გამოიყენოს ენა ზეპირი კომუნიკაციისას, ტექსტების თარგმანისას, განსაზღვრავს და განასხვავებს ძველ და თანამედროვე ბერძნულ კულტურას შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებებს, ახორციელებს კვლევითი ხასიათის ნაშრომს ახალი ბერძნული ენის ან ახალი ბერძნული ლიტერატურის თემაზე, ხელმძღვანელის მეთვალყურეობით, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, ახალი ბერძნული ენის ან ახალი ბერძნული ლიტერატურის თემაზე კვლევითი ხასიათის ნაშრომის შესრულების პროცესში მოიძიებს და იყენებს ქართულ და ერთ-ერთ დასავლეთ ევროპულ ენაზე არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას, ელექტრონულ საბიბლიოთეკო რესურსებს. კრიტიკულად აფასებს ახალ ბერძნული ფილოლოგიის სფეროში სხვადასხვა ინფორმაციას, მეცნიერულ მოსაზრებას, ჰიპოთეზასა და თეორიას და აყალიბებს საკუთარ პოზიციას, იყენებს ინფორმაციულ და კომუნიკაციების ტექნოლოგიებს. მონაწილეობს დისკუსიებში, მსჯელობს არგუმენტირებულად და თანმიმდევრულად ქართულ და ბერძნულ ენაზე, შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით.

პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას როგორც საგანმანათლებლო, ისე დასაქმების ბაზარზე.

როგორც პროგრამის აღწერილობა (კურიკულუმი), ასევე კურსების სილაბუსები მოწმობს, რომ ახალი ბერძნული ფილოლოგიის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია ნათლად და ადეკვატურად. გამოყოფილია სწავლების თორმეტი შედეგი.

სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებული სწავლა/სწავლების მეთოდოლოგია ისევე, როგორც გამოყოფილი დრო და დასამუშავებელი მასალა ცხადყოფს, რომ სწავლის შედეგები მიღწევადია.

აღნიშნული შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან. ეს შედეგები სრულიად შეესაბამება ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს, შედეგები შესაბამისია აგრეთვე ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეექვსე დონის კვალიფიკაციის სირთულისა.

აკადემიურ პესონალთან და სტუდენტებთან ინტერვიუმ ცხადყო, რომ პროგრამის ხელმძღვანელს აქვს მუდმივი კომუნიკაცია მათთან, რათა პროგრამით განსაზღვრული ყველა შედეგი იყოს მაქსიმალურად მიღწეული.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 - ბერძნულ-რომაული ფილოლოგია- მეორე საფეხური

ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც სამ მოდულს აერთიანებს (კლასიკური, ბიზანტიური და ახალი ბერძნული ფილოლოგიის), შემდეგ შედეგებზე გადის: ცოდნა და გაცნობიერება (1. განსაზღვრავს, აღწერს და მიმოიხილავს ანტიკური, ბიზანტიური და თანამედროვე ბერძნული სამყაროს ძირითად მახასიათებლებს; 2. აცნობიერებს ანტიკურობის გავლენას და მნიშვნელობას ბიზანტიური და თანამედროვე ბერძნული ლიტერატურისა და კულტურის ფორმირებისა და განვითარების პროცესში; კლასიკური ფილოლოგიის მოდულის კურსდამთავრებული: 3.1. ავლენს ძველბერძნულ/ლათინურ ენებთან და ანტიკურ ლიტერატურასთან დაკავშირებულ ღრმა და სისტემურ ცოდნას, რომელიც მოიცავს ენობრივ, ლიტერატურათმცოდნეობით და კულტურულ ასპექტებსა და კომპეტენციებს. 4.1. განსაზღვრავს, აღწერს და მიმოიხილავს ძველ ბერძნულ/ლათინურ ენებსა და ანტიკურ ლიტერატურასთან დაკავშირებულ საკვანძო საკითხებს, აქტუალურ თემებსა და უახლეს პრობლემატიკას, კვლევის უახლეს მეთოდებსა და თანამედროვე მიდგომებს. ბიზანტიური ფილოლოგიის მოდულის კურსდამთავრებული: 3.2. ავლენს ბიზანტიური (შუა საუკუნეების) ბერძნულ და შუა საუკუნეების ლათინურ ენებთან, ბიზანტიურ ლიტერატურასთან დაკავშირებულ ღრმა და სისტემურ ცოდნას, რომელიც მოიცავს ენობრივ, ლიტერატურათმცოდნეობით, საღვთისმეტყველო და კულტურულ ასპექტებსა და კომპეტენციებს. 4.2. განსაზღვრავს, აღწერს და მიმოიხილავს ბიზანტიური (შუა საუკუნეების) ბერძნულ და შუა საუკუნეების ლათინურ ენებთან, ბიზანტიურ ლიტერატურასთან დაკავშირებულ საკვანძო საკითხებს, აქტუალურ თემებსა და უახლეს პრობლემატიკას, კვლევის უახლეს მეთოდებსა და თანამედროვე მიდგომებს). ახალი ბერძნული ფილოლოგიის მოდულის კურსდამთავრებული: 3.3. ავლენს ახალ ბერძნულ ენასთან და თანამედროვე ბერძნულ ლიტერატურასთან დაკავშირებულ ღრმა და სისტემურ ცოდნას, რომელიც მოიცავს ენობრივ, ლიტერატურათმცოდნეობით და კულტურულ ასპექტებსა და კომპეტენციებს. 4.3. განსაზღვრავს, აღწერს და მიმოიხილავს ახალ ბერძნულ ენასა და ლიტერატურასთან დაკავშირებულ საკვანძო საკითხებს, აქტუალურ თემებსა და უახლეს პრობლემატიკას, კვლევის უახლეს მეთოდებსა და თანამედროვე მიდგომებს). უნარები (კლასიკური, ბიზანტიური და ახალი ბერძნული პროგრამის კურსდამთავრებული: 5. სწავლის, კვლევისა და საქმიანობის პროცესში აანალიზებს როგორც პირველად, ისე მეორად წყაროებს, ლიტერატურულ მასალასა და შესაბამის სამეცნიერო ლიტერატურას და ახდენს მათ სინთეზს, ინტერპრეტაციასა და კონტექსტუალიზაციას კვლევის უახლესი, მათ შორის ციფრული მეთოდების გამოყენებით; 6. ავლენს ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის მიმართულებით არსებული ენობრივი / ლიტერატურათმცოდნეობითი / კულტუროლოგიური ხასიათის სამეცნიერო პრობლემის იდენტიფიცირებისა და გადაჭრის, ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის, პრეზენტაციის უნარს ბერძნულ-რომაული სამყაროს შესაბამისი პერიოდის კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით; 7. ავითარებს ახალ

იდევს ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის ენობრივი / ლიტერატურული / კულტუროლოგიური ხასიათის სამეცნიერო პრობლემასთან დაკავშირებით, რომლებსაც აყალიბებს სამაგისტრო ნაშრომში, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით და წარუდგენს აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით. კლასიკური ფილოლოგიის მოდულის კურსდამთავრებული: 8.1. თარგმნის ძველი ბერძნული/ლათინური ენებიდან ქართულად შესაბამისი ლექსიკონის/ლექსიკონების გამოყენებით და ამზადებს თარგმნილი ტექსტის/ტექსტების ენობრივი და ლიტერატურათმცოდნეობითი ხასიათის კომენტარებს; 9.1. კრიტიკულად გაიაზრებს ანტიკურ ლიტერატურასა და კულტურასთან, თანამედროვე სამყაროში მის რეცეფციასთან დაკავშირებულ გამოწვევებსა და უახლეს მიღწევებს; ბიზანტიური ფილოლოგიის მოდულის კურსდამთავრებული: 8.2. თარგმნის ბიზანტიური (შუა საუკუნეების) ბერძნული და შუა საუკუნეების ლათინური ენებიდან ქართულად შესაბამისი ლექსიკონის/ლექსიკონების გამოყენებით და ამზადებს თარგმნილი ტექსტის/ტექსტების ენობრივი, ლიტერატურათმცოდნეობითი და საღვთისმეტყველო ხასიათის კომენტარებს. 9.2. კრიტიკულად გაიაზრებს ბიზანტიურ ლიტერატურასა და კულტურასთან დაკავშირებულ გამოწვევებსა და უახლეს მიღწევებს; ახალი ბერძნული ფილოლოგიის მოდულის კურსდამთავრებული: 8.3. იყენებს ახალ ბერძნულ ენას როგორც წერითი, ისე ზეპირი კომუნიკაციის დროს სხვადასხვა მიზნისა და აუდიტორიისათვის; 9.3. კრიტიკულად გაიაზრებს თანამედროვე ბერძნულ ლიტერატურასა და კულტურასთან, თანამედროვე ბერძნულ ლიტერატურასა და კულტურაში ანტიკურობის რეცეფციასთან დაკავშირებულ გამოწვევებსა და უახლეს მიღწევებს); პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა (10. ამჟღავნებს დამოუკიდებლად სწავლის, კვლევისა და მუშაობის უნარს, რითიც წვლილი შეაქვს ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის დარგობრივი ცოდნისა და პროფესიული პრაქტიკის განვითარებაში; 11. ამჟღავნებს ტოლერანტობას განსხვავებული აზრის, კულტურებისა და კონფესიების მიმართ). პროგრამის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

ანალიზი: ეს შედეგები სრულიად შეესაბამება ენის დაუფლების უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დარგობრივ მახასიათებელს, შედეგები შესაბამისია აგრეთვე ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეშვიდე დონის კვალიფიკაციის სირთულისა.

როგორც პროგრამის აღწერილობა (კურიკულუმი), ასევე კურსების სილაბუსები მოწმობს, რომ ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია ნათლად და ადეკვატურად. გამოყოფილია სწავლების ცხრამეტი შედეგი. სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებული სწავლა/სწავლების მეთოდოლოგია ისევე, როგორც გამოყოფილი დრო და დასამუშავებელი მასალა ცხადყოფს, რომ სწავლის შედეგები მიღწევადია.

პროგრამა თავისი მიზნების მისაღწევად გამოყენებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტებით სისტემურად უზრუნველყოფს პროგრამის სამი მოდულის (კლასიკური, ბიზანტიური და ახალი ბერძნული ფილოლოგიის) მიხედვით შემუშავებული შედეგების მიღწევას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 - ფრანგული ფილოლოგია, პირველი საფეხური

აღწერა - პროგრამას აქვს სწავლის 15 შედეგი: აღწერს და მიმოიხილავს ზოგადად ფილოლოგიისა და, კერძოდ, ფრანგული ფილოლოგიის დარგობრივი სფეროს, ენისა და ლიტერატურის თეორიებთან დაკავშირებულ მთავარ პრინციპებს, თეორიებსა და კონცეფციებს, იყენებს სათანადო ტერმინოლოგიასა და დარგობრივ სფეროში მუშაობის მეთოდებს; დაუფლებულია და ავლენს სასპეციალიზაციო ენის (ფრანგული ენა) კომპეტენციებს B2 დონეზე უცხოური ენების სწავლის, სწავლებისა და შეფასების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მიხედვით და რომელიმე მეორე ევროპული უცხოური ენის კომპეტენციებს. აკადემიური და კვლევითი მიზნებისთვის იყენებს რომელიმე კლასიკური ან აღმოსავლური ენის საფუძვლებს (საკუთარი არჩევანის მიხედვით); აღწერს და მიმოიხილავს ფრანგულენოვანი ლიტერატურის განვითარების ეტაპებს, ტენდენციებს, ჟანრებს, შუა საუკუნეების, რენესანსის, კლასიციზმის, რომანტიზმის, რეალიზმის და თანამედროვე ფრანგ ავტორთა ბიოგრაფიასა და მათ შემოქმედებას; განსაზღვრავს თარგმანმცოდნეობასთან დაკავშირებულ საკითხებს. აღწერს პრაქტიკული ლინგვისტური თარგმანის თეორიულ და პრაქტიკული ბაზას, ფრანგული ენიდან ქართულად თარგმნის საფუძვლებს, იყენებს დარგობრივი ენის საბაზისო ელემენტებს; მიმოიხილავს ფრანგული ენისა და ლიტერატურის, საფრანგეთის ისტორიულ-კულტურული და საზოგადოებრივი განვითარების თემებთან დაკავშირებულ საკვანძო საკითხებს; იყენებს ფრანგულ ენას ზეპირ და წერით კომუნიკაციაში პროგრამის მიერ დასახული დონის (B2) ფარგლებში უცხოური ენების სწავლის, სწავლებისა და შეფასების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მიხედვით. თავისუფლად წარმართავს საუბარს, კითხულობს სხვადასხვა ტიპის თემატურ ტექსტებს. ისმენს, იგებს, თარგმნის და აანალიზებს სოციოპოლიტიკური, ეკონომიკური, საერთაშორისო კონტექსტის ამსახველ ფრანგულენოვან ორიგინალურ დოკუმენტებს, პრესის, მედია საშუალებების მასალებს. ახდენს აუდიო-ვიდეო და ტექსტუალური მასალის ინტერპრეტაციას და რეპროდუცირებას. ეფექტურად იყენებს ფრანგულ ენას პროფესიულ საქმიანობასა და შემდგომი სწავლის პროცესში. წარმართავს დისკუსიას როგორც ენის, ასევე ლიტერატურის სხვადასხვა საკითხზე ენის მატარებელთან. სპონტანურად და შეუფერხებლად საუბრობს სხვადასხვა თემაზე, განმარტავს საკუთარ დამოკიდებულებას გარკვეული აქტუალური საკითხისადმი და მიუთითებს სხვადასხვა შესაძლებლობების უპირატესობებსა და ნაკლოვან მხარეებს; მონაწილეობს დარგობრივ დისკუსიაში აღწერს და განაზოგადებს დარგობრივი (სოციალური, ეკონომიკური, საერთაშორისო, იურიდიული, ტურიზმის) სფეროს ლექსიკას და ლექსიკის პრაქტიკულ ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ საბაზისო თეორიულ საკითხებს; ავლენს სათანადო წერით უნარებს. თარგმნის ლინგვისტურ და ლიტერატურულ ტექსტებს. ამზადებს აკადემიური და კვლევითი პროექტის დეტალურ წერილობით ანგარიშს, აწარმოებს სხვადასხვა ტიპის საქმიან და წერილობით კორესპონდენციას, ახდენს დარგობრივი მასალის რეზიუმირებასა და რეფერირებას. თარგმნის საშუალო სირთულის მოთხრობებსა და ესეებს. ადარებს ლიტერატურული თარგმანის ვერსიებს და ანალიზის საფუძველზე წერილობით წარმოადგენს არგუმენტირებულ დასკვნებს; საბაზისო დონეზე აფასებს ლინგვისტურ, ისტორიულ და სოციო-კულტურულ პროცესებს. განაზოგადებს და აანალიზებს ენასთან დაკავშირებულ თეორიულ საკითხებს, სოციო-კულტურულ თემებს. ახდენს პროგრამაში

ინტეგრირებული ლინგვო-კულტურული საკითხების სინთეზს. მიმოიხილავს ფაქტებსა და მოვლენებს სოციო-ისტორიულ კონტექსტში, ადგენს მათ კავშირს ენის ფუნქციონირების სხვადასხვა სფეროებთან. ანალიზებს ლინგვისტურ კონტენტს ლექსიკო-გრამატიკული, ფონეტიკური, სტილისტური მახასიათებლების გათვალისწინებით. განსაზღვრავს, განასხვავებს და აფასებს სხვადასხვა კულტურას შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებებს, ქვეყნებს შორის ისტორიულ-კულტურულ და თანამედროვე მიმართებებს; საბაზისო დონეზე აფასებს ლიტერატურულ პროცესებს. განაზოგადებს და ანალიზებს ლიტერატურასა და ლიტერატურათმცოდნეობასთან დაკავშირებულ თეორიულ საკითხებს, სოციო-კულტურულ თემებს. ანალიზებს ლიტერატურულ ტექსტებს როგორც ისტორიული, ასევე სტილისტური, პოეტური თვალსაზრისით. ანალიზებს და მიმოიხილავს ლიტერატურული მასალის კავშირს ხელოვნების სხვა დარგებთან (კინო, თეატრი). განაზოგადებს, ანალიზებს და მიმოიხილავს ლიტერატურულ ფაქტებსა და მოვლენებს სოციო-ისტორიულ კონტექსტში. განიხილავს, ანალიზებს და კრიტიკულად აფასებს ლიტერატურულ თემებს, ჟანრების ისტორიის, შუა საუკუნეების, რენესანსის, კლასიციზმის, რომანტიზმის, რეალიზმის და თანამედროვე ევროპელ ავტორთა ტექსტებს; აქტიურად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, ეფექტურად ურთიერთობს სამუშაო/სასწავლო/პროფესიულ ჯგუფში. თანამედროვე მეთოდების საფუძველზე ახდენს მონაცემთა ინტერპრეტაციას და სათანადო საკომუნიკაციო მიზნობრიობით თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით მასალის პრეზენტაციას; ასრულებს კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად; აღიარებს და იცავს პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს, განსჯის საკუთარ ქმედებებს. საბაკალავრო საფეხურზე მიღებული ცოდნისა და უნარების საფუძველზე განსაზღვრავს საკუთარ მიზნებსა და იდეალებს, კრიტიკული ანალიზის საფუძველზე აყალიბებს პიროვნულ ეთიკას; ამჟღავნებს დამოუკიდებლად სწავლის, თვითორგანიზებისა და დროის მართვის უნარს. დამოუკიდებლად, მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში, წინასწარ შეთანხმებული რეკომენდაციების/ინსტრუქციების საფუძველზე გეგმავს სასწავლო პროცესს, იყენებს ფართო სპექტრის საბიბლიოთეკო წიგნიერი ფონდისა თუ ონლაინ, მულტიმედია რესურსებს. ზრუნავს თავის აკადემიურ და პროფესიულ განვითარებაზე. ამჟღავნებს განათლების შემდგომ (სამაგისტრო) საფეხურზე სწავლის გაგრძელების მზაობას; ავლენს ნაცნობ და უცნობ (არაპროგნოზირებად), მათ შორის ინტერდისციპლინურ და ინტერკულტურულ გარემოში ადეკვატურად ოპერირების უნარს. ადეკვატურად აღიქვამს, იგებს და პატივს სცემს კულტურული მრავალფეროვნებას, კულტურათაშორის განსხვავებებს. ახასიათებს ტოლერანტობა, ავლენს დემოკრატიული ფასეულობების განსხვავებული კონფესიების, კულტურებისა და აზრის მიმართ პატივისცემას.

ანალიზი - ფრანგული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის გაწერილი და აღწერს იმ ცოდნას და უნარებს, რომლებსაც სტუდენტი იძენს სწავლის პერიოდში. სწავლის შედეგები რეალისტური, მიღწევადი, გაზომვადია და შეესაბამება პროგრამის მიზანს, ენის დაუფლების დარგობრივ მახასიათებელს, სწავლის სფეროს სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს, სწავლის სფეროების კლასიფიკატორით განსაზღვრულ დეტალური სფეროს შინაარსს (0231.1.6 ფრანგული ფილოლოგია) და მისანიჭებელ კვალიფიკაციას - „ფრანგული ფილოლოგიის ბაკალავრი“. პროგრამის შედეგების შემუშავებაში

ჩანს მონაწილე და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, რომლებიც უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების გაცნობას დაინტერესებული საზოგადოებისათვის. საბაკალავრო პროგრამის სწავლების შედეგები შედგენილია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონის საკვალიფიკაციო აღმწერის მოთხოვნებით, თანმიმდევრულია და ვითარდება სირთულის, კომპლექსურობისა და სწავლის სფეროს შინაარსის მიხედვით. სწავლის შედეგები პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნების რელევანტურია და იძლევა უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე სწავლის გაგრძელების, ასევე მიღებული ცოდნის გავრცელებით საზოგადოებრივ ცხოვრებაში წვლილის შეტანის, მულტიკულტურული ღირებულებების დამკვიდრების შესაძლებლობას. პროგრამის შედეგები არის გაზომვადი და მიღწევადი, რაც დასტურდება კურსდამთავრებულთა გამოკითხვების ანალიზით და ასევე პირადი ინტერვიუებიდან.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა - იტალიანისტიკა, პირველი საფეხური

აღწერა - პროგრამას აქვს სწავლის 10 შედეგი: - იცის იტალიური ენა B2 დონეზე უცხოური ენების სწავლის, სწავლებისა და შეფასების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მიხედვით და იყენებს მას მთელი რიგი წერილობითი (მათ შორის კორესპონდენციის) და ზეპირმეტყველების მიზნებისათვის, თავისუფლად წარმართავს საუბარს, კითხულობს, ისმენს, ესმის, თარგმნის, აანალიზებს იტალიურ ენაზე შესრულებულ სტილისტური თვალსაზრისით სხვადასხვა ტიპის ტექსტებს, იურიდიულ-ეკონომიკური ხასიათის დოკუმენტაციას; შეუძლია მათი ინტერპრეტაცია, თარგმნა და, საჭიროების შემთხვევაში, ზეპირი რეპროდუქცია. მსჯელობს არგუმენტირებულად სხვადასხვა თემებზე; - განასხვავებს მხატვრული ლიტერატურის, ბიზნეს ენისათვისა და პრესის ენისათვის დამახასიათებელ ლექსიკურ, მორფოლოგიურ-სინტაქსურ და სტილისტურ თავისებურებებს და ახდენს ამ ცოდნის დემონსტრირებას პრაქტიკულად ზეპირი თუ წერილობითი ტექსტის შექმნის დროს; - აღწერს იტალიის სახელმწიფოს ჩამოყალიბების ისტორიასთან დაკავშირებულ ძირითად და მნიშვნელოვან საკითხებს, მიმოიხილავს იტალიური ლიტერატურის მიმდინარეობების მნიშვნელოვან წარმომადგენლებსა და ნიმუშებს (მეთორმეტე საუკუნიდან დღემდე) და განიხილავს მათ ისტორიულ-კულტურული მოვლენების ფონზე; - აღწერს და მიმოიხილავს იტალიური ენის სტრუქტურას (მორფოლოგია, სინტაქსი); განსაზღვრავს იტალიური ენის სტილისტიკისა და ლექსიკოლოგიის ზოგად მახასიათებლებსა და სპეციფიკურ ნიშნებს; - განსაზღვრავს, აღწერს და მიმოიხილავს იტალიის გეოგრაფიულ, სოციალურ-კულტურულ თავისებურებებს, ენის ჩამოყალიბების, ლიტერატურულ, ისტორიულ პროცესებს და აკავშირებს მათ ერთმანეთთან; - კითხულობს, ისმენს, ესმის, თარგმნის, აანალიზებს იტალიურ ენაზე კონკრეტული და აბსტრაქტული თემების მქონე რთული ტექსტების არსებით შინაარსს, აქვს მათი ინტერპრეტაციისა და რეპროდუქციის უნარი; საუბრობს სპონტანურად და შეუფერხებლად, თავისუფლად გამოხატავს თავის აზრს. წერილობით მკაფიოდ აყალიბებს თავის აზრებსა და შეხედულებებს სხვადასხვა თემებზე; წერს ანგარიშს, საქმიან წერილს, მოთხრობასა და სხვადასხვა ტიპის ესეს, მოჰყავს არგუმენტები სხვადასხვა შეხედულებების საწინააღმდეგოდ ან მხარდასაჭერად. საჭიროებისამებრ იყენებს იურიდიულ-ეკონომიკურ ტერმინოლოგიას, ქმნის შესაბამის წერილობით ტექსტებს და თარგმნის მათ (ქართულიდან იტალიურად და იტალიურიდან ქართულად); - მოიძიებს იტალიის ისტორიასთან, ლიტერატურასთან, ენასთან, სხვადასხვა სოციალურ-კულტურულ აქტუალურ საკითხთან დაკავშირებულ მასალებსა და მონაცემებს; ახდენს ლიტერატურული ტექსტების

ინტერპრეტაციასა და ანალიზს; ამზადებს აკადემიური ან კვლევითი პროექტის დეტალურ წერილობით ან ზეპირ ანგარიშს შეძენილი უნარების გამოყენებით: მასალის ანალიზის, არგუმენტირებული და თანმიმდევრული მსჯელობის, დასაბუთებული დასკვნების გამოტანის საფუძველზე; - აქტიურად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს; ეფექტურად ურთიერთობს სამუშაო /სასწავლო/ პროფესიულ ჯგუფში, მონაწილეობს პროფესიულ კონტექსტში სხვადასხვა ტიპის დისკუსიებში ქართულ და იტალიურ ენებზე. ავლენს ნაცნობ და უცნობ (არაპროგნოზირებად), მათ შორის ინტერდისციპლინურ და ინტერკულტურულ გარემოში დროისა და შრომის ორგანიზების უნარს; - აღიარებს და იცავს პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს. იცავს აკადემიური პატიოსნების სტანდარტებს, ინტერპერსონალური ურთიერთობების ეთიკას, დემოკრატიულ ფასეულობებს. პატივს სცემს კულტურათაშორის განსხვავებებს, კულტურულ მრავალფეროვნებას, ახასიათებს ტოლერანტობა, განსხვავებული კონფესიების, კულტურებისა და აზრის პატივისცემა; - ზრუნავს თავის აკადემიურ და პროფესიულ განვითარებაზე, ამჟღავნებს დამოუკიდებლად სწავლის, თვითორგანიზებისა და დროის მართვის უნარს;

ანალიზი - იტალიანისტიკის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის გაწერილი და აღწერს იმ ცოდნას და უნარებს, რომლებსაც სტუდენტი იძენს სწავლის პერიოდში. სწავლის შედეგები რეალისტური, მიღწევადი, გაზომვადია და შეესაბამება პროგრამის მიზანს, ენის დაუფლების დარგობრივ მახასიათებელს, სწავლის სფეროს სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს, სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მუხლი 3-ით განსაზღვრულ დეტალური სფეროს შინაარსს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას - „იტალიანისტიკის ბაკალავრი“. პროგრამის შედეგების შემუშავებაში ჩანს მონაწილე და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, რომლებიც უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების გაცნობას დაინტერესებული საზოგადოებისათვის.

საბაკალავრო პროგრამის სწავლების შედეგები შედგენილია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონის საკვალიფიკაციო აღმწერის მოთხოვნებით, თანმიმდევრულია და ვითარდება სირთულის, კომპლექსურობისა და სწავლის სფეროს შინაარსის მიხედვით. სწავლის შედეგები პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნების რელევანტურია და იძლევა უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე სწავლის გაგრძელების, ასევე მიღებული ცოდნის გავრცელებით საზოგადოებრივ ცხოვრებაში წვლილის შეტანის, მულტიკულტურული ღირებულებების დამკვიდრების შესაძლებლობას. პროგრამის შედეგები არის გაზომვადი და მიღწევადი, რაც დასტურდება კურსდამთავრებულთა გამოკითხვების ანალიზით და ასევე პირადი ინტერვიუებიდან. მაგალითად, დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების მოთხოვნის საფუძველზე, იტალიანისტიკის საბაკალავრო პროგრამას დაემატა დარგობრივი საგნები. ასევე, დამსაქმებელთან (ქართულ-იტალიური საგანმანათლებლო არასამთავრობო ორგანიზაცია მინერვა) საუბრისას აღინიშნა, რომ 2018-2019 სასწავლო წლიდან იტალიის საელჩოს ძალისხმევით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით, საქართველოს სკოლებში დაიწყო იტალიური ენის, როგორც მეორე და მესამე უცხოური ენის სწავლება. 2022-2023 სასწავლო წლისთვის ამ სკოლების რაოდენობა 55-ს შეადგენს. აქტიური 40 მასწავლებლიდან 20 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

იტალიური ფილოლოგიის კურსდამთავრებულია, თუმცა ვინაიდან იტალიური ენის შესწავლის მსურველი სკოლები მუდმივად მზარდია, ამჟამინდელი მონაცემების - იტალიური ენის მასწავლებლების არსებული რაოდენობა, სამწუხაროდ, საკმარისი აღარ არის. შესაბამისად, სასურველია, რომ იტალიანისტიკის პროგრამას გაეწიოს შესაბამისი პიარი, ვინაიდან როგორც სამუშაო ბაზრის მონაცემებმა უჩვენა, მოთხოვნილება იტალიური ენის სპეციალისტების მზარდია.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7 - ესპანისტიკა, პირველი საფეხური

აღწერა - ესპანისტიკის საბაკალავრო პროგრამით მომზადებული ბაკალავრი ერუდირებული სპეციალისტია, რომელსაც მიღებული აქვს დარგის შესაბამისი ფართო და ზოგადი განათლება სპეციალობის განმსაზღვრელ ძირითად ზოგადთეორიულ და პრაქტიკულ დისციპლინებში; ესპანისტიკის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული: აღწერს და მიმოიხილავს ესპანური ენის სტრუქტურას (ფონეტიკა-ფონოლოგია, მორფოლოგია, სინტაქსი); განსაზღვრავს ესპანური ენის სტილისტიკისა და ლექსიკოლოგიის ზოგად მახასიათებლებსა და საერთო ნიშნებს; ესპანურ ენაში ავლენს უცხოური ენების სწავლის, სწავლებისა და შეფასების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს ენობრივი კომპეტენციის B2.2 დონის შესაბამის ენობრივ საკომუნიკაციო კომპეტენციებს (წერა, კითხვა, მოსმენა, ზეპირმეტყველება); ათვისებული ლექსიკური მარაგსა და გრამატიკულ სტრუქტურებს მაქსიმალურად თავისუფლად იყენებს საუბრისა და დისკუსიის წარმართვისას და წერილობით ფორმით აზრის გამოთქმის პროცესში. მაქსიმალურად თავისუფლად იყენებს ათვისებულ ლექსიკურ მარაგს სხვადასხვა თემატიკაზე ესპანურენოვანი ტექსტების (საგაზეთო, პუბლიცისტური, მხატვრული, საგანმანათლებლო, იურიდიული, ბიზნეს და ტურიზმის) გაცნობა/გაცნობიერებისთვის, ასევე საუბრისა და დისკუსიის წარმართვისას; წერილობით ფორმით აზრის გამოთქმის პროცესში. შეუძლია სხვადასხვა ტიპის ტექსტების რედაქტირება, რეფერირება, კომენტირება და ანოტირება. ფლობს და იყენებს სათანადო დარგობრივ ტერმინოლოგიას; განსაზღვრავს, აღწერს და მიმოიხილავს ესპანისტიკის არსს, ნიშნებს, ფუნქციებს, ფუნდამენტურ პრინციპებს, თეორიებს; განსაზღვრავს, აღწერს და მიმოიხილავს ესპანური ენის ისტორიული განვითარების დიაქრონიული ჭრილში: ესპანური ენის წარმოშობისა და ისტორიული ევოლუციის ძირითად ეტაპებს: ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური დონის ცვლილებებს; რადიკალური ცვლილებების განმაპირობებელ იმ ლინგვისტურ და ექსტრალინგვისტური ფაქტორებს, რამაც განაპირობა ესპანური ენის თანამედროვე სახით ჩამოყალიბება; აღწერს ესპანური ენის გავრცელების არეალებს და მათ თავისებურებებს. ესპანურ ენას იბერიის ნახევარკუნძულზე და მის ფარგლებს გარეთ; ლათინური ამერიკის ესპანური ენის თავისებურებებს; აფრიკული ელემენტებს ესპანურში; სხვადასხვა რეგიონალიზმებს ამერიკის ესპანურ ენაში. აღწერს და მიმოიხილავს ესპანეთის შუა საუკუნეების, ახალ და უახლესი ისტორიისა და კულტურას; ესპანელთა წვლილს მსოფლიო კულტურულ მემკვიდრეობაში; ესპანურ ცივილიზაციას; ესპანელი ხალხის ადგილსა და როლს ევროპასა და ზოგადად მსოფლიო ისტორიის კონტექსტში; იბერიის ნახევარკუნძულის გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას; თანამედროვე ესპანეთში მიმდინარე სოციალ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებს. აღწერს და მიმოიხილავს ესპანური ლიტერატურის განვითარების ძირითად ეტაპებს; ჟანრებს, მნიშვნელოვანი ავტორების შემოქმედებას, მათი ნაწარმოებების კონცეპტუალურ და სტილისტურ მახასიათებლებს. ლათინურ ამერიკული ლიტერატურის მთავარ მიმდინარეობებს და სკოლებს. პირველ ესპანურ და სამხრეთამერიკულ ხელნაწერებს. განსხვავებს ესპანური და სამხრეთ ამერიკული ლიტერატურის საერთო და განმასხვავებელ მახასიათებლებს. აღწერს თარგმანის თეორიის ძირითად პრინციპებს და განსაზღვრავს

მხატვრული თარგმანის სპეციფიკას. ერკვევა ესპანურიდან ქართულად და ქართულიდან ესპანურად წერილობითი და ზეპირი თარგმანის ნიუანსებში, მზადაა სხვადასხვა სფეროში სათარგმნო პრაქტიკისთვის; ესპანისტიკის დარგობრივ სფეროში ამოიწმინდოს/იდენტიფიცირებს კომპლექსურ პრობლემებს და იყენებს მათი გადაჭრისთვის დარგის ზოგიერთ გამორჩეულ მეთოდს; პროგრამით მიღებული შესაბამისი ფართო ჰუმანიტარული ცოდნის, უნარების საფუძველზე აანალიზებს და აფასებს ლინგვისტურ, ლიტერატურულ და ისტორიულ პროცესებს; არჩევს ისტორიულ ფაქტებისა და მოვლენებს ისტორიულ კონტექსტში. ისმენს, კითხულობს, თარგმნის, განმარტავს, ადგენს მაპროფილებელ ესპანურ ენაზე უცხოური ენების სწავლის, სწავლებისა და შეფასების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს ენობრივი კომპეტენციის B2.2 დონის შესაბამის სხვადასხვა ხასიათის ტექსტებს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის პროცესში ზეპირი და წერილი თარგმანის ტექნიკის გამოყენებით; მოიძიებს და იყენებს ქართულ და ესპანურ ენებზე არსებულ წერილობით, ზეპირ და სხვა სახის წყაროებს, შესაბამის მულტიმედიურ და საბიბლიოთეკო რესურსებს. მონაწილეობს დარგობრივ დისკუსიაში, მსჯელობს არგუმენტირებულად და თანმიმდევრულად ესპანურ ენაზე. კურსდამთავრებული მსჯელობს ესპანურ ენაზე სხვადასხვა ტრადიციაში და ეპოქაში გამოთქმულ შეხედულებებზე და ახდენს სხვადასხვა დროისა და ტრადიციის ტექსტების განმარტებას, ანალიზს და არგუმენტირებას; ადეკვატურად იყენებს დარგობრივი ესპანური ენისთვის დამახასიათებელ ტერმინებს. აკეთებს წარმოდგენილი არგუმენტების კრიტიკულ შეჯამებას, შეფასებას და დასკვნას; გამოყოფს ინფორმაციაში კონცეპტუალურ პრიორიტეტებს, იყენებს საინფორმაციო ტექნოლოგიებს, როგორც საკომუნიკაციო და სასწავლო ინსტრუმენტს; ფლობს თარგმნის პრაქტიკული უნარ-ჩვევებს; განვითარებული აქვს ტერმინოლოგიური ეკვივალენტებისა და მთარგმნელობითი შესატყვისობების მოძებნის უნარი; განვითარებული აქვს ზეპირი და წერილი თარგმანის ტექნიკის დაწყებითი უნარები; სათარგმნ ენასთან ერთად სრულყოფს ქართულ ენას. ესპანისტიკის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ ბაკალავრს კარგად აქვს გაცნობიერებული პროფესიული პასუხისმგებლობა, აკადემიური და ეთიკური ნორმები, ზრუნავს თავის აკადემიურ და პროფესიულ განვითარებაზე, ამჟღავნებს დამოუკიდებლად სწავლის, თვითორგანიზებისა და დროის მართვის უნარს; ავლენს ნაცნობ და უცნობ (არაპროფნოზირებად), მათ შორის ინტერდისციპლინურ და ინტერკულტურულ გარემოში დროისა და შრომის ორგანიზების უნარს. იცავს აკადემიური პატიოსნებისა და კოლეგიალობის სტანდარტებს; ინტერპერსონალური ურთიერთობების ეთიკას. აქვს კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის, ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარი; ახასიათებს ტოლერანტობა, განსხვავებული კონფესიების, კულტურებისა და აზრის პატივისცემა; დემოკრატიული ფასეულობების პატივისცემა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა.

ანალიზი - ესპანისტიკის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას და უნარებს, რომლებსაც სტუდენტი იძენს სწავლის პერიოდში.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზანს, ენის დაუფლების დარგობრივ მახასიათებელს, სწავლის სფეროს სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს, სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მუხლი 3-ით განსაზღვრულ დეტალური სფეროს შინაარსს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას - „ესპანისტიკის ბაკალავრი“.

პროგრამის შედეგების შემუშავებაში ჩანს მონაწილე და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, რომლებიც უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების გაცნობას დაინტერესებული საზოგადოებისათვის.

საბაკალავრო პროგრამის სწავლების შედეგები შედგენილია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონის საკვალიფიკაციო აღმწერის მოთხოვნებით, თანმიმდევრულია და ვითარდება სირთულის, კომპლექსურობისა და სწავლის სფეროს შინაარსის მიხედვით.

სწავლის შედეგები პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნების რელევანტურია და იძლევა უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე სწავლის გაგრძელების, ასევე მიღებული ცოდნის გავრცელებით საზოგადოებრივ ცხოვრებაში წვლილის შეტანის, მულტიკულტურული ღირებულებების დამკვიდრების შესაძლებლობას.

მაგალითად, დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების მოთხოვნის საფუძველზე, ესპანისტიკის საბაკალავრო პროგრამას დაემატა დარგობრივი საგნები.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 8 - რომანული ფილოლოგია - სამაგისტრო პროგრამა

აღწერა - რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს, კურიკულუმით გათვალისწინებული თეორიული და პრაქტიკული სასწავლო დისციპლინების შესწავლის საფუძველზე, აქვს ფილოლოგიის დარგობრივი სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, ფლობს სათანადო საენათმეცნიერო და ლიტერატურათმცოდნეობით სამეცნიერო აპარატს და დარგობრივ სფეროში მუშაობის მეთოდებს; რომანული ფილოლოგიის მაგისტრი ფლობს პროგრამის თითოეული მოდულის შესაბამის ენას (ფრანგული, ესპანური, იტალიური) უცხოური ენების სწავლის, სწავლებისა და შეფასების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს C1 დონეზე, რაც ნიშნავს, რომ დამოუკიდებლად ოპერირებს ზეპირი და წერილით კომუნიკაციის კონტექსტში შესაბამის დონეზე; ანალიზებს რომანულ და ქართულ ენებს შედარებით ჭრილში. ეძებს და ამყარებს რომანულ ენობრივ სისტემებსა და შესაბამის სოციალურ სტრუქტურებს შორის არსებულ ურთიერთმიმართებებს. მასალის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე გამოკვეთს კვლევის ახალი მიმართულებებს; წარმართავს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას ლიტერატურული კომპარატივის კვლევის სფეროში. ლიტერატურას განიხილავს ფართო ინტერდისციპლინარულ კონტექსტში; ასახელებს და მიმოიხილავს ლინგვისტური და ლიტერატურული თარგმანის პრინციპებს. აქვს მთარგმნელობითი სფეროს შესაბამისი კომპეტენციები, რომლებიც საშუალებას აძლევს, განახორციელოს ლინგვისტური და ლიტერატურული ტექსტების თარგმნა და კრიტიკა; ამჟღავნებს თანამედროვე შრომითი ბაზრის შესაბამის დარგობრივ ცოდნასა და უნარებს, რომლებიც, როგორც უშუალოდ დარგობრივ, ასევე ახალ, გაუთვალისწინებელ გარემოში ან (მომიჯნავე) მულტიდისციპლინურ კონტექსტში ოპერირების საშუალებასაც აძლევს; ფრანგული/ესპანური/იტალიური ფილოლოგიის მაგისტრი ამოიცნობს, იდენტიფიცირებს ახდენს და დარგში მიღებული კვლევის მეთოდების გამოყენებით გადაჭრის ზოგადად რომანული ფილოლოგიის და კერძოდ, ფრანგული, იტალიური, ესპანური ფილოლოგიის დარგობრივ სფეროებში კომპლექსურ პრობლემებს; შეძენილ ცოდნის იყენებს

ახალ, გაუთვალისწინებელ გარემოში ან (მომიჯნავე) მულტიდისციპლინურ კონტექსტში; ეძიებს კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალ, ორიგინალურ გზებს, მათ შორის, დამოუკიდებლად ახორციელებს კვლევას უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; პროგრამით მიღებული შესაბამისი ღრმა და სისტემური ჰუმანიტარული ცოდნის საფუძველზე მაგისტრს აფასებს და აანალიზებს ლინგვისტურ და ლიტერატურულ ფაქტებს, დამოუკიდებლად გამოაქვს საფუძვლიანი მეცნიერული დასკვნები. აქვს სამეცნიერო და მხატვრული ტექსტების კრიტიკის უნარი; ჰუმანიტარული სფეროსთვის დამახასიათებელი კვლევითი მეთოდების გამოყენებით ამუშავებს წყაროებს და ახორციელებს კვლევითი ან ანალიტიკური ხასიათის პროექტს; ფრანგული/ესპანური/იტალიური ფილოლოგიის მაგისტრი ფრანგული/იტალიური/ესპანური და სხვა ევროპული ენების (ინგლისური/გერმანული/ფრანგული) ან, არჩევის შემთხვევაში, ესპანური/იტალიური გავლის შემთხვევაში პრაქტიკულად იყენებს ამ ენებს მთელი რიგი წერილობითი კორესპონდენციისა და ზეპირმეტყველების მიზნებისათვის. აქვს საუბრის თავისუფლად წარმართვის უნარ-ჩვევები, სხვადასხვა ტიპის ტექსტების (მათ შორის, სამეცნიერო ლიტერატურის) წაკითხვის, მოსმენის, გაგების, თარგმნის, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და რეპროდუქციის უნარი. ეფექტურად იყენებს ამ ენებს პროფესიულ საქმიანობაში ან შემდგომი სწავლის პროცესში ფართო აკადემიური მიზნებისთვის; ავლენს დამოუკიდებლად სწავლისა და კვლევის შესაბამის უნარებს; ფრანგული, იტალიური და ესპანური ფილოლოგიის მაგისტრს აცნობიერებს პროფესიულ, სოციალურ და ეთიკურ პასუხისმგებლობებს და იცავს სათანადო აკადემიურ და ეთიკურ ნორმებს. შეუძლია საკუთარ თავზე მუშაობა და მაგისტრატურაში მიღებული ცოდნისა და უნარების დარგობრივ საქმიანობაში დამოუკიდებლად სრულყოფა; შეუძლია სამეცნიერო დარგობრივ ლიტერატურაზე დამოუკიდებელი მუშაობით ცოდნის განახლება; მას აქვს განათლების შემდგომ (სადოქტორო) საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

ანალიზი - რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის გაწერილი და აღწერს იმ ცოდნას და უნარებს, რომლებსაც სტუდენტი იძენს სწავლის პერიოდში. სწავლის შედეგები რეალისტური, მიღწევადი, გაზომვადია და შეესაბამება პროგრამის მიზანს, ენის დაუფლების დარგობრივ მახასიათებელს, სწავლის სფეროს სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს, სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მუხლი 3-ით განსაზღვრულ დეტალური სფეროს შინაარსს (0231.1.5 რომანული ფილოლოგია) და მისანიჭებელ კვალიფიკაციას - „ფრანგული ფილოლოგიის მაგისტრი / იტალიური ფილოლოგიის მაგისტრი / ესპანური ფილოლოგიის მაგისტრი“. პროგრამის შედეგების შემუშავებაში ჩანს მონაწილე და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, რომლებიც უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების გაცნობას დაინტერესებული საზოგადოებისათვის. საბაკალავრო პროგრამის სწავლების შედეგები შედგენილია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VII დონის საკვალიფიკაციო აღმწერის მოთხოვნებით, თანმიმდევრულია და ვითარდება სირთულის, კომპლექსურობისა და სწავლის სფეროს შინაარსის მიხედვით. პროგრამა ქმნის შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების, ასევე მიღებული ცოდნის გავრცელებით საზოგადოებრივ ცხოვრებაში წვლილის შეტანის, მულტიკულტურული ღირებულებების დამკვიდრების შესაძლებლობას. პროგრამის სწავლის შედეგებით უზრუნველყოფილია რომანული ფილოლოგიის პრობლემური საკითხების გააზრება, მათი შესწავლა თანამედროვე ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობითი

კვლევის მეთოდებით, აკადემიური სტანდარტების დაცვით, საპირისპირო მოსაზრებათა განხილვის საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ პროგრამის სწავლის შედეგებში დაბალანსებულად აისახება პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგები. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ინტერვიუებით დადასტურდა პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირებაში აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულთა ჩართულობა, რამაც განაპირობა მათი აკადემიური და პრაქტიკული ღირებულება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიში თვითშეფასების ანგარიში
- კლასტერში დაჯგუფებული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები და სილაბუსები
- პროგრამების მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი
- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ანგარიში
- თსუ მისია და სტრატეგიული გეგმა
- ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი
- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს კვალიფიკაციათა აღმწერი დონეების მიხედვით (მეექვსე და მეშვიდე დონის კვალიფიკაცია)
- სააკრედიტაციო ვიზიტისას გამართული ინტერვიუს შედეგები (აფილირებულ და მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან.
- სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვების ანალიზი
- ვიზიტისას გამართული ინტერვიუს შედეგები (ადმინისტრაციასთან, აფილირებულ და მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან)

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაცია:

პროგრამა 1 (დასახელება, საფეხური)

რჩევები:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (კლასიკური ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ზიზანტიური ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (ახალი ბერძნული ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (ბერძნულ- რომაული ფილოლოგია, მეორე საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ფრანგული ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (იტალიანისტიკა, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (ესპანისტიკა, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (რომანული ფილოლოგია, მეორე საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

აღწერა: საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება უწყვეტი პროცესია, რომელიც გულისხმობს დაგეგმვის, მონაცემთა შეგროვების, მონიტორინგისა და ანალიზის პროცედურებს. კლასტერში დაჯგუფებული პროგრამებისთვის განსაზღვრულია სწავლის შეფასების მექანიზმები, მათ შორის სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემების განსაზღვრის, შეგროვებისა და ანალიზის პროცედურები, რაც გამოყენებულია სწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად, პროგრამის გასავითარებლად.

სწავლის შედეგების შეფასება განსაზღვრულია უნივერსიტეტის ნორმატიული აქტებით.

სწავლის შედეგების შეფასებას ახორციელებს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ჯგუფი, რომელშიც ჩართულია ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრი, პროგრამის ხელმძღვანელები, აგრეთვე, პროგრამის განხორციელებაში მონაწილე აკადემიური პერსონალი და დოქტორანტები.

თითოეული პროგრამის აკადემიური პერსონალი, პროგრამის მოწვეული პერსონალი და პროგრამის განხორციელებაში ჩართული სხვა დაინტერესებული პირები იცნობენ პროგრამაში გამოყენებულ სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს, რამდენადაც ის განხილულ იქნა საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების, შემუშავებისა და განვითარების კომიტეტზე და დამტკიცებულ იქნა ფაკულტეტისა და თსუ აკადემიურ საბჭოებზე. პროგრამის სწავლის შედეგები საჯარო და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისათვის.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი მოიცავს პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდებს. პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი მექანიზმი გულისხმობს რამდენიმე აქტივობას. კერძოდ, განისაზღვრება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა, სადაც მოცემულია პროგრამის კონკრეტული შედეგი, ის სასწავლო კურსი, აქტივობა, გამოცდა, ან სხვა, რომლითაც ხდება შეფასება. განისაზღვრება შეფასების მეთოდი, სამიზნე ნიშნული, რომელიც უნდა იქნეს მიღწეული, მონაცემების შეგროვების დრო, პასუხისმგებელი პირი, მიღებული შედეგების ანალიზი და ანალიზის შედეგად განხორციელებული ცვლილებები. აღწერილი სქემა მოიცავს პროგრამის სწავლის შედეგის, პროგრამის ყველა სავალდებულო საგნის და კვლევითი კომპონენტის ურთიერთკავშირს.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი მექანიზმის შემადგენელია პროგრამის სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა და განსაზღვრული სამიზნე ნიშნულის მიღწევის კონტროლი. სამიზნე ნიშნული ორი მიმართულებით განისაზღვრება: პირველი, პროგრამის კონკრეტულ სწავლის შედეგთან კონკრეტული სასწავლო კურსის/კვლევითი კომპონენტის განსაზღვრისა და შეფასების მეთოდის დაკონკრეტების შემდგომ, ხდება ამ სასწავლო კურსში/კვლევით კომპონენტში მიღწეული შედეგის სამიზნე ნიშნულის დადგენა და შემდგომ პერიოდში მისი კონტროლი.

გარდა ამისა, სამიზნე ნიშნული დადგინდება სხვა მიმართულებითაც, რომლის განსაზღვრად, ძირითადად, გამოიყენება შემდეგი მონაცემები: • პროგრამის კურსდამთავრებულთა პროცენტული მაჩვენებელი, • პროგრამის კურსდამთავრებულთა საშუალო GPA; • პროგრამიდან განთავის მაჩვენებელი. აღნიშნული შეფასების მეთოდი პროგრამის სწავლის შედეგის კონტროლის კომპლექსურ მექანიზმს აყალიბებს. მეორე, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ირიბი მექანიზმებია: • კურსდამთავრებულთა გამოკითხვა ან ფოკუს ჯგუფთან შეხვედრა; • დამსაქმებელთა გამოკითხვა ან ფოკუს ჯგუფთან შეხვედრა; • კურსდამთავრებულთა

პროფილური დასაქმების მაჩვენებელი; • აკადემიური/მოწვეული პერსონალის გამოკითხვა. სასწავლო კურსით/კვლევითი კომპონენტით პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება სასწავლო კურსის და კვლევითი კომპონენტის დასრულების შემდგომ შესრულდება. სასწავლო კურსის შეფასება, სასურველია, განხორციელდეს კურსის მიმდინარეობის პროცესშიც, რადგან მიღებული მონაცემების ანალიზი გამოყენებულ იქნეს კურსის დასრულებამდე.

რაც შეეხება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ირიბ მექანიზმებს და მასთან დაკავშირებულ მონაცემებს, ისინი გროვდება სემესტრულად, ხოლო გამოკითხვა ტარდება წელიწადში ერთხელ მაინც.

მიღებული შედეგები ქმნის იმ აუცილებელ მონაცემთა ბაზას, რომელიც პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზისათვის გამოიყენება. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ირიბი მექანიზმების გამოყენების შედეგად მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე შემუშავდება რეკომენდაციები, რომელიც პროგრამაში ცვლილების განხორციელებისთვის დადგენილი პროცედურების მიხედვით განიხილება დაინტერესებულ პირთა ჩართულობით. სწავლის შედეგების შეფასების აღნიშნული მექანიზმით ეტაპობრივად შემოწმდება და შეფასდება კლასტერის შემადგენლობაში შემავალი საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის პროგრამები რეაკრედიტაციის მომდევნო 7 წლის განმავლობაში.

ანალიზი: სწავლის შედეგების შეფასების თვალსაჩინოდ წარმოჩენის მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, შედგენილია რუკები. მათი რაოდენობა და შედგენის პრინციპები, პროგრამების მიხედვით, განსხვავებულია და უმეტეს შემთხვევაში - ბუნდოვანი, რაც მოითხოვს დაზუსტებას:

ბუნდოვანია, სასწავლო წლის განმავლობაში რამდენჯერ ტარდება სწავლის შედეგების მონაცემთა შეგროვება და ანალიზი, ინტერვიუს დროს განსხვავებული პასუხები მივიღეთ სხვადასხვა სამიზნე ჯგუფში (სტუდენტებთან, აკადემიურ პერსონალთან); აუცილებელია, რეგულარულად ტარდებოდეს მონაცემთა შეგროვება (სხვადასხვა მექანიზმით) და მათი ანალიზი, სემესტრულად მაინც.

სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შუალედური შეფასების შემდეგ პროფესორ-მასწავლებლებს არ ეძლევათ შედეგების (ნაწერების) ჯგუფებში განხილვის შესაძლებლობა, რაც არ შეესაბამება განმავითარებელი შეფასების პრინციპებს, ეს პრაქტიკა გადასახედი და შესაცვლელია.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი მოიცავს პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდებს. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი მექანიზმის შემადგენელია პროგრამის სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა და განსაზღვრული სამიზნე ნიშნულის მიღწევის კონტროლი. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ირიბი მექანიზმებია: კურსდამთავრებულთა გამოკითხვა ან ფოკუს ჯგუფთან შეხვედრა; დამსაქმებელთა გამოკითხვა ან ფოკუს ჯგუფთან შეხვედრა; კურსდამთავრებულთა პროფილური დასაქმების მაჩვენებელი; აკადემიური/მოწვეული პერსონალის გამოკითხვა. ამ შემთხვევაშიც მექანიზმები დასაზუსტებელი და უფრო დეტალურად გასაწერია.

სამიზნე ნიშნულების მხოლოდ გამოყოფა, მათი პროცენტული ზღვრების დადგენის გარეშე ამ პროცესს ფორმალურ ხასიათს ანიჭებს.

სწავლის შედეგების შესაბამისობა პროგრამის მიზნებთან მკაფიოდ არაა ასახულია პროგრამების მიზნებისა და შედეგების შესაბამისობის, ასევე შედეგების შეფასება-გაზომვის რუკებზე და მოითხოვს დაზუსტებას.

უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი სწავლის შედეგების რუკები (მიზნებისა და შედეგების შესაბამისობის, კურიკულუმის-სასწავლო კურსებისა და შედეგების, გაცნობა-გაღრმავება-განმტკიცების ნიშნულების, სწავლის შედეგების შეფასების-სამიზნე ნიშნულების) არ არის შედგენილი ერთიანი მიდგომით, არც რაოდენობრივად ემთხვევა ერთმანეთს (ყველა პროგრამას არ ერთვის ყველა რუკა). შესაბამისად, შედეგების რუკები უნდა შედგეს (სამიზნე ნიშნულების რუკა რომანული ფილოლოგიის პროგრამებში), რაც წარმოდგენილია, მოითხოვს გადამუშავებას, გაანალიზებას, დახვეწას და დაზუსტებას, განსაკუთრებით იმ პროგრამებთან მიმართებაში, სადაც რუკებზე ნაჩვენებია, რომ ყველა შედეგი გადის ყველა მიზანზე, ან არ არის დადგენილი პროცენტული ზღვრები სამიზნე ნიშნულებისთვის (ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის მიმართულება); გასათვალისწინებელია, რომ შედეგების რუკებში აისახება მხოლოდ ძირითადი და არა არჩევითი სასწავლო კურსები (როგორც ეს ესპანური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაშია); ეს მნიშვნელოვანია, თუ გავითვალისწინებთ, რომ შედეგების რუკები კარგად წარმოაჩენს, რამდენად აქვს გააზრებული პროგრამის სამუშაო ჯგუფს მიზნებისა და შედეგების ურთიერთმიმართება.

სასურველია თანამშრომლობის გაძლიერება დასაქმების სფეროს წარმომადგენლებთან, მათი მეტი მონაწილეობა პროგრამების შემუშავების, არაპირდაპირ შეფასებისა და პროგრამის მიზნებისა და შედეგების შრომით ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამის დაგეგმვაში.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)⁷

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

⁷ საჭიროების შემთხვევაში აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

საჭიროების მიხედვით, პროგრამების რაოდენობის შესაბამისად, გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის მწკრივები (მითითების ეს ფორმატი, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველი შემდგომი კომპონენტის შეფასების დროს).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პროგრამის სწავლის შედეგების რუკები
- კლასტერში დაჯგუფებული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები და სილაბუსები
- ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება და შეფასება. საუნივერსიტეტო გზამკვლევი
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი
- ვიზიტისას გამართული ინტერვიუს შედეგები (ადმინისტრაციასთან, აფილირებულ და მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან)

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

1. რეკომენდებულია, რომ სასწავლო წლის განმავლობაში რეგულარულად, გარკვეული პერიოდულობით, ტარდებოდეს სწავლის შედეგების მონაცემთა შეგროვება და მათი ანალიზი, მათი შედეგები გაეცნოს დაინტერესებულ მხარეებს და გამოყენებულ იქნეს პროგრამების გასავითარებლად და გასაუმჯობესებლად.

წარმოდგენილი სწავლის შედეგების რუკები (მიზნებისა და შედეგების შესაბამისობის, კურიკულუმის-სასწავლო კურსებისა და შედეგების, გაცნობა-გადრმავება-განმტკიცების ნიშნულების, სწავლის შედეგების შეფასების-სამიზნე ნიშნულების) გაანალიზდეს და გადამუშავდეს; სწავლის შედეგების შეფასების-სამიზნე ნიშნულების რუკები უნდა შედგეს რომანული ფილოლოგიის პროგრამებში (არ არის წარმოდგენილი); რაც წარმოდგენილია, მოითხოვს დახვეწას და დაზუსტებას, განსაკუთრებით იმ პროგრამებთან მიმართებაში, სადაც რუკებზე ნაჩვენებია, რომ ყველა შედეგი გადის ყველა მიზანზე, ან არ არის დადგენილი პროცენტული ზღვრები სამიზნე ნიშნულებისთვის (ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის მიმართულება); გასათვალისწინებელია, რომ შედეგების რუკებში აისახება მხოლოდ ძირითადი და არა არჩევითი სასწავლო კურსები (როგორც ეს ესპანური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში).

- **კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (კლასიკური ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ბიზანტიური ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (ახალი ბერძნული ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (ბერძნულ- რომაული ფილოლოგია, მეორე საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ფრანგული ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (იტალიანისტიკა, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (ესპანისტიკა, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (რომანული ფილოლოგია, მეორე საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

აღწერა: კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები შედგენილია უნივერსიტეტში მოქმედი დებულების (თსუ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის N100/2019 დადგენილება „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურის დამტკიცების შესახებ“) მოთხოვნების შესაბამისად. საუნივერსიტეტო რეგულაციების შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა უნდა იყოს საჯარო და გამჭვირვალე, ხოლო პროგრამის შემდგომ სრულყოფაში უნდა მონაწილეობდნენ დაინტერესებული მხარეები (სტუდენტები, აკადემიური პერსონალი, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები), პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები/კოორდინატორები, როგორც პროფილური, ასევე სხვა დამსაქმებლები, პროფესიული ორგანიზაციის წარმომადგენლები, შესაბამისი პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, უცხოელი სპეციალისტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი და სხვა წევრი/წევრები (ასეთი არსებობისა და საჭიროების შემთხვევაში). პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მიზნით, თსუ-ის აკადემიური საბჭოს მიერ მიღებულ იქნა დადგენილება, რომლის თანახმადაც იქმნება პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების კომიტეტი. კლასიკური, ახალი ბერძნული და რომანული ენების კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების კომიტეტები შეიქმნა 2018 წლის 19 თებერვლის აკადემიური საბჭოს #75/2018 დადგენილებით; ბოლო ცვლილებები აღნიშნულ დარგობრივ კომიტეტებში 2022 წლის 22 ნოემბრის ფაკულტეტის საბჭოს დადგენილებით იქნა შეტანილი; ყოველი პროგრამის ხელმძღვანელი კოორდინირებას უწევს პროგრამაში მონაწილე აკადემიური პერსონალის ჩართულობას პროგრამის განვითარების პროცესში, მათთან შეთანხმებით წყვეტს პროგრამის სახელწოდების, მისანიჭებელი კვალიფიკაციის, პროგრამის სასწავლო გეგმის (სტრუქტურის) შედგენის საკითხებს, სწავლების ორგანიზების თავისებურებების მითითებით. საგანმანათლებლო პროგრამა განიხილება ფაკულტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ან შესაბამისი პროფილის მქონე

აკადემიური პერსონალის სხდომაზე. გადაწყვეტილება პროგრამის შემდგომ ეტაპზე წარდგენის შესახებ ფორმდება ოქმის სახით. პროგრამის შეჯერებული ვარიანტი პროგრამის ხელმძღვანელის/ ხელმძღვანელების/ კოორდინატორის მიერ განსახილველად გადაეცემა პროგრამის კომიტეტს. იგი უზრუნველყოფს კომიტეტის წევრების არგუმენტირებული შენიშვნებისა და მოსაზრებების გათვალისწინებას პროგრამის აღწერილობასა და სილაბუსებში. ფაკულტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ან შესაბამისი პროფილის მქონე აკადემიურ პერსონალთან შეჯერებული პროგრამა განსახილველად გადაეცემა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელსაც კოორდინირებას უწევს თსუ - ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ამოწმებს პროგრამის შესაბამისობას დადგენილ მოთხოვნებთან, ხოლო მათ მიერ დადებითი დასკვნის შემთხვევაში პროგრამა განსახილველად გადაეცემა ფაკულტეტის საბჭოს.

ფაკულტეტის საბჭო განიხილავს პროგრამას და თანხმობის შემთხვევაში, მას გადაუზღავნის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წინაშე წარსადგენად.

პროგრამას დასამტკიცებლად თსუ-ის აკადემიურ საბჭოს წარუდგენს თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. პროგრამას ამტკიცებს თსუ-ის აკადემიური საბჭო.

პროგრამაში ცვლილების შეტანა ხდება პროგრამის დამტკიცებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.

პროგრამის შემადგენელი საგნების შინაარსი მოცემულია შესაბამისი სილაბუსებში.

სწავლების პროცესში გამოყენებულია დასავლეთის წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილება და სწავლა-სწავლების ინტერაქტიური, თანამედროვე მიდგომები. პროგრამების შინაარსი პროგრამის სწავლის სფეროსა და საფეხურის თავისებურებებიდან გამომდინარე, ითვალისწინებს ინტერნაციონალიზაციის ძირითად საკითხებს; საბაკალავრო საფეხურზე გათვალისწინებულია უცხო ენების სწავლება, სამაგისტრო საფეხურზე უცხო ენის ცოდნის ამაღლება; სამაგისტრო დონეზე პროგრამაზე მიღების ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს უცხო ენის B2 დონის გამოცდის ჩაბარება.

მნიშვნელოვანია პროგრამების განხორციელების ბოლო ეტაპზე სავალდებულო სტატუსის მქონე საბაკალავრო ნაშრომის (10 კრედიტი) შესრულება. საბაკალავრო ნაშრომი ერთგვარად აჯამებს იმ მისაღწევ მიზანს, რომლისკენაც ისწრაფვის პროგრამა: სტუდენტს ექნება გაცნობიერებული ცოდნა, დასკვნის, კრიტიკული აზროვნების, მსჯელობის, ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარები, მისი ცოდნა მიმართული იქნება ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრებისაკენ.

საბაკალავრო პროგრამების მოცულობა: რვა სემესტრი (240 ECTS კრედიტი). საბაკალავრო 240 ECTS კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად: 50 ECTS კრედიტი ეთმობა ჰუმანიტარული კომპეტენციის საბაზო სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს. 120 ECTS კრედიტი განკუთვნილია ძირითადი (მაპროფილებელი) სპეციალობის ძირითადი და არჩევითი დისციპლინებისათვის. 60 ECTS კრედიტის ფარგლებში სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა აირჩიოს სასურველი

დამატებითი პროგრამა, ხოლო 10 ECTS კრედიტი განსაზღვრულია სტუდენტის ე.წ. თავისუფალი არჩევანისათვის. 10 ECTS კრედიტი განკუთვნილია საბაკალავრო ნაშრომისთვის.

კლასტერში შემავალი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები - ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - სამ-სამ მოდულიანია: კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტიური ფილოლოგიისა და ახალი ბერძნული ფილოლოგიის მოდულები ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში და ფრანგული ფილოლოგიის, იტალიური ფილოლოგიისა და ესპანური ფილოლოგიის მოდულები რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში. აღნიშნული სამაგისტრო პროგრამების შემადგენელი კომპონენტებია პროგრამისა და შესაბამისი სასპეციალიზაციო მოდულის სავალდებულო და არჩევითი კურსები და სამაგისტრო ნაშრომი, რომლის თემატიკაც სფეროსა და მისი კვლევის თანამედროვე მდგომარეობის შესაბამისად შეირჩევა, სტუდენტის აკადემიური და პროფესიული ინტერესების გათვალისწინებით, სტუდენტისა და მისი ხელმძღვანელის ერთობლივი გადაწყვეტილებით. პროგრამაში სავალდებულო და არჩევითი საგნების არსებობა, არჩევითი საგნების პროფილი და სტუდენტის ჩართულობა სამაგისტრო ნაშრომის თემატიკის შერჩევის პროცესში, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს პროგრამის ძირითადი მიზნების განხორციელებასა და სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო, მეორე მხრივ, სტუდენტს უტოვებს არჩევანის შესაძლებლობას და ამგვარად ქმნის სტუდენტზე ორიენტირებულ სასწავლო და კვლევით გარემოს.

კლასტერში დაჯგუფებული ყველა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს მაგისტრანტებისათვის ცოდნის გადაცემას საფეხურებრივი პრინციპით, რათა ეტაპობრივად, თანმიმდევრულად, უკვე შეძენილი ცოდნის შემდგომი გაღრმავებით მოხდეს პროგრამით გათვალისწინებული მიზნების განხორციელება და შედეგების მიღწევა. სამაგისტრო პროგრამები მოიცავს 120 ECTS კრედიტს, საიდანაც 60 ECTS კრედიტი სასპეციალიზაციო სავალდებულო საგნებია და 30 ECTS კრედიტი – არჩევითი საგნები. მაგისტრანტს რიგ შემთხვევაში შეუძლია არჩევითი საგნების აღება მონათესავე პროფილის სხვა სამაგისტრო პროგრამებიდან. IV სემესტრის 30 ECTS კრედიტი ეთმობა სამაგისტრო კვლევითი ნაშრომის მომზადებას.

ანალიზი: კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები შედგენილია თსუ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

პროგრამები შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან, ასევე კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპულ სისტემასთან.

საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა გამართულია, თანმიმდევრული და ლოგიკურია. საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო მისანიჭებელი კვალიფიკაცია სრულ შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან; ითვალისწინებს დარგის თანამედროვე

მიღწევებს, რაც დასტურდება სასწავლო კურსების შერჩევით, თემატიკით, მითითებული სასწავლო ლიტერატურით.

პროგრამების შემუშავების და განვითარების პროცესში ჩართული იყო დაინტერესებული მხარეები, მაგრამ ინტერვიუს საფუძველზე აღვნიშნავთ, რომ სასურველია დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა მეტი ჩართულობა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების ერთი ნაწილი (ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის მიმართულება) უნიკალურია საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში და ხორციელდება მხოლოდ თსუ-ში, ორიგინალურია თავისი შინაარსითა და სტრუქტურით და გამოირჩევა ინდივიდუალობით.

შინაარსის მიხედვით, ინდივიდუალობით გამოირჩევა კლასტერ ში შემავალი სხვა პროგრამებიც.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (კლასიკური ფილოლოგია, პირველი საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

აღწერა: ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად საჭირო 240 ECTS კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად:

50 ECTS კრედიტი ეთმობა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ყველა სტუდენტისათვის სავალდებულო ე.წ. საფაკულტეტო სასწავლო, ჰუმანიტარული კომპეტენციის საბაზო სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს.

120 ECTS კრედიტი განკუთვნილია სტუდენტის მიერ არჩეული ძირითადი (მაპროფილებელი) სპეციალობის ძირითად და არჩევითი სასწავლო კურსებისთვის, რომლებიც ნაწილდება შემდეგნაირად: **20 ECTS** კრედიტი განკუთვნილია ე.წ. საკომპეტენციო კურსებისათვის (იგულისხმება ძირითადი ფილოლოგიური კომპეტენციები), **80 ECTS** კრედიტი ეთმობა სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებს, მათ შორის **10 ECTS** კრედიტი – საბაკალავრო ნაშრომს; **20 ECTS** კრედიტი – სპეციალობის არჩევით საგნებს.

60 ECTS კრედიტის ფარგლებში სტუდენტს შეუძლია მისთვის სასურველი დამატებითი საბაკალავრო პროგრამის (სპეციალობის) არჩევა. დამატებითი პროგრამის არჩევა შესაძლებელია როგორც ძირითადი სპეციალობის განმახორციელებელ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ისე თსუ-ს სხვა ფაკულტეტებზეც. დამატებითი პროგრამის არ არჩევის შემთხვევაში სტუდენტს შესაძლებლობა აქვს 60 კრედიტი გამოიყენოს თავისი ან სხვა საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების/მოდულების შესაწავლად (ეს შეიძლება იყოს მისი ძირითადი ან დამატებითი სპეციალობის, მისივე ფაკულტეტის რომელიმე სხვა სპეციალობის, სხვა ფაკულტეტის ამა თუ იმ სპეციალობის საგანი/მოდული. საგნის ასარჩევად დაბრკოლება

შეიძლება გახდეს ამ საგნის შესწავლის წინაპირობა, ან ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე მსმენელთა რაოდენობის შეზღუდვა, ან ამ საგანზე დარეგისტრირებულ სტუდენტთა სიმცირე).

დამატებითი პროგრამის არ არჩევის შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია კრედიტების გარკვეული რაოდენობა (მაქს. 40 კრედიტი) გამოიყენოს უცხო ენის შესასწავლად ან უცხო ენის ცოდნის გასაღრმავებლად.

10 ECTS კრედიტი განსაზღვრულია ე.წ. თავისუფალი კრედიტებისთვის (სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა, რომ თავისი პროფესიული თუ პიროვნული განვითარების მიზნით, მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურსი (მათ შორის უცხო ენა).

ანალიზი: კლასიკური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი შემუშავებულია თსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განვითარების მეთოლოგიის შესაბამისად; პროგრამა შესაბამისობაშია სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან: პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო მისანიჭებელი კვალიფიკაცია სრულ შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამა ამ ეტაპზე უნიკალურია საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში და ინდივიდუალობითა და ორიგინალობით გამოირჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ბიზანტიური ფილოლოგია, პირველი საფეხური)

აღწერა: პროგრამა შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

50 ECTS კრედიტი ეთმობა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ყველა სტუდენტისათვის სავალდებულო ე.წ. საფაკულტეტო სასწავლო, ჰუმანიტარული კომპეტენციის საბაზო სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს.

120 ECTS კრედიტი განკუთვნილია სტუდენტის მიერ არჩეული ძირითადი (მაპროფილებელი) სპეციალობის ძირითად და არჩევითი სასწავლო კურსებისთვის, რომლებიც ნაწილდება შემდეგნაირად: **20 ECTS** კრედიტი განკუთვნილია ე.წ. საკომპეტენციო კურსებისათვის (იგულისხმება ძირითადი ფილოლოგიური კომპეტენციები), **80 ECTS** კრედიტი ეთმობა სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებს, მათ შორის **10 ECTS** კრედიტი – საბაკალავრო ნაშრომს; **20 ECTS** კრედიტი – სპეციალობის არჩევით საგნებს.

60 ECTS კრედიტის ფარგლებში სტუდენტს შეუძლია მისთვის სასურველი დამატებითი საბაკალავრო პროგრამის (სპეციალობის) არჩევა. დამატებითი პროგრამის არჩევა შესაძლებელია როგორც ძირითადი სპეციალობის განმახორციელებელ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ისე თსუ-ს სხვა ფაკულტეტებზეც. დამატებითი პროგრამის არ არჩევის შემთხვევაში სტუდენტს შესაძლებლობა აქვს 60 კრედიტი გამოიყენოს თავისი ან სხვა საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების/მოდულების შესასწავლად (ეს შეიძლება იყოს მისი ძირითადი ან დამატებითი სპეციალობის, მისივე ფაკულტეტის რომელიმე სხვა სპეციალობის, სხვა ფაკულტეტის ამა თუ იმ სპეციალობის საგანი/მოდული. საგნის ასარჩევად დაბრკოლება შეიძლება გახდეს ამ საგნის შესწავლის წინაპირობა, ან ადამიანური და მატერიალური

რესურსებიდან გამომდინარე მსმენელთა რაოდენობის შეზღუდვა, ან ამ საგანზე დარეგისტრირებულ სტუდენტთა სიმცირე).

დამატებითი პროგრამის არ არჩევის შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია კრედიტების გარკვეული რაოდენობა (მაქს. 40 კრედიტი) გამოიყენოს უცხო ენის შესასწავლად ან უცხო ენის ცოდნის გასაღრმავებლად.

10 ECTS კრედიტი განსაზღვრულია ე.წ. თავისუფალი კრედიტებისთვის (სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა, რომ თავისი პროფესიული თუ პიროვნული განვითარების მიზნით, მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურსი (მათ შორის უცხო ენა).

ანალიზი: საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ ბიზანტიური ფილოლოგიის პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი შემუშავებულია თსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განვითარების მეთოლოგიის შესაბამისად; ასევე, ის სრულ თანხმობაშია უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მისიასთან. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი განსაზღვრულია მისი მიზნების, შინაარსისა და სწავლის შედეგების შესაბამისად. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამა უნიკალურია საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში და მისი შინაარსი, სტრუქტურა და არსებული რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის ინდივიდუალობას.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შისაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (ახალი ბერძნული ფილოლოგია, პირველი საფეხური)

აღწერა: ახალი ბერძნული ფილოლოგიის პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი თანამიმდევრულია და მასში შემავალი კომპონენტები ლოგიკურადაა დალაგებული. აკადემიურ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების დროს დადასტურდა, რომ პროგრამის შემუშავება და განვითარება თანამშრომლობითი პროცესია და მასში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე.

პროგრამა შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

50 ECTS კრედიტი ეთმობა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ყველა სტუდენტისათვის სავალდებულო ე.წ. საფაკულტეტო სასწავლო, ჰუმანიტარული კომპეტენციის საბაზო სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს.

120 ECTS კრედიტი განკუთვნილია სტუდენტის მიერ არჩეული ძირითადი (მაპროფილებელი) სპეციალობის ძირითად და არჩევითი სასწავლო კურსებისთვის, რომლებიც ნაწილდება შემდეგნაირად: **20 ECTS** კრედიტი განკუთვნილია ე.წ. საკომპეტენციო კურსებისათვის (იგულისხმება ძირითადი ფილოლოგიური კომპეტენციები), **80 ECTS** კრედიტი ეთმობა

სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებს, მათ შორის **10 ECTS** კრედიტი – საბაკალავრო ნაშრომს; **20 ECTS** კრედიტი – სპეციალობის არჩევით საგნებს.

60 ECTS კრედიტის ფარგლებში სტუდენტს შეუძლია მისთვის სასურველი დამატებითი საბაკალავრო პროგრამის (სპეციალობის) არჩევა. დამატებითი პროგრამის არჩევა შესაძლებელია როგორც ძირითადი სპეციალობის განმახორციელებელ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ისე თსუ–ს სხვა ფაკულტეტებზეც. დამატებითი პროგრამის არ არჩევის შემთხვევაში სტუდენტს შესაძლებლობა აქვს 60 კრედიტი გამოიყენოს თავისი ან სხვა საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების/მოდულების შესასწავლად (ეს შეიძლება იყოს მისი ძირითადი ან დამატებითი სპეციალობის, მისივე ფაკულტეტის რომელიმე სხვა სპეციალობის, სხვა ფაკულტეტის ამა თუ იმ სპეციალობის საგანი/მოდული. საგნის ასარჩევად დაბრკოლება შეიძლება გახდეს ამ საგნის შესწავლის წინაპირობა, ან ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე მსმენელთა რაოდენობის შეზღუდვა, ან ამ საგანზე დარეგისტრირებულ სტუდენტთა სიმცირე).

დამატებითი პროგრამის არ არჩევის შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია კრედიტების გარკვეული რაოდენობა (მაქს. 40 კრედიტი) გამოიყენოს უცხო ენის შესასწავლად ან უცხო ენის ცოდნის გასაღრმავებლად.

10 ECTS კრედიტი განსაზღვრულია ე.წ. თავისუფალი კრედიტებისთვის (სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა, რომ თავისი პროფესიული თუ პიროვნული განვითარების მიზნით, მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურსი (მათ შორის უცხო ენა).

სტრუქტურა და შინაარსი: ფილოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად სჭირო 240 კრედიტიდან ჰუმანიტარული კომპეტენციის საბაზო კურსებზე მოდის - 50 კრედიტი. ძირითადი სპეციალობის - 120 კრედიტი (20 კრედიტი - ძირითადი ფილოლოგიური კომპეტენციები, 80 - სპეციალობის სავალდებულო კურსები, მათ შორის 10 - საბაკალავრო ნაშრომის, 20 - არჩევითი საგნების). დამატებითი პროგრამა - 60 კრედიტი. დამატებითი პროგრამის არჩევა შესაძლებელია როგორც ძირითადი სპეციალობის განმახორციელებელ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ისე თსუ–ს სხვა ფაკულტეტებზეც. ცვლილება, რომელიც ბოლო აკრედიტაციის შემდეგ განხორციელდა პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გადაწყვეტილებით, რომელიც ეხება ახალი ბერძნული ენის კრედიტების რაოდენობას, 6-ის ნაცვლად 5 კრედიტი, აღმოფხვრის ტექნიკური სირთულეების არსებობას ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმირების პროცესში და, შესაძლოა, გავლენა იქონიოს სტუდენტების რაოდენობის ზრდაზე. სასწავლო კომპონენტები, დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, მიზნად ისახავს მის კომპლექსურ და საფუძვლიან შესწავლას. ისინი განაწილებულია სავალდებულო და არჩევით საგნებად. დარგობრივი ცოდნის უზრუნველსაყოფად განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე დისციპლინები სავალდებულო საგნების ბლოკშია მოქცეული. მათი თანმიმდევრული გავლა გულისხმობს წინა კომპონენტით მიღებული სწავლის შედეგების საფუძველზე დამატებითი სწავლის შედეგების მიღწევას და ერთობლიობაში - პროგრამის ერთიანი შედეგის მიღწევის უზრუნველყოფას.

ანალიზი: საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე

დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ ახალი ბერძნული ფილოლოგიის პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი შემუშავებულია თსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად; პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი განსაზღვრულია მისი მიზნების, შინაარსისა და სწავლის შედეგების შესაბამისად. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამა უნიკალურია საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში და მისი შინაარსი, სტრუქტურა და არსებული რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის ინდივიდუალობას.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (ბერძნულ-რომაული ფილოლოგია, მეორე საფეხური)

აღწერა: ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი ითვალისწინებს მაგისტრანტებისათვის ცოდნის გადაცემას საფეხურებრივი პრინციპით, რათა ეტაპობრივად, თანმიმდევრულად, უკვე შეძენილი ცოდნის შემდგომი გაღრმავებით მოხდეს პროგრამით გათვალისწინებული მიზნების განხორციელება და შედეგების მიღწევა.

პროგრამა შედგება სამი მოდულისგან: კლასიკური, ბიზანტიური და ახალი ბერძნული ფილოლოგია.

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად საჭირო 120 ECTS კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად:

30 ECTS კრედიტი ეთმობა სამივე მოდულისათვის სავალდებულო სასწავლო კურსებს.

30 ECTS კრედიტი განკუთვნილია თითოეული მოდულისათვის სავალდებულო დისციპლინებისთვის.

30 ECTS კრედიტის ფარგლებში სტუდენტს შეუძლია მისთვის სასურველი სასწავლო კურსების არჩევა როგორც თავისი, ისე მომიჯნავე მოდულის არჩევითი დისციპლინებიდან.

30 ECTS კრედიტი განსაზღვრულია სამაგისტრო ნაშრომისათვის.

ანალიზი: საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი შემუშავებულია თსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად; პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი განსაზღვრულია მისი მიზნების, შინაარსისა და სწავლის შედეგების შესაბამისად. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამა უნიკალურია საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში და მისი შინაარსი, სტრუქტურა და არსებული რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის ინდივიდუალობას.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5- (ფრანგული ფილოლოგია, პირველი საფეხური)

აღწერა - ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად საჭირო 240 ECTS კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად:

- 50 ECTS კრედიტი ეთმობა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ყველა სტუდენტისთვის სავალდებულო ე.წ. საბაზო ჰუმანიტარული კომპეტენციების სასწავლო კურსებს;
- 120 ECTS კრედიტი განკუთვნილია სტუდენტის მიერ არჩეული ძირითადი (მაპროფილებელი) სპეციალობისთვის (საბაკალავრო პროგრამისთვის);
- 60 ECTS კრედიტის ფარგლებში სტუდენტს შეუძლია მისთვის სასურველი დამატებითი საბაკალავრო პროგრამის (სპეციალობის) არჩევა. დამატებითი პროგრამის არჩევა შესაძლებელია როგორც ძირითადი სპეციალობის განმახორციელებელ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ისე თსუ-ს სხვა ფაკულტეტებზეც.

შენიშვნა: დამატებითი პროგრამის არ არჩევის შემთხვევაში, სტუდენტს შესაძლებლობა აქვს, 60 კრედიტი გამოიყენოს თავისი ან სხვა საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების/მოდულების შესასწავლად (ეს შეიძლება იყოს მისი ძირითადი ან დამატებითი სპეციალობის, მისივე ფაკულტეტის რომელიმე სხვა სპეციალობის, სხვა ფაკულტეტის ამა თუ იმ სპეციალობის საგანი/მოდული. საგნის ასარჩევად დაბრკოლება შეიძლება გახდეს ამ საგნის შესწავლის წინაპირობა, ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე მსმენელთა რაოდენობის შეზღუდვა, ან ამ საგანზე დარეგისტრირებულ სტუდენტთა სიმცირე).

დამატებითი პროგრამის არარჩევის შემთხვევაში, სტუდენტს შეუძლია კრედიტების გარკვეული რაოდენობა გამოიყენოს უცხოური ენის შესასწავლად ან უცხოური ენის ცოდნის გასაღმავებლად.

- 10 ECTS კრედიტი განსაზღვრულია ე.წ. თავისუფალი კრედიტებისთვის (სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა, რომ თავისი პროფესიული თუ პიროვნული განვითარების მიზნით, როგორც სასპეციალიზაციო პროგრამიდან, ისე მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით, აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურსი (მათ შორის უცხოური ენა).

სპეციალობის 120 კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად:

- 20 ECTS კრედიტი განკუთვნილია ე.წ. ფილოლოგიური კომპეტენციისთვის სავალდებულო კურსებისთვის;
- 85 ECTS კრედიტი გათვალისწინებულია სპეციალობის ძირითადი კურსებისთვის; მათ შორის 10 ECTS კრედიტი განკუთვნილია საბაკალავრო ნაშრომისთვის.
- 15 ECTS კრედიტი – სპეციალობის არჩევითი კურსებისთვის;

ფრანგული ფილოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 240 ECTS კრედიტის დაგროვება და ძირითადი პროგრამის 170 კრედიტის (50+120) შესრულება.

ანალიზი - ფრანგული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა შედგენილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად, უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით და დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. პროგრამის მოდიფიცირებისათვის მუშაობდა კლასტერში წარმოდგენილი პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების კომიტეტი. პროგრამის ხელმძღვანელის კოორდინირებით უზრუნველყოფილი იყო აკადემიური პერსონალისა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ინტერვიუებით დადასტურდა ფრანგული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცესში ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის ჩართულობა პროცედურის მიხედვით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აქტიური როლი შეფასების, მონიტორინგის, რეკომენდაციების გაცემის კუთხით. პროცედურა საჯარო და გამჭვირვალეა. პროგრამის სრულყოფაში ჩართული არიან სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები.

საბაკალავრო პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს. სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სწავლების ორგანიზების თავისებურებებს, საბაკალავრო პროგრამაში ასახულია სფეროს თანამედროვე მიღწევები. პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ხარისხი მაღალია (სამეცნიერო კავშირები უცხოეთის უნივერსიტეტებთან, გაცვლით პროგრამებში, სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობა).

პროგრამების შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს. პროგრამის შინაარსი, სტრუქტურა და რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას და შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. პროგრამების სტრუქტურა თანმიმდევრულია.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 - (იტალიანისტიკა, პირველი საფეხური)

აღწერა - ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად საჭირო 240 ECTS კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად:

- **50 ECTS კრედიტი** ეთმობა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ყველა სტუდენტისათვის სავალდებულო ე.წ. საფაკულტეტო სასწავლო კურსებს.
- **120 ECTS კრედიტი** განკუთვნილია სტუდენტის მიერ არჩეული ძირითადი (მაპროფილებელი) სპეციალობისათვის (საბაკალავრო პროგრამისათვის).
- **60 ECTS კრედიტის** ფარგლებში სტუდენტს შეუძლია მისთვის სასურველი დამატებითი საბაკალავრო პროგრამის (სპეციალობის) არჩევა. დამატებითი სპეციალობის არჩევა შესაძლებელია როგორც ძირითადი სპეციალობის განმახორციელებელ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ისე თსუ-ს სხვა ფაკულტეტებზე. დამატებითი სპეციალობა სტუდენტს არ ანიჭებს აკადემიურ ხარისხს, მაგრამ დამატებითი სპეციალობა ძირითად სპეციალობასთან კომბინაციით, აღრმავებს სტუდენტის ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს; და /ან აძლევს შესაძლებლობას შეიძინოს გარკვეული საბაზისო

ცოდნა, რომელიც მას, ძირითად სპეციალობასთან ერთად, შრომის ბაზარზე ან განათლების შემდგომი საფეხურისათვის გამოსადეგ დარგობრივ კომპეტენციებს ჩამოუყალიბებს.

დამატებითი პროგრამის არ არჩევს შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია 60 კრედიტი გამოიყენოს მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით მისთვის სასურველი საბაკალავრო სასწავლო კურსის შესასწავლად (ეს შეიძლება იყოს მისი ძირითადი ან დამატებითი სპეციალობის, მისივე ფაკულტეტის რომელიმე სხვა სპეციალობის, სხვა ფაკულტეტის ამა თუ იმ სპეციალობის საგანი/მოდული. საგნის ასარჩევად დაბრკოლება შეიძლება გახდეს ამ საგნის შესწავლის წინაპირობა და მსმენელთა რაოდენობის შეზღუდვა, ან ამ საგანზე დარეგისტრირებულ სტუდენტთა სიმცირე, ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე). დამატებითი პროგრამის არ არჩევს შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია აგრეთვე გაიღრმავოს უცხო ენის დონე (კრედიტების მაქსიმალური რაოდენობა 40 ECTS კრედიტი);

- **10 ECTS** კრედიტი განსაზღვრულია ე.წ. თავისუფალი კრედიტებისთვის; სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა, რომ თავისი პროფესიული თუ პიროვნული განვითარების მიზნით, მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურსი (მათ შორის უცხო ენა).

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **იტალიანისტიკის** საბაკალავრო ძირითადი პროგრამის ძირითადი (მაპროფილებელი) სპეციალობის 120 კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად:

სასწავლო კომპონენტს ეთმობა **110 ECTS** კრედიტი, ხოლო კვლევით კომპონენტს (საბაკალავრო ნაშრომს) - **10 ECTS** კრედიტი.

სასწავლო კომპონენტის **110 ECTS** კრედიტიდან:

- **80 ECTS** კრედიტი ეთმობა ძირითად მაპროფილებელ დისციპლინებს;
- **30 ECTS** კრედიტი - სპეციალობის არჩევით დისციპლინებს.

ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 240 ECTS კრედიტის დაგროვება და **ძირითადი პროგრამის 170 ECTS** კრედიტის (50 +120) შესრულება.

ანალიზი - იტალიანისტიკის საბაკალავრო პროგრამა შედგენილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად, უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით და დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. პროგრამის მოდიფიცირებისათვის მუშაობდა კლასტერში წარმოდგენილი პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების კომიტეტი. პროგრამის ხელმძღვანელის კოორდინირებით უზრუნველყოფილი იყო აკადემიური პერსონალისა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ინტერვიუებით დადასტურდა იტალიანისტიკის საბაკალავრო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცესში ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის ჩართულობა პროცედურის მიხედვით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აქტიური როლი შეფასების, მონიტორინგის, რეკომენდაციების გაცემის კუთხით. პროცედურა საჯარო და გამჭვირვალეა. პროგრამის სრულყოფაში ჩართული არიან სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები.

საბაკალავრო პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს. სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სწავლების ორგანიზების თავისებურებებს, საბაკალავრო პროგრამაში ასახულია სფეროს თანამედროვე მიღწევები. პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ხარისხი მაღალია (სამეცნიერო კავშირები უცხოეთის უნივერსიტეტებთან, გაცვლით პროგრამებში, სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობა).

პროგრამების შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს. პროგრამის შინაარსი, სტრუქტურა და რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას და შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. პროგრამების სტრუქტურა თანმიმდევრულია, თუმცა სასურველია, რომ საბაკალავრო პროგრამაში ჰუმანიტარული კომპეტენციის საბაზო კურსები სემეტრულად გაიწეროს, რათა პირველი კურსის სტუდენტებს გაუადვილდეთ ნავიგაცია.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7- (ესპანისტიკა, პირველი საფეხური)

აღწერა - ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად საჭირო 240 ECTS კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად:

პროგრამის მოცულობა: რვა სემესტრი (240 ECTS კრედიტი). საბაკალავრო 240 ECTS კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად:

50 ECTS კრედიტი ეთმობა საბაზო ჰუმანიტარული კომპეტენციების სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს;

120 ECTS კრედიტი განკუთვნილია ძირითადი (მაპროფილებელი) სპეციალობისათვის;

60 ECTS კრედიტის ფარგლებში სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა აირჩიოს სასურველი დამატებითი პროგრამა;

10 ECTS კრედიტი განსაზღვრულია სტუდენტის ე.წ. თავისუფალი არჩევანისათვის.

ძირითადი სპეციალობის 120 კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად:

სავალდებულო კურსები - 90 კრედიტი, მათ შორის კვლევით კომპონენტი (საბაკალავრო ნაშრომი)

- **10 ECTS** კრედიტი.

არჩევითი - **30 ECTS**

ანალიზი - ესპანისტიკის საბაკალავრო პროგრამა შედგენილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად, უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით და დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. პროგრამის მოდიფიცირებისათვის მუშაობდა კლასტერში წარმოდგენილი პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების კომიტეტი. პროგრამის ხელმძღვანელის კოორდინირებით უზრუნველყოფილი იყო აკადემიური პერსონალისა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ინტერვიუებით დადასტურდა ესპანისტიკის საბაკალავრო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცესში ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის ჩართულობა პროცედურის მიხედვით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აქტიური როლი შეფასების, მონიტორინგის, რეკომენდაციების გაცემის კუთხით.

პროცედურა საჯარო და გამჭვირვალეა. პროგრამის სრულყოფაში ჩართული არიან სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები.

საბაკალავრო პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს. სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სწავლების ორგანიზების თავისებურებებს, საბაკალავრო პროგრამაში ასახულია სფეროს თანამედროვე მიღწევები. პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ხარისხი მაღალია (სამეცნიერო კავშირები უცხოეთის უნივერსიტეტებთან, გაცვლით პროგრამებში, სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობა).

პროგრამების შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს. პროგრამის შინაარსი, სტრუქტურა და რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას და შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. პროგრამების სტრუქტურა თანმიმდევრულია, თუმცა სასურველია, რომ საბაკალავრო პროგრამაში ჰუმანიტარული კომპეტენციის საბაზო კურსები სემეტრულად გაიწეროს, რათა პირველი კურსის სტუდენტებს გაუადვილდეთ ნავიგაცია.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 8- (რომანული ფილოლოგია - მეორე საფეხური)

აღწერა - ოთხი სემესტრის მანძილზე სამაგისტრო პროგრამაში 120 კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად:

- 20 ECTS კრედიტი - რომანული ფილოლოგიის პროგრამის საერთო-სავალდებულო დისციპლინები;
- 40 ECTS კრედიტი - მოდულების (ფრანგული თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერება, ფრანგული და კომპარატისტული ლიტერატურა, იტალიური ენა და ლიტერატურა, ესპანური ენა და ლიტერატურა) სავალდებულო დისციპლინები;
- 30 ECTS კრედიტი - რომანული ფილოლოგიის პროგრამის საერთო არჩევითი დისციპლინები
- 30 ECTS კრედიტი განსაზღვრულია სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისთვის (სამაგისტრო ნაშრომისთვის).

ანალიზი - რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა (მოდულები: ფრანგული თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერება, ფრანგული და კომპარატისტული ლიტერატურა, იტალიური ენა და ლიტერატურა, ესპანური ენა და ლიტერატურა) შედგენილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად, უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით და დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ინტერვიუებით დადასტურდა რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცესში ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის ჩართულობა პროცედურის მიხედვით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აქტიური როლი შეფასების, მონიტორინგის, რეკომენდაციების გაცემის კუთხით.

პროცედურა საჯარო და გამჭვირვალეა. პროგრამის სრულყოფაში ჩართული არიან სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები.

სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს. სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სწავლების ორგანიზების თავისებურებებს, საბაკალავრო პროგრამაში ასახულია სფეროს თანამედროვე მიღწევები. პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ხარისხი მაღალია (სამეცნიერო კავშირები უცხოეთის უნივერსიტეტებთან, გაცვლით პროგრამებში, სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობა).

პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს. პროგრამის შინაარსი, სტრუქტურა და რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას და შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა (ბოლო ცვლილება - აკად. საბჭოს დადგენილება 24.02.2020, №16/2020)
- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები, სასწავლო გეგმები, სასწავლო კურსების სილაბუსები
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკები
- კურიკულუმის რუკები
- ვიზიტისას გამართული ინტერვიუს შედეგები (ადმინისტრაციასთან, აფილირებულ და მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან)

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

1. სასურველია, რომ საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსები სასწავლო გეგმაში სემესტრულად გაიწეროს (საფეხურის შესაბამისად, 8 სემესტრი ან 4 სემესტრი) რაც სტუდენტებს გაუადვილებს კურიკულუმში ორიენტაციას და არჩევანის გაკეთებას.

2. პროგრამების შემუშავების და განვითარების პროცესში ჩართული იყო დაინტერესებული მხარეები, მაგრამ ინტერვიუს საფუძველზე აღვნიშნავთ, რომ სასურველია დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა მეტი ჩართულობა.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (კლასიკური ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ზიზანტიური ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (ახალი ბერძნული ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (ბერძნულ- რომაული ფილოლოგია, მეორე საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ფრანგული ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (იტალიანისტიკა, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (ესპანისტიკა, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (რომანული ფილოლოგია, მეორე საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

აღწერა: კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების შინაარსი აღწერილია შესაბამის სილაბუსებში. სასწავლო კურსების სილაბუსები მოიცავენ შემდეგ კომპონენტებს: სასწავლო კურსის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად); სასწავლო კურსის ავტორი/ავტორები; ლექტორი/ლექტორები; სასწავლო კურსის სტატუსი (ფაკულტეტი; სწავლების საფეხური; პროგრამა; სტატუსი – სავალდებულო/არჩევითი), კრედიტების რაოდენობა სტუდენტის საათობრივი დატვირთვით; სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები, სასწავლო კურსის მიზნები, სწავლის შედეგები (აღწერილი საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად), სასწავლო კურსის შინაარსი (ძირითადი თემები); სწავლებისა და სწავლის მეთოდები, შეფასების სისტემა და კრიტერიუმები; ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა, აკადემიური კეთილსინდისიერება; დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში) და სასწავლო კურსის დეტალური შინაარსი.

თითოეული სასწავლო კურსი პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის მიზნითაა შექმნილი. ამდენად, ძირითადი სპეციალობის როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს (ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობა/ავტონომიურობის ნაწილში).

სასწავლო კურსები წარმოადგენენ ერთ მთლიან პროგრამულ ერთეულს და ეყრდნობიან ერთიან მეთოდოლოგიურ ბაზას. კერძოდ: ა) მეთოდოლოგიურად გამართლებულია სტუდენტებისთვის სასწავლო კურსების შეთავაზების სქემა და ალგორითმი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ ცოდნის შექმნას დარგის განვითარების ლოგიკის მიხედვით; ბ) სასწავლო კურსების დასახელებები მთლიანად შეესაბამება დარგში დამკვიდრებულ კლასიფიკატორებს; გ) პროგრამის სასწავლო კურსის სილაბუსებში მოცემულია სწავლების/სწავლის კონკრეტული მეთოდი/მეთოდები, რომლებიც შეესაბამება აღნიშნული სასწავლო კურსის მიზნებსა და დაგეგმილ შედეგებს; დ) სასწავლო კურსების სილაბუსები იმავდროულად არის ექსკლუზიურები (თითოეული მოიცავს სპეციფიკურ საგნებს, მკვეთრად გამიჯნული შინაარსობრივი ფარგლებით) და ინკლუზიურები (თავიანთი შინაარსით უკავშირდებიან ერთმანეთს და ერწყმიან პროგრამული კომპეტენციების სრული სურათის ჩამოყალიბებაში).

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს, სფეროს აქტუალურ მიღწევებს.

ანალიზი: კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სასწავლო კურსების შინაარსი, კრედიტების რაოდენობა, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განაწილება ასევე შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობას.

პროგრამების რეაკრედიტაციის პროცესში გათვალისწინებული იქნა, ძირითადად, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისა, ასევე, ნაწილობრივ, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებლების მოსაზრებები, რაც გადამოწმდა ინტერვიუს პროცესში.

პროგრამის შინაარსის, სასწავლო კურსების მნიშვნელოვანი ნაწილია სასწავლო რესურსები, ლიტერატურა. პროგრამის სილაბუსებში გამოყენებული სასწავლო მასალა განახლებულია და შევსებულია უახლესი ლიტერატურით, გამდიდრებულია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მონოგრაფიებით, სტატიებით, სახელმძღვანელოებით, თარგმანებით, ლექსიკონებით.

- **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (კლასიკური ფილოლოგია, პირველი საფეხური)**

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

ანალიზი: პროგრამის სასწავლო კურსების დასახელებები და შინაარსი მთლიანად შეესაბამება დარგის სპეციფიკას; საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს ყველა ფილოლოგიური პროგრამისთვის სავალდებულო ზოგად, საბაზისო კურსებს, ასევე სპეციალობის სავალდებულო კურსებს. სწავლის ბოლო ეტაპი ითვალისწინებს საბაკალავრო ნაშრომის დაწერას (სავალდებულო სტატუსით). ყველა კურსის სილაბუსში ცხადად და თანამიმდევრულადაა ჩამოყალიბებული სწავლის შინაარსი, რაც, თავის მხრივ, შეესაბამება მოცემული კურსის სწავლის მიზნებსა და შედეგებს, ასევე მთლიანად პროგრამით გათვალისწინებულ შედეგებს. ამასთანავე, თითოეულ მათგანში გათვალისწინებულია ECTS კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სახელმძღვანელო პრინციპები და კრედიტების განაწილებისადმი უმაღლესი განათლების კანონის მიხედვით წაყენებული მოთხოვნები.

სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით პროგრამაში ცალ-ცალკე ჩაიშალა კლასიკური, ბიზანტიური და ახალი ბერძნული ფილოლოგიის შესავალი კურსები; შეიცვალა კლასიკური ენების (ძველი ბერძნული ენა 2 და ლათინური ენა 2 წინაპირობები, რომ მოხდეს აღიარება საფაკულტეტო საფეხურზე გავლილი კლასიკური ენების კურსებისა; სპეციალობის არჩევით კურსებს დაემატა ახალი სასწავლო კურსი - Familia Romana (გზამკვლევი ლათინურ მეტყველებაში), რომელშიც გამოყენებულია ახალ მეთოდოლოგია, სამეტყველო ლათინური, სწავლება ხორციელდება ახალი სახელმძღვანელოებით (ორბერგი); სასწავლო კურსი სტუდენტებში დიდი დაინტერესებით სარგებლობს, რაც დადასტურდა ინტერვიუს დროს.

პროგრამის შინაარსის, სასწავლო კურსების მნიშვნელოვანი ნაწილია სასწავლო რესურსები, ლიტერატურა. პროგრამის სილაბუსებში გამოყენებული სასწავლო მასალა განახლებულია და შევსებულია უახლესი ლიტერატურით, გამდიდრებულია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მონოგრაფიებით, სტატიებით, სახელმძღვანელოებით, თარგმანებით, ლექსიკონებით. ახალი სახელმძღვანელოებით; ბოლო წლებში მოხდა სასწავლო მასალის დიგიტალიზაცია, გამოიყენება ელექტრონული სახელმძღვანელოები, რიდეები. ყოველივე ეს ადვილად ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისათვის.

- პროგრამის ხელმძღვანელებთან და აკადემიურ პერსონალთან საუბრის პროცესში ყურადღება გამახვილდა სასწავლო კურსების შინაარსებში, შესაბამისად, სილაბუსებში განხორციელებულ ცვლილებებზე, რაც გამოიხატა სასწავლო კურსების შინაარსის, თემებისა და საკითხების შემცირებაში, რის შედეგადაც ეს კურსები გახდა უფრო რეალისტური, მაგ. სასწავლო კურსი „ანტიკური ლიტერატურის ისტორია“; თუმცა სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს გამოირკვა, რომ სტუდენტების ნაწილი საუკეთესო გამოსავლად არ მიიჩნევს კურსის შინაარსის შეკვეცას და თვლის, რომ უმჯობესია, გაიზარდოს კონკრეტული სასწავლო კურსის (ამ შემთხვევაში ანტიკური ლიტერატურის ისტორიის) მოცულობა (კრედიტებსა და საათებში). სასურველია, ამ თვალსაზრისით, გაგრძელდეს კომუნიკაცია, სტუდენტთა საუკეთესო ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით.
- სტუდენტებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა შემდეგი გარემოება: პროგრამაში სასწავლო კურსები დასაბალანსებელია, ერთი მხრივ, ძველი ბერძნული ენისა და ლიტერატურის, მეორე მხრივ კი, ლათინური ენისა და რომაული ლიტერატურისა და კულტურის სასწავლო კურსებს შორის, რაც შესაბამისობაშია იმ სტუდენტთა ინტერესებთან, რომლებსაც სურთ უკეთ შეისწავლონ რომაული კულტურა. შესაძლებელია, ამ თვალსაზრისით, ერთგვარი გამოსავალი იყოს არჩევითი თემატური ბლოკის შექმნა ამ სტუდენტებისთვის, ან პროგრამის ფარგლებში 2 მოდულის შეთავაზება.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ბიზანტიური ფილოლოგია, პირველი საფეხური)

ანალიზი: ბიზანტიური ფილოლოგიის საბაკალვრო საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს ყველა ფილოლოგიური პროგრამისთვის სავალდებულო 11 კურსს, და სპეციალობის სავალდებულო 15 კურსს (სულ 26 კურსი). სწავლის ბოლო ეტაპი ითვალისწინებს საბაკალვრო ნაშრომის დაწერას (26-ე კურსი). ყველა კურსის სილაბუსში ცხადად და თანამიმდევრულადაა ჩამოყალიბებული სწავლის შინაარსი, რაც, თავის მხრივ, შეესაბამება მოცემული კურსის სწავლის მიზნებსა და შედეგებს, ასევე მთლიანად პროგრამით გათვალისწინებულ შედეგებს. ამასთანავე, თითოეულ მათგანში გათვალისწინებულია ECTS კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სახელმძღვანელო პრინციპები და კრედიტების განაწილებისადმი უმაღლესი განათლების კანონის მიხედვით წაყენებული მოთხოვნები.

პროგრამის შინაარსის, სასწავლო კურსების მნიშვნელოვანი ნაწილია სასწავლო რესურსები, ლიტერატურა. პროგრამის სილაბუსებში გამოყენებული სასწავლო მასალა განახლებულია და შევსებულია უახლესი ლიტერატურით, გამდიდრებულია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მონოგრაფიებით, სტატიებით, თარგმანებით, ლექსიკონებით.

- სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით პროგრამაში ცალ-ცალკე ჩაიშალა კლასიკური, ბიზანტიური და ახალი ბერძნული ფილოლოგიის შესავალი კურსები;
- შეიცვალა კლასიკური ენების (ძველი ბერძნული ენა 2 და ლათინური ენა 2 წინაპირობები, რომ მოხდეს აღიარება საფაკულტეტო საფეხურზე გავლილი კლასიკური ენების კურსებისა;

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (ახალი ბერძნული ფილოლოგია ფილოლოგია, პირველი საფეხური)

ანალიზი: ახალი ბერძნული ფილოლოგიის საბაკალვრო საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს 6 საფაკულტეტო კურსს, ყველა ფილოლოგიური პროგრამისთვის სავალდებულო 5 შესავალ კურსს, და სპეციალობის სავალდებულო 15 კურსს (სულ 26 კურსი). სწავლების ბოლო ეტაპი განკუთვნილია საბაკალვრო ნაშრომის დასაწერად (26-ე კურსი). პროგრამის ყველა სილაბუსში ცხადად და თანამიმდევრულადაა ჩამოყალიბებული სწავლის შინაარსი, რაც, თავის მხრივ, შეესაბამება მოცემული კურსის სწავლის მიზნებსა და შედეგებს, ასევე მთლიანად პროგრამით გათვალისწინებულ შედეგებს. ამასთანავე, თითოეულ მათგანში გათვალისწინებულია **ECTS** კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სახელმძღვანელო პრინციპები და კრედიტების განაწილებისადმი უმაღლესი განათლების კანონის მიხედვით წაყენებული მოთხოვნები.

- სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით პროგრამაში ცალ-ცალკე ჩაიშალა კლასიკური, ბიზანტიური და ახალი ბერძნული ფილოლოგიის შესავალი კურსები;
- შეიცვალა კლასიკური ენების (ძველი ბერძნული ენა 2 და ლათინური ენა 2 წინაპირობები, რომ მოხდეს აღიარება საფაკულტეტო საფეხურზე გავლილი კლასიკური ენების კურსებისა;
- პროგრამის შინაარსის, სასწავლო კურსების მნიშვნელოვანი ნაწილია სასწავლო რესურსები, ლიტერატურა. პროგრამის სილაბუსებში გამოყენებული სასწავლო მასალა განახლებულია და შევსებულია უახლესი ლიტერატურით, გამდიდრებულია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მონოგრაფიებით, სტატიებით, თარგმანებით, ლექსიკონებით.
- ნეოელინისტთა ევროპული საზოგადოების რეკომენდაციით ბერძნული ენის სწავლების პროცესში დაინერგა ახალი სახელმძღვანელოები, მოხდა სასწავლო მასალის დიგიტალიზაცია, გამოიყენება ელექტრონული სახელმძღვანელოები, რიდერები, რაც ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისათვის.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (ბერძნულ-რომაული ფილოლოგია, მეორე საფეხური)

აღწერა: ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს პროგრამის 6 საერთო სავალდებულო კურსს, კლასიკური ფილოლოგიის მოდულის 6 სავალდებულო კურსს, ბიზანტიური ფილოლოგიის მოდულის 6 სავალდებულო კურსს, ახალი ბერძნული ფილოლოგიის მოდულის 6 სავალდებულო კურსს (სულ 24 კურსი). სემესტრის ბოლო ითვალისწინებს სამაგისტრო ნაშრომის დაწერას (25-ე) თითოეული მათგანის სილაბუსში ცხადად და თანამიმდევრულადაა ჩამოყალიბებული სწავლის შინაარსი, რაც, თავის მხრივ, შეესაბამება მოცემული კურსის სწავლის მიზნებსა და შედეგებს,

ასევე მთლიანად პროგრამით გათვალისწინებულ შედეგებს. ამასთანავე, თითოეულ მათგანში გათვალისწინებულია **ECTS** კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სახელმძღვანელო პრინციპები და კრედიტების განაწილებისადმი უმაღლესი განათლების კანონის მიხედვით წაყენებული მოთხოვნები.

ანალიზი: აღსანიშნავია, რომ პროგრამას, სტუდენტებისა და დამსაქმებლებისა მოთხოვნის საფუძველზე, დაემატა დარგობრივი საგნები.

პროგრამის შინაარსის, სასწავლო კურსების მნიშვნელოვანი ნაწილია სასწავლო რესურსები, ლიტერატურა. პროგრამის სილაბუსებში გამოყენებული სასწავლო მასალა განახლებულია და შევსებულია უახლესი ლიტერატურით, გამდიდრებულია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მონოგრაფიებით, სტატიებით, თარგმანებით, ლექსიკონებით, წყაროებით. მითითებული ლიტერატურა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 (ფრანგული ფილოლოგია, პირველი საფეხური)

აღწერა - ფრანგული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების შინაარსი აღწერილია შესაბამის სილაბუსებში. სასწავლო კურსების სილაბუსები მოიცავენ შემდეგ კომპონენტებს: სასწავლო კურსის სახელწოდება, ავტორი/ავტორები, ლექტორი/ლექტორები; სტატუსი, კრედიტების რაოდენობა სტუდენტის საათობრივი დატვირთვით, დაშვების წინაპირობები, მიზნები, სწავლის შედეგები, შინაარსი, სწავლებისა და სწავლის მეთოდები, შეფასების სისტემა და კრიტერიუმები, ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა. სასწავლო კურსების შინაარსი, კრედიტების რაოდენობა, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები, სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. სტუდენტებისთვის სასწავლო კურსების შეთავაზების სქემა და ალგორითმი უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ ცოდნის შემენას დარგის განვითარების ლოგიკის მიხედვით. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს და სფეროს მიღწევებს.

ანალიზი - ფრანგული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსების სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შედეგები ქმნიან პროგრამის სწავლის საბოლოო შედეგებს. სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება სწავლის შედეგებს. საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობისთვის განკუთვნილი საათების თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას, შინაარსსა და სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსის შეფასების ფორმების, მეთოდების და კრიტერიუმების მეშვეობით ფასდება თითოეული სწავლის შედეგი. სილაბუსი მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: კურსის დასახელება, ხანგრძლივობა, კრედიტების რაოდენობა, საათების განაწილება, ლექტორი, სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები, სწავლების მეთოდები, სასწავლო კურსის მიზანი, სწავლის შედეგები და კომპეტენციები, ძირითადი თემები, შეფასების წესი, ლიტერატურა და სხვა რესურსები. სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა დაფუძნებულია დარგში არსებულ თანამედროვე მიღწევებზე, თუმცა ზოგიერთი სასწავლო კურსის შინაარსში ცალკეული საკითხების გასწვრივ სავალდებულო

ლიტერატურასთან ერთად ხშირად დამხმარე ლიტერატურაც არის მითითებული. თუკი ეს დამხმარე ლიტერატურა აუცილებელია სწავლის შედეგების მისაღწევად, უმჯობესია, იგი გადატანილ იქნას სავალდებულო ლიტერატურის ნუსხაში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 (იტალიანისტიკა, პირველი საფეხური)

აღწერა - იტალიანისტიკის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების შინაარსი აღწერილია შესაბამის სილაბუსებში. სასწავლო კურსების სილაბუსები მოიცავენ შემდეგ კომპონენტებს: სასწავლო კურსის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად); სასწავლო კურსის ავტორი/ავტორები; ლექტორი/ლექტორები; სასწავლო კურსის სტატუსი (ფაკულტეტი; სწავლების საფეხური; პროგრამა; სტატუსი – სავალდებულო/არჩევითი), კრედიტების რაოდენობა სტუდენტის საათობრივი დატვირთვით; სასწავლო კურსზე დაშვების საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიში წინაპირობები, სასწავლო კურსის მიზნები, სწავლის შედეგები (აღწერილი საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად), სასწავლო კურსის შინაარსი (ძირითადი თემები); სწავლებისა და სწავლის მეთოდები, შეფასების სისტემა და კრიტერიუმები; ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა, აკადემიური კეთილსინდისიერება; დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში) და სასწავლო კურსის დეტალური შინაარსი.

ანალიზი - იტალიანისტიკის საბაკალავრო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსების სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შედეგები ქმნიან პროგრამის სწავლის საბოლოო შედეგებს. სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება სწავლის შედეგებს. საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობისთვის განკუთვნილი საათების თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას, შინაარსსა და სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსის შეფასების ფორმების, მეთოდების და კრიტერიუმების მეშვეობით ფასდება თითოეული სწავლის შედეგი. სილაბუსი მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: კურსის დასახელება, ხანგრძლივობა, კრედიტების რაოდენობა, საათების განაწილება, ლექტორი, სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები, სწავლების მეთოდები, სასწავლო კურსის მიზანი, სწავლის შედეგები და კომპეტენციები, ძირითადი თემები, შეფასების წესი, ლიტერატურა და სხვა რესურსები. სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა დაფუძნებულია დარგში არსებულ თანამედროვე მიღწევებზე.

- პროგრამის სავალდებულო სილაბუსებში: „ბაროკოდან დეკადენტობამდე: XVII-XIX საუკუნეები“ და „მეოცე საუკუნის იტალიური ლიტერატურა პოლიტიკური და იდეოლოგიური პროცესების კონტექსტში“ სავალდებულო და ძირითადად ლიტერატურად მითითებულია „კურსის კონსპექტი“, რაც სასურველია რომ ჩანაცვლდეს სხვა ტერმინით, მაგ. რიდერით, რომელიც განთავსდება უნივერსიტეტის ელექტრონულ პლატფორმაზე და რომელზედაც წვდომა ექნება სტუდენტებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7 (ესპანისტიკა, პირველი საფეხური)

აღწერა - ესპანისტიკის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების შინაარსი აღწერილია შესაბამის სილაბუსებში. სასწავლო კურსების სილაბუსები მოიცავენ შემდეგ კომპონენტებს: სასწავლო კურსის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად); სასწავლო კურსის ავტორი/ავტორები; ლექტორი/ლექტორები; სასწავლო კურსის სტატუსი (ფაკულტეტი; სწავლების საფეხური; პროგრამა; სტატუსი – სავალდებულო/არჩევითი), კრედიტების რაოდენობა სტუდენტის საათობრივი დატვირთვით; სასწავლო კურსზე დაშვების საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიში წინაირობები, სასწავლო კურსის მიზნები, სწავლის შედეგები (აღწერილი საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად), სასწავლო კურსის შინაარსი (ძირითადი თემები); სწავლებისა და სწავლის მეთოდები, შეფასების სისტემა და კრიტერიუმები; ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა, აკადემიური კეთილსინდისიერება; დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში) და სასწავლო კურსის დეტალური შინაარსი.

ანალიზი - ესპანისტიკის საბაკალავრო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსების სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შედეგები ქმნიან პროგრამის სწავლის საბოლოო შედეგებს. სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება სწავლის შედეგებს. საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობისთვის განკუთვნილი საათების თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას, შინაარსსა და სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსის შეფასების ფორმების, მეთოდების და კრიტერიუმების მეშვეობით ფასდება თითოეული სწავლის შედეგი. სილაბუსი მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: კურსის დასახელება, ხანგრძლივობა, კრედიტების რაოდენობა, საათების განაწილება, ლექტორი, სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები, სწავლების მეთოდები, სასწავლო კურსის მიზანი, სწავლის შედეგები და კომპეტენციები, ძირითადი თემები, შეფასების წესი, ლიტერატურა და სხვა რესურსები. სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა დაფუძნებულია დარგში არსებულ თანამედროვე მიღწევებზე. საგულისხმოა, რომ პროგრამას, დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების მოთხოვნის საფუძველზე, დაემატა დარგობრივი საგნები.

პროგრამაში შეტანილია გალისიური ენა 1, გალისიური ენა 2, გალისიური კულტურა 1, გალისიური კულტურა 2, მაგრამ არ არის წარმოდგენილი აღნიშნული კურსების სილაბუსები, სანაცვლოდ წარმოდგენილია თსუ-ს მიერ გაცემული ცნობა, რომელიც ადასტურებს ესპანეთის გალისიის რეგიონული მთავრობიდან წამოსულ ინიციატივას, კორუნიას უნივერსიტეტთან გალისიური ენისა და კულტურის სასწავლო კურსების ესპანისტიკის პროგრამაში არჩევითი სტატუსით შემოტანასთან დაკავშირებით. აღნიშნული ცნობის მიხედვით, გალისიური ენისა და კულტურის სასწავლო კურსს წაუძღვება კონკურსით შერჩეული, ესპანური მხარის მიერ გამოგზავნილი ლექტორი. ესპანურ მხარეს მიწოდებული აქვს თსუ-ს სასწავლო კურსის სილაბუსში ასასახი ინფორმაცია, ფორმა და მოთხოვნები, ესპანური მხარის მიერ შერჩეული ლექტორის კანდიდატურასა და საავტორო (გაშინაარსებულ) სილაბუსს თსუ ელოდება თებერვალ-მარტში. ამ ეტაპზე შესაბამისი სილაბუსები არაა წარმოდგენილი.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 8 (რომანული ფილოლოგია, მეორე საფეხური)

აღწერა - რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა სამ მოდულს აერთიანებს. შესაბამისად, პროგრამა მოიცავს როგორც საერთო სავალდებულო, ასევე მოდულის სპეციფიკურ სასწავლო კურსებს. სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსები ხასიათდება ინდივიდუალური შინაარსობრივი ნიშნებით, ამავდროულად, ისინი ორგანულ კავშირშია ერთმანეთთან და კომპლექსურად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მეთოდოლოგიურად სასწავლო კურსები დაგეგმილია დარგობრივი ცოდნის შეძენის ლოგიკური სქემით, სასწავლო კურსის დასახელებები დარგში დამკვიდრებული კლასიფიკატორების ადეკვატურია, მიზნები, მეთოდები და შედეგები ერთმანეთს შეესაბამება. რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსების შინაარსი აღწერილია შესაბამის სილაბუსებში. სასწავლო კურსების სილაბუსები მოიცავენ შემდეგ კომპონენტებს: სასწავლო კურსის სახელწოდება, ავტორი/ავტორები, ლექტორი/ლექტორები; სტატუსი, კრედიტების რაოდენობა სტუდენტის საათობრივი დატვირთვით, დაშვების წინაპირობები, მიზნები, სწავლის შედეგები, შინაარსი, სწავლებისა და სწავლის მეთოდები, შეფასების სისტემა და კრიტერიუმები, ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა. სასწავლო კურსების შინაარსი, კრედიტების რაოდენობა, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები, სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. სტუდენტებისთვის სასწავლო კურსების შეთავაზების სქემა და ალგორითმი უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ ცოდნის შეძენას დარგის განვითარების ლოგიკის მიხედვით. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს და სფეროს მიღწევებს.

ანალიზი - რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსების სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შედეგები ქმნიან პროგრამის სწავლის საბოლოო შედეგებს. სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება სწავლის შედეგებს. საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობისთვის განკუთვნილი საათების თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას, შინაარსსა და სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსის შეფასების ფორმების, მეთოდების და კრიტერიუმების მეშვეობით ფასდება თითოეული სწავლის შედეგი. სილაბუსი მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: კურსის დასახელება, ხანგრძლივობა, კრედიტების რაოდენობა, საათების განაწილება, ლექტორი, სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები, სწავლების მეთოდები, სასწავლო კურსის მიზანი, სწავლის შედეგები და კომპეტენციები, ძირითადი თემები, შეფასების წესი, ლიტერატურა და სხვა რესურსები. განსაკუთრებით აღსანიშნავია სასწავლო კურსებში აკადემიური კეთილსინდისიერების ასპექტის გაძლიერება, რაც აუცილებელია სრულფასოვანი სასწავლო და კვლევითი მუშაობის ჩასატარებლად. სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა დაფუძნებულია დარგში არსებულ თანამედროვე მიღწევებზე, თუმცა ფრანგული ფილოლოგიის მოდულებში ზოგიერთი სასწავლო კურსის შინაარსში ცალკეული საკითხების გასწვრივ სავალდებულო ლიტერატურასთან ერთად ხშირად დამხმარე ლიტერატურაც არის მითითებული. თუკი ეს დამხმარე ლიტერატურა აუცილებელია სწავლის

შედეგების მისაღწევად, უმჯობესია, იგი გადატანილ იქნას სავალდებულო ლიტერატურის ნუსხაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები, სასწავლო გეგმები, სასწავლო კურსების სილაბუსები
- კურიკულუმის რუკა
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა (აკად. საბჭოს დადგენილება 24.02.2020, №16/2020)
- ვიზიტისას გამართული ინტერვიუს შედეგები (ადმინისტრაციასთან, აფილირებულ და მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან)

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (კლასიკური ფილოლოგია, პირველი საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

- სასწავლო კურსში „ანტიკური ლიტერატურის ისტორია“, შინაარსის/თემების შეკვეცის ნაცვლად სასურველია, გაიზარდოს კურსის მოცულობა (კრედიტებსა და საათებში).

სასურველია, ამ თვალსაზრისით, გაგრძელდეს პროგრამის სამუშაო ჯგუფის კომუნიკაცია სტუდენტებთან.

- სასურველია, პროგრამაში სასწავლო კურსების მოცულობა დაბალანსდეს, ერთი მხრივ, ძველი ბერძნული ენისა და ლიტერატურის, მეორე მხრივ კი, ლათინური ენისა და რომაული ლიტერატურისა და კულტურის სასწავლო კურსებს შორის; შესაძლებელია, ამ თვალსაზრისით, ერთგვარი გამოსავალი იყოს რომაული ცივილიზაციის/კულტურის არჩევითი თემატური ბლოკის შექმნა დაინტერესებული სტუდენტებისთვის, ან პროგრამის ფარგლებში 2 მოდულის შეთავაზება.

პროგრამა 6 (იტალიანისტიკა, პირველი საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

- სავალდებულო სილაბუსებში: „ბაროკოდან დეკადენტობამდე: XVII-XIX საუკუნეები“ და „მეოცე საუკუნის იტალიური ლიტერატურა პოლიტიკური და იდეოლოგიური პროცესების კონტექსტში“ სავალდებულო და ძირითად ლიტერატურად მითითებულია „კურსის კონსპექტი“, რაც სასურველია რომ ჩანაცვლდეს სხვა ლიტერატურით ან რიდერით (რომელიც განთავსდება უნივერსიტეტის ელექტრონულ პლატფორმაზე და რომელზედაც წვდომა ექნება სტუდენტებს).

პროგრამა 7 (ესპანისტიკა, პირველი საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- პროგრამაში შეტანილია გალისიური ენა 1, გალისიური ენა 2, გალისიური კულტურა 1, გალისიური კულტურა 2, მაგრამ არ არის აღნიშნული კურსების სილაბუსები. შესაბამისად, ვერ შეფასდა აღნიშნული კომპონენტი.

რჩევ(ებ)ი:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.5 სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (კლასიკური ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ზიზანტიური ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამა 3 (ახალი ბერძნული ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (ბერძნულ-რომაული ფილოლოგია, მეორე საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ფრანგული ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (იტალიანისტიკა, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (ესპანისტიკა, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (რომანული ფილოლოგია, მეორე საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (კლასიკური ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ბიზანტიური ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (ახალი ბერძნული ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (ბერძნულ-რომაული ფილოლოგია, მეორე საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ფრანგული ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (იტალიანისტიკა, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (ესპანისტიკა, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (რომანული ფილოლოგია, მეორე საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება

ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

აღწერა: კლასტერში შემავალ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა კანონმდებლობის შესაბამისია. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან, სწავლების საფეხურთან, მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და სწავლების ენასთან. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები უზრუნველყოფენ შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

პროგრამაზე მიღების წინაპირობები აღწერილია შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებში და სრულ შესაბამისობაშია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განისაზღვრება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 28 მარტის ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ №127 ბრძანების შესაბამისად. თითოეულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამჭვირვალეა და ყველასათვის ხელმისაწვდომი. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების წინაპირობების შესახებ განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე, ინფორმაციის გავრცელება ხდება სოციალური ქსელების საშუალებითაც. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს მიეწოდებათ ღია კარის დღეებზე და საინფორმაციო შეხვედრებზე.

ანალიზი: კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე - კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტიური ფილოლოგიის, ახალი ბერძნული ფილოლოგიის, იტალიანისტიკის, ესპანისტიკის საბაკალავრო და ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების - დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება კანონმდებლობას და ითვალისწინებს პროგრამების სპეციფიკას;

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია.

აღწერა და ანალიზი - პროგრამები 1,2,3,5,6,7 (პირველი საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

აღწერა: კლასიკური ფილოლოგიის, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების წინაპირობაა: საქართველოს მოქალაქეებისთვის ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით გავლა, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. თსუ-ს სხვა ფაკულტეტებიდან და სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან აღნიშნულ საბაკალავრო პროგრამებზე მობილობა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

პროგრამას განსაზღვრული აქვს სტუდენტთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდები.

ანალიზი: კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე - კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტიური ფილოლოგიის, ახალი ბერძნული ფილოლოგიის, იტალიანისტიკის, ესპანისტიკის საბაკალავრო და ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების - დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება კანონმდებლობას და ითვალისწინებს პროგრამების სპეციფიკას;

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია.

აღწერა და ანალიზი-პროგრამა 4 (ბერძნულ-რომაული ფილოლოგია, მეორე საფეხური)

აღწერა: კლასტერში დაჯგუფებული ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიანი სამაგისტრო გამოცდის და შიდა შესარჩევი კონკურსის შედეგები. ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია: ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ნებისმიერი მიმართულებით, საერთო სამაგისტრო გამოცდა, უცხოური ენის (ინგლისური/გერმანული/ფრანგული) B1 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით, წერიტი გამოცდა სპეციალობაში. საქართველოს განათლებისა და შრომის ბაზრის თავისებურებების და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, სამაგისტრო პროგრამაზე დაიშვებიან ნებისმიერი მიმართულების კურსდამთავრებულები, მაგრამ წერიტი გამოცდა სპეციალობაში ადგენს მაგისტრანტობის კანდიდატთა მზაობას, სწავლა განაგრძონ ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის მიმართულებით. კერძოდ, გამოცდა სპეციალობაში ამოწმებს, რამდენად იცნობს მაგისტრანტობის კანდიდატი ანტიკურ, ბიზანტიურ და ახალბერძნულ ლიტერატურას, ძველ ბერძნულ / ლათინურ / ახალ ბერძნულ ენას. წერიტი გამოცდის ბილეთი მოიცავს ოთხ საკითხს:

1. ანტიკური ლიტერატურა; 2. ბიზანტიური ლიტერატურა; 3. ახალი ბერძნული ლიტერატურა; 4. საშუალო სირთულის ტექსტი სათარგმნად ძველი ბერძნული / ლათინური / ახალი ბერძნული ენიდან (სტუდენტი ირჩევს მოდულის შესაბამის ენას). კლასიკური ფილოლოგიის მოდულზე სწავლის გაგრძელების მსურველისთვის სავალდებულოა ერთ-ერთი კლასიკური ენა, ახალი ბერძნული ფილოლოგიის მოდულისთვის - ახალი ბერძნული ენა, ხოლო ბიზანტიური ფილოლოგიის მოდულზე სწავლის გაგრძელების მსურველს შეუძლია არჩევანის გაკეთება კლასიკურ და ახალ ბერძნულ ენებს შორის.

ანალიზი: კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე - კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტიური ფილოლოგიის, ახალი ბერძნული ფილოლოგიის, იტალიანისტიკის, ესპანისტიკის საბაკალავრო და ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების - დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება კანონმდებლობას და ითვალისწინებს პროგრამების სპეციფიკას; პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 8 (რომანული ფილოლოგია, მეორე საფეხური)

აღწერა: რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს სწავლის ფართო სფეროებში: ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები; სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია; განათლება; ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი. პროგრამაზე სწავლის გარძელების უფლება აქვს ასევე ბაკალავრს, რომელსაც გავლილი აქვს დამატებითი (minor) პროგრამა ფრანგულ/იტალიურ/ესპანურ ფილოლოგიაში, იტალიანისტიკაში, ესპანისტიკაში; პროგრამაზე მისაღებად სავალდებულოა ასევე • საერთო სამაგისტრო გამოცდა; • უცხოური ენის ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით: ფრანგული ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის მოდულზე ჩაბარების მსურველებმა უნდა დაადასტურონ ფრანგული ენის ცოდნა B2 დონეზე, ხოლო იტალიური ან ესპანური ფილოლოგიის მოდულზე ჩაბარების მსურველებმა - ინგლისური/გერმანული/ფრანგული ენის ცოდნა B1 დონეზე, სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე B2 დონემდე ენის ცოდნის გაუმჯობესების პერსპექტივით. • გამოცდა სპეციალობაში: ფრანგულ/იტალიურ /ესპანურ ენასა და ლიტერატურაში. საგამოცდო პროგრამა, მისაღები გამოცდების საკითხები და ლიტერატურა განთავსებულია თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებგვერდზე. კლასიკური, ახალი ბერძნული და რომანული ენების კლასტერის სამაგისტრო პროგრამებზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. აგრეთვე, შიდა შესარჩევი კონკურსის შედეგების საფუძველზე.

ანალიზი - რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე უფრო ნათლად და გამჭვირვალედ უნდა გაიწეროს დაშვების წინაპირობები:

- სამაგისტრო პროგრამის ფრანგული, იტალიური ან ესპანური ფილოლოგიის მოდულზე ჩაბარების მსურველებმა, ლოგიკურია, დაადასტურონ არა მხოლოდ ინგლისური/გერმანული/ფრანგული ენის ცოდნა B1 დონეზე, არამედ დაადასტურონ ასევე სასპეციალიზაციო მოდულის უცხო ენის - ფრანგული, იტალიური ან ესპანური - ენის ცოდნა B2 დონეზე; მით უფრო, რომ პტოგრამის ფარგლებში შესაბამისი ენები ისწავლება C1 დონეზე.
- დასაზუსტებელია ჩანაწერი „მსურველებმა დაადასტურონ ინგლისური/გერმანული/ფრანგული ენის ცოდნა B1 დონეზე, სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე B2 დონემდე ენის ცოდნის გაუმჯობესების პერსპექტივით“, როცა პროგრამის სასწავლო გეგმაში არ არის შეტანილი მეორე ენის კურსები.
- სამაგისტრო პროგრამაზე წინაპირობად თუნდაც სწავლის ფართო სფეროების დასახელებას (ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები; სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია; განათლება; ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი; ან მინორი შესაბამისი მიმართულებით), ეწინააღმდეგება მაგისტრატურაში მიღების ზოგად პრინციპს (მაგისტრატურა განიხილება სპეციალობის შეცვლის საშუალებად) და, სასურველია, გადაიხედოს. ეს წინააღმდეგობა, შესაძლოა, მოხსნას წინაპირობებში სასპეციალიზაციო ენის(B2) გამოცდის ჩაბარების მოთხოვნამ.
- სასურველია, რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობებში მითითებული იყოს, რომ პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. ასევე პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- კლასტერის საგანმანათლებლო პროგრამები, სასწავლო გეგმები, სასწავლო კურსების სილაბუსები
- თსუ-ს და ფაკულტეტის ვებგვერდი <https://tsu.ge>
- ვიზიტისას გამართული ინტერვიუს შედეგები (ადმინისტრაციასთან, აფილირებულ და მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან)

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 8 (რომანული ფილოლოგია, მეორე საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფრანგული, იტალიური ან ესპანური ფილოლოგიის მოდულზე ჩაბარების მსურველებმა, ლოგიკურია, დაადასტურონ არა მხოლოდ *ინგლისური/გერმანული/ფრანგული ენის ცოდნა B1 დონეზე*, არამედ დაადასტურონ ასევე სასპეციალიზაციო მოდულის უცხო ენის - ფრანგული/იტალიური/ესპანური ენის ცოდნა B2 დონეზე.

რჩევ(ებ)ი:

- რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში დასაზუსტებელია ჩანაწერი „მსურველებმა დაადასტურონ ინგლისური/გერმანული/ფრანგული ენის ცოდნა B1 დონეზე, სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე B2 დონემდე ენის ცოდნის გაუმჯობესების პერსპექტივით“, როცა პროგრამის სასწავლო გეგმაში არ არის შეტანილი მეორე ენის კურსები.
- რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე წინაპირობად თუნდაც სწავლის ფართო სფეროს განსაზღვრა (ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები; სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია; განათლება; ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი; ან მინორი შესაბამისი მიმართულებით), ეწინააღმდეგება მაგისტრატურაში მიღების ზოგად პრინციპს და, სასურველია, გადაიხედოს.
- სასურველია, რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობებში მითითებული იყოს, რომ პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია

მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. ასევე პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების შესაბამისად.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (კლასიკური ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ზიზანტიური ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (ახალი ბერძნული ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (ბერძნულ- რომაული ფილოლოგია, მეორე საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ფრანგული ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (იტალიანისტიკა, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (ესპანისტიკა, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (რომანული ფილოლოგია, მეორე საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

აღწერა: კლასტერში დაჯგუფებული საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალი სრული პასუხისმგებლობით აცნობიერებს პრაქტიკული, სამეცნიერო-კვლევითი თუ ზოგად ტრანსფერული კომპეტენციების გაძლიერების საჭიროებას – იქნება ეს ლოგიკური, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება, თუ ზეპირი და წერიტი გამოხატვის უნარები, ანალიტიკური უნარები, გუნდური მუშაობის უნარები და ციფრული წიგნიერება, უცხო ენების (განსაკუთრებით, ინგლისურის) ცოდნის ამღობვა, რისთვისაც სასურველია პროგრამის განხორციელებაში ისეთი კომპონენტების ჩართვა, რაც კურსდამთავრებულს ამ კომპეტენციებსა და უნარებს გაუძლიერებს. ეს ყველაფერი ზემოთ თქმული კი გაზრდის ამ პროფილის პროგრამებზე სწავლის მსურველთა რაოდენობას. შესაბამისად, ორივე საფეხურის – საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სასწავლო კომპონენტი სავალდებულო და არჩევითი დისციპლინებით, მათში გამოყენებული სწავლების სხვადასხვა მეთოდითა და მათი კომბინაციით მაქსიმალურად მიმართულია ამ უნარების ეტაპობრივი გამომუშავებისაკენ. კლასტერის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, მონაწილეობა მიიღონ თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ ყოველწლიურად განხორციელებულ სხვადასხვა ტიპის სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში, სადაც საკუთარი შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნებისა თუ ანალიტიკური და სამეცნიერო-კვლევითი უნარების დემონსტრირების საშუალება ეძლევათ, ასევე გამოაქვეყნონ სტუდენტური სამეცნიერო შრომები ფაკულტეტის სტუდენტურ ჟურნალებში.

სტუდენტთათვის ლოგიკური, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების, ზეპირი და წერიტი გამოხატვის უნარების, ანალიტიკური უნარების გამოსამუშავებლად, საბაკალავრო პროგრამების სტრუქტურასა და შინაარსში ჩართულია სასწავლო კომპონენტი – საბაკალავრო ნაშრომი, რომელიც პროგრამის დამამთავრებელ ფაზაში სრულდება, სავალდებულო სტატუსის მქონეა (10 კრედიტი) და ის ერთგვარად აჯამებს იმ მისაღწევ მიზანს, რომლისკენაც ისწრაფვის პროგრამა: საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობა სტუდენტს აძლევს გაცნობიერებულ ცოდნას, დასკვნის, კრიტიკული აზროვნების, მსჯელობის, ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარების დემონსტრირების საშუალებას, უმუშავებს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს; უღრმავებთ დარგობრივ ცოდნას და სძენთ იმ დამატებით კომპეტენციებს, რომლებიც აუცილებელია შრომითი ბაზარზე მათი წარმატებით დასაქმებისათვის.

კლასტერის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების (ბერძნულ-რომაული ფილოლოგია, რომანული ფილოლოგია) გეგმასა და შინაარსში ჩართულია კვლევითი კომპონენტი – სამაგისტრო ნაშრომი (30 კრედიტი), რომლის თემატიკაც დარგის კვლევის თანამედროვე მდგომარეობის შესაბამისად შეირჩევა, სტუდენტის აკადემიური დარგობრივი ინტერესების გათვალისწინებით, უზრუნველყოფს მაგისტრანტებში სამეცნიერო-კვლევითი, შემოქმედებითი და ტრანსფერული უნარების ჩამოყალიბებას, რადგან სამაგისტრო ნაშრომის მზადებისას ხდება

მიღებული მრავალმხრივი და თეორიული ცოდნის რეალურ საკვლევ თემასთან დაკავშირება. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, მონაწილეობა მიიღონ როგორც თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ ყოველწლიურად განხორციელებულ სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში, ისე კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ს/ს ინსტიტუტისა და დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის ს/ს ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ დარგობრივ და თემატურ სამეცნიერო კონფერენციებში დარგის პროფესურასა და მკვლევრებთან ერთად, სადაც საკუთარი შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნებისა თუ ანალიტიკური და სამეცნიერო-კვლევითი უნარების დემონსტრირების საშუალება ეძლევათ; საშუალება აქვთ ასევე გამოაქვეყნონ კვლევითი სამეცნიერო შრომები ფაკულტეტის სამეცნიერო პერიოდულ გამოცემებში, რომელთა ნაწილიც გაწევრიანებულია საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში.

სამეცნიერო უნარების განვითარებას უწყობს ხელს ასევე საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო მხარდამჭერი ღონისძიებები: • კონკურსის საფუძველზე სტუდენტური კვლევების დაფინანსებისათვის (გრანტული წესით) შექმნილი საუნივერსიტეტო ფონდი; • საფაკულტეტო საბიუჯეტო კომისიის გადაწყვეტილებით და ფაკულტეტის ფინანსური მხარდაჭერით მაგისტრანტთა სამეცნიერო ღონისძიებებსა და პროგრამებზე მივლინება; • შოთა რუსთაველის სამეცნიერო ეროვნული ფონდის მიერ მაგისტრანტთა საგრანტო კონკურსში მონაწილეობის ხელშეწყობის ინფორმაციული და მეთოდური მხარდაჭერა. • სამეცნიერო მიღწევების საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე პოპულარიზაციას და მათი ხილვადობის გაზრდას ემსახურება ახალი სამეცნიერო პლატფორმა, რომელიც ერასმუს + -ის მიერ დაფინანსებული პროექტის HERD – „საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამეცნიერო კვლევების განვითარების ხელშეწყობა“ ფარგლებში შეიქმნა. მაგისტრანტთა კვლევითი უნარების გამომუშავებას ემსახურება ასევე მათი გაცვლითი კვლევითი ვიზიტები ევროპულ უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში ერასმუს + -ის პროგრამის ფარგლებში, რისთვისაც ისინი კონკურსის გზით შეირჩევიან. კვლევითი უნარების განვითარებას ემსახურება აგრეთვე თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ს/ს ინსტიტუტის მიერ 2015 წლიდან მოყოლებული, ყოველწლიურად ორგანიზებული სტუდენტური კონფერენცია „ანტიკურობის თანამედროვეობა“, რომელშიც მონაწილეობენ სამივე საფეხურის სტუდენტები და რომელმაც 2021 წლიდან შეიძინა საერთაშორისო ფორმატი. სტუდენტურ კონფერენციებზე წარდგენილი მოხსენებების ნაწილი იბეჭდება ამავე ინსტიტუტის სტუდენტურ სამეცნიერო ჟურნალ „მნემოსინეში“.

ანალიზი: კლასტერის საგანმანათლებლო პროგრამები ითვალისწინებს სტუდენტთათვის ლოგიკური, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების, ზეპირი / წერიითი გამოხატვის უნარების, ანალიტიკური აზროვნებისა და არგუმენტირებული მსჯელობის გამომუშავებას. საბაკალავრო პროგრამების სტრუქტურასა და შინაარსში ჩართული კომპონენტი – საბაკალავრო ნაშრომი, რომელიც პროგრამის დამამთავრებელ ფაზაში სრულდება, სავალდებულო სტატუსის მქონეა (10 კრედიტი) და ის ერთგვარად აჯამებს იმ მისაღწევ მიზანს, რომლისკენაც ისწრაფვის პროგრამა: საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობა სტუდენტს აძლევს გაცნობიერებულ ცოდნას,

დასკვნის, კრიტიკული აზროვნების, მსჯელობის, ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარების დემონსტრირების საშუალებას.

ბერძნულ-რომაული ფილოლოგიისა და რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი ხელს უწყობს სტუდენტებში ლოგიკური, შემოქმედებითი, ანალიტიკური უნარებისა და კრიტიკული აზროვნების გამომუშავებას. პროგრამების გეგმასა და შინაარსში ჩართულია კვლევითი კომპონენტი – სამაგისტრო ნაშრომი (30 კრედიტი), რომლის თემატიკაც დარგის კვლევის თანამედროვე მდგომარეობის შესაბამისად შეირჩევა, სტუდენტის აკადემიური დარგობრივი ინტერესების გათვალისწინებით. სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა უზრუნველყოფს მაგისტრანტებში სამეცნიერო-კვლევითი, შემოქმედებითი და ტრანსფერული უნარების ჩამოყალიბებას, რადგან სამაგისტრო ნაშრომის მზადებისას ხდება მიღებული მრავალმხრივი და თეორიული ცოდნის რეალურ საკვლევ თემასთან დაკავშირება. ეს, თავის მხრივ, საფუძველს ქმნის ანალიტიკური და შემოქმედებითი უნარების ფორმირებისა და პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებისთვის. სამაგისტრო ნაშრომი, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის თვალსაზრისით უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს.

აღსანიშნავია, რომ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, მონაწილეობა მიიღონ როგორც თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ ყოველწლიურად განხორციელებულ სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში, ისე კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეციისტიკის ს/ს ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ კონფერენციებში. საუკეთესო ნაშრომები კი იბეჭდება ინსტიტუტის სტუდენტურ წელიწდეულში, რაც ზემოთ აღნიშნული უნარების განვითარებასთან ერთად, სტუდენტებში დამატებითი მოტავაციის გაღრმავებას უწყობს ხელს.

კლასტერის პროგრამების სტრუქტურა, შინაარსი, სხვადასხვა კომპონენტი, კურიკულუმის გარე აქტივობები უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული, ასევე სამეცნიერო და სხვა ტრანსფერული უნარების განვითარებას, რაც სამომავლოდ მათი დასაქმების წინაპირობაა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- კლასტერის საგანმანათლებლო პროგრამები, სასწავლო გეგმები, სასწავლო კურსების სილაბუსები
- კურიკულუმის რუკა
- ინფორმაცია საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციებისა თუ გაცვლითი პროგრამების შესახებ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: www.tsu.ge
- სტუდენტთა ჩართულობის მაჩვენებელი სამეცნიერო-კვლევით პროექტებში და კონფერენციებში
- თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჩატარებული და დაგეგმილი კონფერენციები - <https://tsu.ge/ka/faculty/911>
- ვიზიტისას გამართული ინტერვიუს შედეგები (ადმინისტრაციასთან, აფილირებულ და მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან)

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (კლასიკური ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ბიზანტიური ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (ახალი ბერძნული ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (ბერძნულ- რომაული ფილოლოგია, მეორე საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ფრანგული ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (იტალიანისტიკა, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (ესპანისტიკა, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (რომანული ფილოლოგია, მეორე საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

კლასტერის აღწერა და ანალიზი

აღწერა: კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებში გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები მოქნილია და ითვალისწინებს სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებს. ასევე შეესაბამება საგანმანათლებლო საფეხურს, სწავლების შინაარსსა და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევადობას. სასწავლო კომპონენტის განხორციელებისას გამოიყენება სწავლების სხვადასხვა მეთოდი. ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. სწავლის შედეგების მისაღწევად საგანმანათლებლო პროგრამები ლექციის, სამუშაო ჯგუფის, პრაქტიკული მეცადინეობის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, საკონტროლო წერის, დასკვნითი გამოცდის, საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს. მაგალითად, წიგნსა და წყაროზე მუშაობა პრაქტიკულად ყველა სასწავლო კურსის ნაწილია და ის პროგრამის სწავლის შედეგების რეალიზების მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს. ვერბალური მეთოდი გამოიყენება სასემინარო მუშაობისას, რაც, კონკრეტული სასწავლო კურსის შინაარსიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარეობს. აღსანიშნავია, რომ სწავლის შედეგების მიღწევადობის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ინდუქციური და დედუქციური მეთოდების გამოყენება სასწავლო კურსების უდიდეს უმრავლესობაში. ამდენად, ხშირად, სასემინარო მუშაობებისას იმ სასწავლო კურსებში, სადაც პრაქტიკული კომპონენტებია ჩაშენებული, გამოიყენება დემონსტრირების მეთოდი. აღნიშნული მეთოდები ეფუძნება ინტერაქციული სწავლების პრინციპებს და უზრუნველყოფს კონკრეტული სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსების ფარგლებში გამოიყენება ასევე: ანალიზის და ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ვერბალური მეთოდი, ჰერმენევტიკული მეთოდები, წერითი დავალებები, დისკუსია/დებატები, გონებრივი იერიში, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება და სხვ.). პანდემიის პერიოდში ონლაინ სწავლებამ ხელი შეუწყო ელექტრონული სასწავლო კურსების განვითარებას. ცალკეულ საგნებში, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით, გამოიყენება ვიზიტი მუზეუმში და სხვ. კლასტერის სამაგისტრო პროგრამები სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების, სემინარებისა და კოლოკვიუმების, საერთაშორისო, რეგიონალური და

ადგილობრივი კონფერენციებში მონაწილეობის, საგრანტო პროექტებში ჩართულობის და სხვა კვლევითი თუ სასწავლო აქტივობებით ხელს უწყობს და აუმჯობესებს სწავლისა და კვლევის შედეგების მიღწევის გზებს. აღნიშნულ აქტივობებში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი: ვერბალური, პრაქტიკული, წიგნზე და მასალაზე მუშაობის, ჰერმენევტიკული, ანალიზისა და სინთეზის, დისკუსიის, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების, შემთხვევის ანალიზის მეთოდები, ჯგუფური მუშაობა და სხვ. აღნიშნული სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება შესაბამის საგანმანათლებლო საფეხურს. თითოეულ სასწავლო კურსში გამოყენებული მეთოდების სასწავლო კურსის შინაარსს და, ამდენად, პროგრამის ძირითადი სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება პროგრამის კურიკულუმს. ვინაიდან სწავლა-სწავლების მეთოდებიც და სწავლების შინაარსიც სწავლის შედეგის მიღწევადობის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტებია, როგორც თითოეული სასწავლო კურსის, ისე მთელი პროგრამების სწავლა-სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამათა სწავლის შედეგების მიღწევადობას და ხდის მათ რეალურს.

ანალიზი: კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებულია სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამები შეესაბამება დარგობრივ მახასიათებელს, სწავლების საფეხურს და ორიენტირებულია შედეგების მიღწევაზე.

გამოყენებული მეთოდები მრავალფეროვანია და პროგრამის ცალკეული კომპონენტის შესაბამისია.

პროგრამების თითოეულ კომპონენტში, მისი თავისებურებიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლების/სწავლის ის მეთოდები და აქტივობები, რომლებიც განაპირობებენ ამ კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების ეფექტურად მიღწევას, ხოლო მათი ერთობლიობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

სწავლების პროცესში გამოყენებულია დასავლეთის წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილება და განათლების მეცნიერებების განვითარების უახლესი ვითარების გათვალისწინებით ჩამოყალიბებული მიდგომები. : აღნიშნული მეთოდების გამოყენება ხდება ლექციის, სამუშაო ჯგუფის, სემინარის, პრაქტიკუმის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, თარგმანის, საბაკალავრო ნაშრომის და სხვ. ფორმატში.

სასწავლო პროცესის გაღრმავებისა და გამრავალფეროვნების მიზნით ყოველწლიურად ეწყობა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები, ლიტერატურული სადამოები. კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეციისტიკის ინსტიტუტის ბაზაზე არსებული ანტიკური დრამის სტუდენტური სტუდია „ოდეონის“ სპექტაკლებში მონაწილეობას იღებენ ბიზანტიური ფილოლოგიის სტუდენტებიც. სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში გამარჯვებული მოხსენებები ქვეყნდება სტუდენტთა სამეცნიერო კრებულ „მნემოსინეში“.

ქართველ პედაგოგებთან ერთად ლექციებსა და სემინარებს სისტემატურად ატარებენ საბერძნეთიდან, იტალიიდან, გერმანიიდან, დიდი ბრიტანეთიდან, კვიპროსიდან და სხვა ქვეყნებიდან მოწვეული სპეციალისტები. ბიზანტიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ის წარჩინებული სტუდენტები, რომლებსაც დამატებით სპეციალობად არჩეული აქვთ ახალი

ბერძნული ფილოლოგია, კვალიფიკაციის ასამაღლებლად იგზავნიან საბერძნეთისა და კვიპროსის უმაღლეს სასწავლებლებსა და საზაფხულო სკოლებში.

რაც სტუდენტებს აძლევს განუმეორებელ შესაძლებლობას დახვეწონ და გაიდრმავონ ახალი ბერძნულ ენაზე კითხვის, მოსმენის, გამართულად მეტყველებისა და წერის უნარები. ასევე, მოინახულონ საბერძნეთის ღირსშესანიშნაობები.

ცალკე აღნიშნის ღირსია ექსტრაკულუკულარული აქტივობები, რითიც გამოირჩევა კლასტერში შემავალი საგანმანათლებლო პროგრამები.

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ სწავლა-სწავლების მეთოდები მოქნილია, მათ ინდივიდუალურ ინტერესებზე და საჭიროებებზე მორგებული, ინტერაქტიული, გულისხმობს სტუდენტთა მაქსიმალურ ჩართულობას, რაც ზრდის მათ ინტერესს სწავლის პროცესის მიმართ და მათ მოტივაციას.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- კლასტერის საგანმანათლებლო პროგრამები, სასწავლო გეგმები, სასწავლო კურსების სილაბუსები
- ელექტრონული სწავლების პლატფორმა <https://e-learning.tsu.ge/login/index.php>
- ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესი (2020 წლის 25 მარტის აკადემიური საბჭოს დადგენილება.#67/01-01)
- ვიზიტისას გამართული ინტერვიუს შედეგები (ადმინისტრაციასთან, აფილირებულ და მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან)

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (კლასიკური ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ზიზანტიური ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (ახალი ბერძნული ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (ბერძნულ- რომაული ფილოლოგია, მეორე საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ფრანგული ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (იტალიანისტიკა, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (ესპანისტიკა, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (რომანული ფილოლოგია, მეორე საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ,

გაანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

აღწერა: კლასტერში შემავალი ორივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსებში, სხვა სასწავლო და კვლევით კომპონენტში სტუდენტების შეფასება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და თსუ-ს შიდა რეგულაციების მიხედვით (თსუ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი), შეფასების სისტემა მოცემული სასწავლო კურსისა თუ სხვა სასწავლო და კვლევითი კომპონენტის შესაბამისია, მათი მიზნებიდან გამომდინარეობს და მათ შედეგებს სრულფასოვნად აფასებს გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპით. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა ასახულია პროგრამის აღწერილობაში, ხოლო შეფასების კონკრეტული კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას და შინაარსს, შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს და განსაზღვრულია შესაბამისი სილაბუსით. სტუდენტის მიერ კრედიტის ათვისება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც ფასდება შეფასების სისტემით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით. შეფასების სისტემა ითვალისწინებს ყველა სტუდენტთან თანაბარ მიდგომას. სტუდენტებისათვის წინასწარ არის ცნობილი შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები, დეტალური ქულობრივი განაწილება. აკადემიური პერსონალი სტუდენტთან უკუკავშირზეა – ახდენს სტუდენტის ინფორმირებას შეფასების შედეგების, სტუდენტის სუსტი და ძლიერი მხარეების თაობაზე. საკუთარი სწავლის შედეგის შესახებ სტუდენტს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია სასწავლო პროცესის მართვის სისტემის (lms.tsu.ge) და ელექტრონული სწავლების პორტალის (e-learning.tsu.ge) საშუალებით. სტუდენტის შეფასება შესაძლებელია სტუდენტის მიერ გასაჩივრდეს, რა შემთხვევაშიც თსუ შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ნაშრომის/დავალების/აქტივობის შეფასების რევიზიას. აპელაცია სტუდენტს საშუალებას აძლევს, პირველადი შეფასების მიმართ უნდობლობის შემთხვევაში, გაასაჩივროს შეფასება, რაც სასწავლო პროცესისადმი მის ნდობასა და მხარდაჭერას ზრდის. შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს – შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (51-100 ქულა). სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც სასწავლო კურსების შუალედურ შეფასებებში დაგროვილი აქვს არანაკლებ 21 ქულა. შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერიტი გამოცდა, ზეპირი/წერიტი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო, რეფერატის, ესეს, პრეზენტაციის შეფასება და სხვ.). საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიში სტუდენტის შეფასება ითვალისწინებს: სამუშაო ჯგუფში, პრაქტიკულ მეცადინეობაზე და სემინარებზე სტუდენტთა აქტივობის შეფასებას; შუალედური გამოცდის შეფასებას; დასკვნითი გამოცდის შეფასებას; პრეზენტაციის შეფასებას; კვლევითი ნაშრომის შეფასებას. სტუდენტს კრედიტი ენიჭება

მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში. შეფასების სისტემა ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით შეფასებას.

შეფასების სისტემა A 91 -100 ფრიადი B 81 -90 ძალიან კარგი C 71 -80 კარგი D 61 -70 დამაკმაყოფილებელი E 51 - 60 საკმარისი FX 41 - 50 ვერ ჩააბარა, სტუდენტს ეძლევა დასკვნითი გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება შედეგის გამოცხადებიდან 5 დღის ვადაში F 0 – 40 ჩაიჭრა, სტუდენტმა კრედიტის მიღებისთვის თავიდან უნდა გაიაროს კურსი

FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა. გამოცდა ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ სტუდენტმა დააგროვა დასკვნითი გამოცდის ქულების 50%. უნივერსიტეტში მოქმედებს შუალედური და დასკვნითი გამოცდების შედეგების აპელაციის მექანიზმი. უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად სტუდენტს უფლება აქვს გაასაჩივროს მიღებული შეფასება. საგამოცდო ქულის ასახვიდან 48 საათის განმავლობაში სტუდენტმა აპელაცია უნდა გააგზავნოს თსუ ელექტრონული სისტემიდან (<http://lms.tsu.ge/>), კორესპოდენციიდან, სათაურით „საგამოცდო ქულის გასაჩივრება (აპელაცია)“. შეფასების პროცედურის გამჭვირვალობის, ობიექტურობის და სტუდენტის მაქსიმალური ინფორმირებულობის მიზნით თსუ–ში მოქმედებს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეული - საგამოცდო ცენტრი. ცენტრი, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდების, აკადემიური საბჭოს დადგენილებების, უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და ცენტრის დებულების საფუძველზე. საჭიროების შემთხვევაში, აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებთან.

კლასტერის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებისთვის საბაკალავრო ნაშრომი პროგრამის სავალდებულო სასწავლო კომპონენტია, რომელსაც ასევე დეტალურად გაწერილი შეფასების სისტემა აქვს. საბაკალავრო ნაშრომის მომზადების, გაფორმების, საჯარო დაცვაზე წარდგენისა და შეფასების ყველა დეტალს სტუდენტი გაეცნობა თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესში, რომელიც ხელმსაწვდომია ყველა სტუდენტისთვის ფაკულტეტის ვებგვერდზე. უნივერსიტეტში სწავლისა და კვლევის პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ამოქმედებულია ტექსტის ამომცნობი ელექტრონული პროგრამა Turnitin-ი, აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის შესაბამისად, რაც ემსახურება პლაგიატის პრევენციას. საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში სტუდენტებს საშუალება ეძლევათ ელექტრონული სწავლების პორტალზე Moodle-ი დაფიქსირებულ საგანგებოდ საბაკალავრო ნაშრომისათვის განკუთვნილ ანგარიშზე დარეგისტრირების შემდგომ საკუთარი ნაშრომი ატვირთონ როგორც სამუშაო (საცდელ) რეჟიმში,

ისე საბოლოო ფორმატის სახით, რის შემდგომ შესაძლებელია ჩამოტვირთული ანგარიშის ანალიზი. პროგრამის მოხმარების ინსტრუქცია ელექტრონული სწავლების პორტალზე ხელმისაწვდომია ნებისმიერი სტუდენტისთვის.

სამაგისტრო პროგრამების სავალდებულო კვლევითი კომპონენტია სამაგისტრო ნაშრომი (30 ECTS კრედიტის მოცულობით). სამაგისტრო ნაშრომს ასევე დეტალურად გაწერილი შეფასების სისტემა აქვს. სამაგისტრო ნაშრომის მომზადების, გაფორმების, საჯარო დაცვაზე წარდგენისა და შეფასების ყველა დეტალს სტუდენტი გაეცნობა თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესში, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისთვის ფაკულტეტის ვებგვერდზე. სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვამდე Turnitin ელექტრონულ პროგრამაში მისი გატარება სავალდებულოა.

კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, ისევე, როგორც თსუ სხვა საგანმანათლებლო პროგრამებზე, უწყვეტ რეჟიმში ხორციელდება სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისა და დასაქმების შესახებ. სტუდენტთა კონსულტირება საუნივერსიტეტო სერვისების მნიშვნელოვანი კომპონენტია, მთელი სასწავლო ციკლის განმავლობაში.

სასწავლო სემესტრის დასაწყისში, ყოველი სასწავლო კურსის პირველ, შესავალ ლექციაზე, სტუდენტი იღებს სრულ ინფორმაციას სილაბუსით გათვალისწინებული მოთხოვნების შესახებ, თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებულია საკონსულტაციო საათები და პედაგოგის საკონტაქტო ინფორმაცია, რაც უზრუნველყოფს უკუკავშირს სტუდენტსა და პედაგოგს შორის სტუდენტის მოთხოვნის შესაბამისად.

ყველა სტუდენტი სარგებლობს ერთიანი LMS ბაზით (თსუ-ს საინფორმაციო და სასწავლო პლატფორმა), საიდანაც სტუდენტს შესაძლებლობა აქვს, საჭიროების შემთხვევაში, მისწეროს საგნის ლექტორს, მიიღოს მისგან უკუკავშირი, ისარგებლოს სასწავლო რესურსებით. ფაკულტეტზე მოქმედებს სტუდენტთა მომსახურების ცენტრი, რომელიც, ასევე სტუდენტთა სათანადო კონსულტაციასა და მომსახურებას ეწევა იმ საკითხებზე, რაც სტუდენტების პროფესიული და აკადემიური განვითარებისთვისაა საჭირო. ფაკულტეტზე მოქმედი სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური რეგულარულად ატარებს ადგილობრივ სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებს, რის შესახებაც ინფორმაცია მიეწოდებათ სტუდენტებს. სტუდენტთა სამეცნიერო აქტივობის მხარდაჭერა ასევე ხორციელდება სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის თანამშრომლებთან ინდივიდუალური შეხვედრებითა და ელ.ფოსტის მეშვეობით. სტუდენტებს ასევე მიეწოდებათ ინფორმაცია ფაკულტეტზე მოქმედი სამეცნიერო კვლევითი გრანტების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ერთობლივ ჩართულობას. ამასთანავე, უსდ-ში და შესაბამისად, ფაკულტეტზე, მოქმედებს სამაგისტრო საფეხურის სტუდენტების ფინანსური წახალისების მექანიზმი, რომელიც გულისხმობს მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების სწავლის საფასურის დაფინანსებას. აკადემიური რეგისტრაციის პროცესში ფაკულტეტი სთავაზობს სტუდენტებს ტუტორიუმს, რომლის განრიგიც წარმოდგენილია ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე და ვებ-გვერდზე. საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტს შეუძლია მიიღოს დეტალური ინფორმაცია ტუტორისგან, რომელიც კარგად იცნობს პროგრამის თავისებურებებს. ტუტორი კონსულტაციას უწევს სტუდენტს დისციპლინების არჩევისას, ეხმარება

ინდივიდუალური ცხრილის სწორად აგებაში; ზოგიერთ შემთხვევაში, ტუტორი ტექნიკურ დახმარებასაც უწევს სტუდენტს. სტუდენტებს შეუძლიათ ასევე გაიარონ კონსულტაცია სასწავლო განრიგისა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით ფაკულტეტის ადმინისტრაციასა და დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებში.

სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა განსაკუთრებით ეფექტურია დამატებითი სასწავლო ინიციატივების - საკონფერენციო ნაშრომების და სამეცნიერო სტატიების მომზადებისას. სტუდენტურ მომსახურებას კურირებს თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, რომლის ფუნქციები მოიცავს შემდეგს: სტუდენტებისთვის საინფორმაციო მომსახურების გაწევა; სტუდენტების სწავლასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ფაკულტეტისთვის ადმინისტრაციას ამ პრობლემების გადაჭრის მიზნით (საჭიროების შემთხვევაში უკუკავშირის უზრუნველყოფა სტუდენტებისთვის); სტუდენტების პრობლემების მოგვარება ფაკულტეტისა და ცენტრალური ადმინისტრაციის შესაბამის სამსახურებთან თანამშრომლობით. თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხარდაჭერით უნივერსიტეტში 2018 წლიდან ტარდება ტრენინგები და სხვადასხვა ღონისძიება სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის აკადემიური კეთილსინდისიერების და პლაგიატის პრევენციის საკითხებზე, ერასმუს+ ინსტიტუციური განვითარების პროექტის „INTEGRITY“-ის ფარგლებში. აკადემიური წერის სასწავლო კურსის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის ჩართულობით შეიქმნა 15 ვიდეო ლექცია (განთავსებულია უნივერსიტეტის Youtube გვერდზე) აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის, ცნობიერების ამაღლებისა და სტუდენტებში აკადემიური წერის კომპეტენციების გაუმჯობესების მიზნით. გარდა ამისა, 2020 წლის 28 მაისიდან 19 ივნისის ჩათვლით ჩატარდა 22 ონლაინ ტრენინგი (Zoom პლატფორმის გამოყენებით) აკადემიურ წერაში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დოქტორანტურისა და ერთსაფეხურიანი პროგრამების სტუდენტებისთვის. ტრენინგებზე განხილული იყო აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან და აკადემიურ წერასთან დაკავშირებული თემებო (როგორ დავწეროთ საბაკალავრო ნაშრომი, როგორ შევქმნათ კარგი სამეცნიერო სტატია, როგორ ხდება სამეცნიერო ბაზების გამოყენება და სხვა). კონსულტაციები დასაქმებასთან დაკავშირებით სტუდენტს შეუძლია მიიღოს სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრში, რომელიც უზრუნველყოფს ასევე სტუდენტის კარიერული განვითარების მხარდაჭერას. უნივერსიტეტში 2017 წლიდან მიმდინარეობს სტუდენტური პროექტების დაფინანსება. სტუდენტების მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო და კულტურული/სპორტული/საგანმანათლებლო პროექტების დაფინანსების საკითხის განსახილველად საგანგებო საბჭო იკრიბება წელიწადში 3-ჯერ.

უნივერსიტეტი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისთვის სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების და სრულფასოვანი განათლებისათვის აუცილებელი პირობების შესაქმნელად ეტაპობრივად და თანმიმდევრულად აუმჯობესებს ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, უზრუნველყოფს დამხმარე პირს, საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. 2019 წელს თსუ-ში შეიქმნა ფსიქოლოგიური კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი. აღნიშნული ცენტრის ფარგლებში ტარდება ტრენინგები სტუდენტებისთვის სხვადასხვა აქტუალურ თემაზე. ასევე სტუდენტები უფასოდ

იღებენ ფსიქოლოგიურ მომსახურებას, რაც განსაკუთრებით აქტუალური პანდემიის პირობებში გახდა.

თსუ-ს სტუდენტებისთვის უნივერსიტეტში ხორციელდება სტუდენტური უფლებების დაცვა არსებული მარეგულირებელი წესების შესაბამისად, რომელიც ცნობილია ყველა სტუდენტისთვის. თსუ-ში სტუდენტების უფლებებს არეგულირებს სტუდენტური ომბუდსმენი. კლასიკური, ახალი ბერძნული და რომანული ენების კლასტერში დაჯგუფებული სამაგისტრო პროგრამების მაგისტრანტებს ხელმძღვანელობას უწევენ ფაკულტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ს/ს ინსტიტუტისა და დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის ს/ს ინსტიტუტის რომანული ფილოლოგიის კათედრის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომლებიც არიან დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, აქვთ შესაბამისი პუბლიკაციები, კვლევითი პროექტები, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, რაც დასტურდება მათი საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაციით. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა შეუძლია პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, რომელსაც ირჩევს სტუდენტი (ნაშრომის სავარაუდო თემის შერჩევის შემდეგ), სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)თან კონსულტაციის საფუძველზე. ამ გზით უზრუნველყოფილია როგორც სტუდენტის თავისუფლება და ავტონომიურობა, ასევე, მეორე მხრივ, უზრუნველყოფილია, რომ სტუდენტს ჰყავდეს კვალიფიციური ხელმძღვანელი, რომელიც სრულყოფილად შეძლებს სტუდენტის სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობას. ხელმძღვანელს, სტუდენტთან შეთანხმების საფუძველზე, რეგულარული კონსულტაციები ექნება მასთან. კონსულტაციების სიხშირე შესაბამისი იქნება სამაგისტრო ნაშრომის და საკვლევი თემის სპეციფიკისა. ხელმძღვანელი კონსულტირებას უწევს სტუდენტს საკვლევი თემის სათაურის მართებულ ფორმულირებაში, კვლევითი აქტივობის დაგეგმვაში, კვლევის დიზაინის ჩამოყალიბებაში, ნაშრომის სტრუქტურულ, სტილისტურ და აკადემიურ გაფორმებაში. ასევე, ნაშრომზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე ხელმძღვანელი კონსულტირებას გაუწევს სტუდენტს კვლევის მიმდინარეობის თაობაზე. პროგრამაში ჩართული პერსონალი თავის პრაქტიკულ საქმიანობაში მუდმივად განახორციელებს პლაგიატის საწინააღმდეგო კონსულტაციებს.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია პროგრამების განხორციელებაში ჩართული ახალგაზრდა აკადემიური პერსონალი, რომლებიც ამ პროგრამების კურსდამთავრებულები არიან. გარდა ამისა, სამაგისტრო და საბაკალავრო საფეხურის სასწავლო კურსების სემინარებზე კლასტერის პროგრამები იწვევენ სადოქტორო პროგრამების დოქტორანტებს, რაც ხელს უწყობს ახალგაზრდა კადრების წახალისებასა და მათი კომპეტენციების გაღრმავებას.

თვითშეფასების კითხვარში სტუდენტთა შეფასების პროცესი შეესაბამება როგორც თსუ-ს შიდა რეგულაციებს (თსუ სასწავლოპროცესის მარეგულირებელი წესი), ისე გარე რეგულაციებს. პროგრამებში შემავალი კურსების ფარგლებში სტუდენტების შეფასება ხორციელდება ისეთი მეთოდებითა და კომპონენტებით, რომლებიც შესაბამისობაშია კურსის სპეციფიკასთან და უზრუნველყოფს კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებას მათში განსაზღვრული გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით.

ანალიზი: კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სტუდენტების ცოდნის შეფასების სისტემა შეესაბამება კანონმდებლობას. სტუდენტთა

შეფასების პრინციპები წინასწარ ცნობილია სტუდენტებისათვის, გაწერილია სილაბუსებშიც. ძირითადად, არის მრავალკომპონენტური, გამჭვირვალე, ობიექტური, სანდო და უზრუნველყოფს კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით.

სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული შეფასების ფორმებისა და კომპონენტების შესახებ დეტალური ინფორმაცია აღწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში. სტუდენტებს საშუალება აქვთ საგნების არჩევის დროს გაეცნონ სილაბუსების შინაარსს, წინასწარ მოიპოვონ ინფორმაცია კონკრეტული საგნის კონტენტისა თუ შეფასების კრიტერიუმების შესახებ.

სამაგისტრო ნაშრომის დაცვა საჯაროა, კომისიური წესით ტარდება, უზრუნველყოფილია გარე შეფასება, დაცულია აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის მექანიზმები.

მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტებს აქვთ სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციის მიღების სხვადასხვა წყარო, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ყველაზე ხშირად პროგრამის ხელმძღვანელებისგან და აკადემიური პირებისგან იღებენ საჭირო ინფორმაციას.

სილაბუსების გადამოწმების პროცესში გაირკვა, რომ ფრანგული ფილოლოგიის საბაკალავრო და რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებში სილაბუსებში გაწერილი სხვადასხვა სახის დავალების შეფასებები არ არის გამჭვირვალედ გაწერილი, კერძოდ, არაა ჩაშლილი თითოეული ქულის მისაღები კრიტერიუმები, რაც აუცილებელია, სტუდენტებისათვის უფრო გასაგები რომ გახდეს, რაში მიიღო კონკრეტული შეფასება.

მნიშვნელოვანია, ასევე რომ შეფასების პროცესში სტუდენტებმა მიიღონ უკუკავშირი, საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების შედეგების გასაუმჯობესებლად, მაგრამ აკადემიურ პირებთან და სტუდენტებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შუალედური შეფასების შემდეგ ეს უკუკავშირი არ ხდება და მათ არ აქვთ საშუალება შუალედური გამოცდების შედეგები გააანალიზონ, განმავითარებელი შეფასების შესაბამისად.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- კლასტერის საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა და სილაბუსები

- თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების მომზადებისა და დაცვის წესები, იხ. ფაკულტეტის ვებგვერდი <https://tsu.ge/assets/media/files>
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება N3 „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ (კონსოლიდირებული)
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 18 ივნისის სხდომაზე (ოქმი N20) დამტკიცებული „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის დებულება“
- აკადემიური საბჭოს 2020 წლის 13 მაისის N37 დადგენილება სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტი
- ელექტრონული პორტალი: [Lms.tsu.ge](https://lms.tsu.ge)
- ელექტრონული პორტალი: (e-learning.tsu.ge)
- ვიზიტისას გამართული ინტერვიუს შედეგები (ადმინისტრაციასთან, აფილირებულ და მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან)

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

1. რეკომენდებულია, შუალედური შეფასების(გამოცდის) შემდეგ პროფესორ-მასწავლებლებს და სტუდენტებს აქტიური უკუკავშირის საშუალება მიეცეთ, საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების შედეგების გაუმჯობესების მიზნით, განმავითარებელი შეფასების შესაბამისად.

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 5 (ფრანგული ფილოლოგია, პირველი საფეხური) და **პროგრამა 8** (რომანული ფილოლოგია, მეორე საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

1. რეკომენდებულია, ფრანგული ფილოლოგიის საბაკალავრო და რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსებში გაწერილი დავალებების შეფასებები გაიწეროს დეტალურად, თითოეული ქულის მისაღებად საჭირო კრიტერიუმების მითითებით, რომ შეფასებები იყოს უფრო გამჭვირვალე.

რჩევ(ებ)ი:

რეკომენდაცი(ებ)ი:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 2.4 სტუდენტების შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (კლასიკური ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ბიზანტიური ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (ახალი ბერძნული ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (ბერძნულ- რომაული ფილოლოგია, მეორე საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ფრანგული ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (იტალიანისტიკა, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (ესპანისტიკა, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (რომანული ფილოლოგია, მეორე საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (კლასიკური ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ბიზანტიური ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (ახალი ბერძნული ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (ბერძნულ-რომაული ფილოლოგია, მეორე საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ფრანგული ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (იტალიანისტიკა, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (ესპანისტიკა, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (რომანული ფილოლოგია, მეორე საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ,

გაანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

აღწერა: კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, ისევე, როგორც თსუ სხვა საგანმანათლებლო პროგრამებზე, უწყვეტ რეჟიმში ხორციელდება სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისა და დასაქმების შესახებ. სტუდენტთა კონსულტირება საუნივერსიტეტო სერვისების მნიშვნელოვანი კომპონენტია. ყველაზე ფართომასშტაბიანი კონსულტირება, რომელსაც უნივერსიტეტის სხვადასხვა საგანმანათლებლო საფეხურის სტუდენტი იღებს უნივერსიტეტში ჩარიცხვისთანავე, უნივერსიტეტში პირველივე კვირაში იგეგმება. მასში მონაწილეობას იღებს არა მხოლოდ აკადემიური პერსონალი, არამედ საუნივერსიტეტო სერვისების ყველა აქტუალური და მნიშვნელოვანი რგოლი. მიმდინარე ღონისძიება გულისხმობს სტუდენტისათვის მაქსიმალურად ამომწურავი და სრული ინფორმაციის მიწოდებას საუნივერსიტეტო სერვისებსა და უახლეს ინფორმაციაზე საუნივერსიტეტო სივრცეში. სტუდენტები ერთი კვირის განმავლობაში საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან დაგეგმილ შეხვედრებზე ამომწურავ ინფორმაციას იღებენ მომსახურებისა და სერვისების ცალკეული დეტალების თაობაზე, რაც მათ უადვილებს შემდგომში სწავლის პროცესში მათთვის სასურველი ინფორმაციის და მომსახურების მიღებას დროულად და ხარისხიანად. სასწავლო სემესტრის დასაწყისში, ყოველი სასწავლო კურსის პირველ, შესავალ ლექციაზე, სტუდენტი იღებს სრულ ინფორმაციას სილაბუსით გათვალისწინებული მოთხოვნების შესახებ, რითაც პედაგოგი/მასწავლებელი მას ამზადებს სემესტრის მანძილზე კონკრეტული სალექციო კურსის ფარგლებში მოსალოდნელი დატვირთვისთვის; თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებულია საკონსულტაციო საათები და პედაგოგის საკონტაქტო ინფორმაცია, რაც უზრუნველყოფს უკუკავშირს სტუდენტსა და პედაგოგს შორის სტუდენტის მოთხოვნის შესაბამისად. ამასთანავე, თსუ ყველა სტუდენტი სარგებლობს ერთიანი LMS ბაზით (თსუ-ს საინფორმაციო და სასწავლო პლატფორმა), საიდანაც სტუდენტს შესაძლებლობა აქვს, საჭიროების შემთხვევაში, მისწეროს საგნის ლექტორს, მიიღოს მისგან უკუკავშირი, ისარგებლოს სასწავლო რესურსებით. პარალელურ რეჟიმში, პროგრამის ფარგლებში სოციალურ ქსელებში იქმნება სტუდენტთა და ლექტორთა ერთობლივი ჯგუფები, რომლებიც დამატებით უზრუნველყოფენ ეფექტურ და უფრო ხშირ და ინტენსიურ კომუნიკაციას. გარდა ამისა, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი და მისი ხელმძღვანელები რეგულარულად ხვდებიან სტუდენტებს და ატყობინებენ მათ ადგილობრივი/საერთაშორისო პროექტების/ღონისძიებების, პროფესიული და აკადემიური განვითარების კურსების, დასაქმებაზე ორიენტირებული და სხვა მიმდინარე აქტივობების შესახებ. ინსტიტუციურ დონეზე, ფაკულტეტზე არსებული სასწავლო პროცესის მართვის სამსახური რეგულარულ რეჟიმში, ინდივიდუალურად ეხმარება სტუდენტებს სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა აქტივობებში. ფაკულტეტზე მოქმედებს სტუდენტთა მომსახურების ცენტრი, რომელიც, ასევე სტუდენტთა სათანადო კონსულტაციასა და მომსახურებას ეწევა იმ საკითხებზე, რაც სტუდენტების პროფესიული და აკადემიური განვითარებისთვისაა საჭირო. ფაკულტეტზე მოქმედი სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების

სამსახური რეგულარულად ატარებს ადგილობრივ სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებს, რის შესახებაც ინფორმაცია მიეწოდებათ სტუდენტებს და საჭიროების შემთხვევაში, მხარდაჭერას უცხადებს სტუდენტებს მასში მონაწილეობის მისაღებად (ფაკულტეტზე სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის ორგანიზებით ტარდება სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციები, გამოდის სამეცნიერო ჟურნალები, სადაც კვალიფიციური რეცენზირების გავლის შემდეგ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, გამოაქვეყნონ სამეცნიერო სტატიები). სტუდენტთა სამეცნიერო აქტივობის მხარდაჭერა ასევე ხორციელდება სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის თანამშრომლებთან ინდივიდუალური შეხვედრებითა და ელ.ფოსტის მეშვეობით. სტუდენტებს ასევე მიეწოდებათ ინფორმაცია ფაკულტეტზე მოქმედი სამეცნიერო კვლევითი გრანტების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ერთობლივ ჩართულობას. ამასთანავე, უსდ-ში და შესაბამისად, ფაკულტეტზე, მოქმედებს სამაგისტრო საფეხურის სტუდენტების ფინანსური წახალისების მექანიზმი, რომელიც გულისხმობს მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების სწავლის საფასურის დაფინანსებას. სტუდენტთა მომსახურების კუთხით ძირითად აქტივობებს წარმოადგენს: სასწავლო პროცესის ინდივიდუალური დაგეგმვის მხარდაჭერა; ცნობებისა და სტუდენტისთვის საჭირო სხვა დოკუმენტაციის გაცემა; სტუდენტის შეკითხვებზე რეგულარული პასუხი (რაც LMS ბაზითა და ელ.ფოსტით ხორციელდება). საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია პერიოდულად იგზავნება მათ მობილურ ტელეფონზე; ხოლო, ყველა ტიპის სტუდენტისთვის საჭირო და მისი მხარდასაჭერი ინფორმაცია (მათ შორის პროფესიული განვითარება, დასაქმება, ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტები, გაცვლითი ღონისძიებები ერაზმუსის პროექტის ფარგლებში და ა.შ.) იგზავნება მათ ინდივიდუალურ LMS-ის შეტყობინებებში და იდება ფაკულტეტის ვებ გვერდზე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სთავაზობს აბიტურიენტებსა და სტუდენტებს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული საგანმანათლებლო პროგრამების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, პროგრამების მიზნები, სწავლის შედეგები, კრედიტები და შეფასების სისტემის შესახებ. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ყველა საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტს შეუძლია მოიპოვოს ინფორმაცია პროგრამის აღწერილობასთან დაკავშირებით (დასახელება, მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი და კვალიფიკაცია, პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, მოსაპოვებელი კრედიტების ოდენობა, სასწავლო და კვლევის კომპონენტები, შეფასების წესები და ა.შ.) ფაკულტეტის შესაბამის ვებ-გვერდზე; ისევე როგორც ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელისა და განმახორციელებელი გუნდის შესახებ. თსუ-ში სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით, სტუდენტებს სთავაზობენ საკონსულტაციო მომსახურებას, რომელსაც კოორდინაციას უწევს ცენტრალური ადმინისტრაციის შესაბამისი დეპარტამენტები, ისე ფაკულტეტის ადმინისტრაცია და ფაკულტეტის შესაბამისი ს/ს ინსტიტუტები. აკადემიური რეგისტრაციის პროცესში ფაკულტეტი სთავაზობს სტუდენტებს ტუტორიუმს, რომლის განრიგიც წარმოდგენილია ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე და ვებ-გვერდზე. საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტს შეუძლია მიიღოს დეტალური ინფორმაცია ტუტორისგან, რომელიც კარგად იცნობს პროგრამის თავისებურებებს. ტუტორი კონსულტაციას უწევს სტუდენტს დისციპლინების არჩევისას, ეხმარება

ინდივიდუალური ცხრილის სწორად აგებაში; ზოგიერთ შემთხვევაში, ტუტორი ტექნიკურ დახმარებასაც უწევს სტუდენტს. სტუდენტებს შეუძლიათ ასევე გაიარონ კონსულტაცია სასწავლო განრიგისა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით ფაკულტეტის ადმინისტრაციასა და დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებში. ფაკულტეტის ადმინისტრაციული პერსონალი მოიცავს: დეკანს, დეკანის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, კანცელარიას, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურს, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს და ასე შემდეგ. აღსანიშნავია, რომ პანდემიის პერიოდში ფაკულტეტის ადმინისტრაცია რეგულარულად ატარებდა სტუდენტებთან შეხვედრებს (Zoom პლატფორმის საშუალებით) არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებისა და დროული რეაგირების მიზნით. სტუდენტების სასწავლო პროცესის ეფექტურად დაგეგმვის მიზნით, პროცესში ჩართულია თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კლასიკური, შუა საუკუნეების ბერძნული და ლათინური, ახალი ბერძნული და რომანული ენების კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი. მათთან კონსულტაცია შესაძლებელია წინასწარ დადგენილი გრაფიკის მიხედვით. შედეგად, სტუდენტებს შეუძლიათ მიიღონ ინდივიდუალური კონსულტაციები აკადემიურ პერსონალთან და პროგრამის ხელმძღვანელთან პროგრამასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საორგანიზაციო და შინაარსობრივ საკითხებზე. ზოგადად, სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის რეჟიმი ხელს უწყობს უკეთ კომუნიკაციას სტუდენტებსა და პროფესორებს შორის, აუმჯობესებს სწავლის ხარისხს და ქმნის სტუდენტზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოს. სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა განსაკუთრებით ეფექტურია დამატებითი სასწავლო ინიციატივების - საკონფერენციო ნაშრომების და სამეცნიერო სტატიების მომზადებისას. სტუდენტურ მომსახურებას კურირებს თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, რომლის ფუნქციები მოიცავს შემდეგს: სტუდენტებისთვის საინფორმაციო მომსახურების გაწევა; სტუდენტების სწავლასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ფაკულტეტისთვის ადმინისტრაციას ამ პრობლემების გადაჭრის მიზნით (საჭიროების შემთხვევაში უკუკავშირის უზრუნველყოფა სტუდენტებისთვის); სტუდენტების პრობლემების მოგვარება ფაკულტეტისა და ცენტრალური ადმინისტრაციის შესაბამის სამსახურებთან თანამშრომლობით. სტუდენტთა მიერ უცხოეთის აკრედიტებულ უსდ-ებში მოპოვებული კრედიტების აღიარების მიზნით ფაკულტეტზე შექმნილია კრედიტების აღიარების კომისია, რომელიც ადგენს სტუდენტის/პირის მიერ უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თსუ-ს შესაბამის პროგრამასთან თავსებადობას და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ. თსუ მხარს უჭერს სტუდენტთა მობილობას თავისუფალ გადაადგილებას სწავლისა და კვლევის საერთაშორისო პროცესებში მონაწილეობისათვის როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხარდაჭერით უნივერსიტეტში 2018 წლიდან ტარდება ტრეინინგები და სხვადასხვა ღონისძიება სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის აკადემიური კეთილსინდისიერების და პლაგიატის პრევენციის საკითხებზე, ერასმუს+ ინსტიტუციური განვითარების პროექტის „INTEGRITY“-ის ფარგლებში. აღნიშნული მიმართულებით, ქვეყანაში არსებული პანდემიის მიუხედავად, განხორციელდა არაერთი აქტივობა. სახელდობრ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის,

ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის, თსუ-ის მულტიმედია ცენტრისა და უნივერსიტეტში აკადემიური წერის სასწავლო კურსის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის ჩართულობით შეიქმნა 15 ვიდეო ლექცია (განთავსებულია უნივერსიტეტის Youtube გვერდზე <https://www.youtube.com/watch?v=3mcifCvR2W8&t=92s>; <https://www.youtube.com/watch?v=uSEM3kx7CjQ>) აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის, ცნობიერების ამაღლებისა და სტუდენტებში აკადემიური წერის კომპეტენციების გაუმჯობესების მიზნით. გარდა ამისა, 2020 წლის 28 მაისიდან 19 ივნისის ჩათვლით ჩატარდა 22 ონლაინ ტრენინგი (Zoom პლატფორმის გამოყენებით) აკადემიურ წერაში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დოქტორანტურისა და ერთსაფეხურიანი პროგრამების სტუდენტებისთვის. ტრენინგებზე განხილული იყო აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან და აკადემიურ წერასთან დაკავშირებული 13 განსხვავებული თემა, მათ შორის: როგორ დავეროთ საბაკალავრო ნაშრომი, როგორ შევქმნათ კარგი სამეცნიერო სტატია, როგორ ხდება სამეცნიერო ბაზების გამოყენება და სხვა. კონსულტაციები დასაქმებასთან დაკავშირებით სტუდენტს შეუძლია მიიღოს სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრში, რომელიც უზრუნველყოფს ასევე სტუდენტის კარიერული განვითარების მხარდაჭერას. უნივერსიტეტში 2017 წლიდან მიმდინარეობს სტუდენტური პროექტების დაფინანსება (ბრძანება N: 24/02-01). გამჭვირვალობის და პარიტეტის დასაცავად შექმნილია სპეციალური საბჭო, რომელშიც უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან ერთად არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებიც არიან წარმოდგენილი. სტუდენტების მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო და კულტურული/სპორტული/საგანმანათლებლო პროექტების დაფინანსების საკითხის განსახილველად საბჭო იკრიბება წელიწადში 3-ჯერ. უნივერსიტეტი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისთვის სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების და სრულფასოვანი განათლებისათვის აუცილებელი პირობების შესაქმნელად ეტაპობრივად და თანმიმდევრულად აუმჯობესებს ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, უზრუნველყოფს დამხმარე პირს, საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას (თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება №71/2018 – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტთა საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ). 2019 წელს თსუ-ში შეიქმნა ფსიქოლოგიური კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი. აღნიშნული ცენტრის ფარგლებში ტარდება ტრენინგები სტუდენტებისთვის სხვადასხვა აქტუალურ თემაზე. ასევე სტუდენტები უფასოდ იღებენ ფსიქოლოგიურ მომსახურებას, რაც განსაკუთრებით აქტუალური პანდემიის პირობებში გახდა. თსუ-ს სტუდენტებისთვის უნივერსიტეტში ხორციელდება სტუდენტური უფლებების დაცვა არსებული მარეგულირებელი წესების შესაბამისად, რომელიც ცნობილია ყველა სტუდენტისთვის. თსუ-ში სტუდენტების უფლებებს არეგულირებს სტუდენტური ომბუდსმენი.

ანალიზი: სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალი, მათ შორის, პროგრამაში ჩართული პირები, უზრუნველყოფენ სათანადო ინფორმაციის მიწოდებას სტუდენტებისათვის უსდ-ში არსებული სერვისების შესახებ. სტუდენტები ინფორმირებულები არიან სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტისა და ღონისძიების შესახებ, აქვთ საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში,

კონფერენციებში, კვლევებში მონაწილეობის შესაძლებლობა. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, ისარგებლონ საერთაშორისო მობილობით და აქტიურად ჩაერთონ გაცვლით პროგრამებში. აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული ან სხვა პერსონალი ეფექტურ კონსულტაციებს უწევს სტუდენტებს სასწავლო პროცესთან და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებასთან დაკავშირებით.

ძირითადი მიგნებები (ძლიერი მხარეები და შენიშვნები):

- სტუდენტები აქტიურად მონაწილეობდნენ შესაბამისი პროგრამების სამუშაო ჯგუფებში და, როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, მათი კონკრეტული რჩევები და რეკომენდაციები პროგრამებთან მიმართებით მაქსიმალურად გაითვალისწინეს;
- სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა წელიწადში სამჯერ სამეცნიერო, კულტურული, სპორტული და საგანმანათლებლო მიმართულებით პროექტები შესთავაზონ უსდ-ს; აქვთ სტუდენტური კლუბი, რომელსაც ჰყავს თავმჯდომარე - როგორც სტუდენტებმა აღნიშნეს, კლუბის არსებობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადმინისტრაციასა და სტუდენტებს შორის ეფექტური უკუკავშირისთვის. აქვე უნდა აღინიშნოს მათი ერთი პროექტის, „აგორას“ შესახებ, რომელშიც სტუდენტები მათი დარგისთვის საინტერესო რესპონდენტებს იწვევენ;
- სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციები ყოველწლიურად ტარდება და მასში აქტიურად არიან ჩართული შესაფასებელი პროგრამების სტუდენტები; აქვთ ყოველწლიური სამეცნიერო თემატური ღონისძიებები; აქვთ საშუალება, დაბეჭდონ სტატიები უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალებში, აგრეთვე, აქვთ სპეციალური ჟურნალები, მათ შორის, „მნემოსინე“, რომელშიც თარგმანებსა და სხვადასხვა პუბლიკაციას აქვეყნებენ; ამასთან, შესაბამის მიმართულებაზე აქვთ ფრანგული რადიო - სადაც სტუდენტები ფრანგულენოვან პოდკასტებს ამზადებენ და აზიარებენ სოციალურ მედიაში;
- სტუდენტების ექსტრაკურსულურ აქტივობას მნიშვნელოვანი ყურადღება რომ ეთმობა, ეს ქულათა გადანაწილების სისტემაშიც აისახა: სტუდენტს, რომელსაც სურს სტიპენდიის მიღება, ქულათა 80% აკადემიური მოსწრებით უნდა დააგროვოს, 20% კი - სამეცნიერო და სხვა ტიპის აქტივობებში მონაწილეობით;
- კლასტერულ პროგრამებზე, როგორც გაირკვა, მცირე კონტინგენტია, ჯგუფში ხშირად ერთი ან რამდენიმე სტუდენტია, თუმცა, როგორც ინტერვიუს დროს გაირკვა, სტუდენტთა მცირე რაოდენობა ლექცია-სემინარების ეფექტიანად წარმართვას ხელს არ უშლის; ამასთან, აქვთ უცხოელი სპიკერების მოწვევისა და მათ მიერ ლექციების წაკითხვის კარგი გამოცდილება;
- ლიტერატურა ხელმისაწვდომია: ელექტრონული სახით და ბიბლიოთეკაში. ამ მიმართულებით პრობლემა არ შეჰქმნიათ. სახელმძღვანელოები სემესტრის დასაწყისში უფასოდ ურიგდებათ სტუდენტებს და სემესტრის ბოლოს უბრუნდება ისევ უნივერსიტეტს;

- ინტერვიუზე წარმოდგენილი კურსდამთავრებულები აღნიშნავენ, რომ უნივერსიტეტში შეძენილი ცოდნა და უნარები დასაქმების პროცესში გამოადგათ; ამასთან, ფაკულტეტის ადმინისტრაციის ინიციატივით, შექმნილია სპეციალური ფეისბუქ-ჯგუფი, სადაც სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს სასარგებლო და საინტერესო აქტივობების, აგრეთვე, დასაქმების შესაძლებლობის შესახებ მიეწოდებათ ინფორმაციები;
- ლექცია-სემინარები სწავლების თანამედროვე მეთოდებით წარიმართება, მათ შორის აღსანიშნავია დრამატურგიული დადგმები, აგრეთვე: დისკუსია/დებატები, ტრანსფერირებადი უნარები, ექსპერიმენტები, ინტერაქტიური ლექციები, მცირეფორმატიანი კვლევები, ვიზუალური მასალები, ქვიზები, ილუსტრაციების ამოცნობა და სხვ.
უნდა გამოიყოს გასაუმჯობესელი მხარეებიც:
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების შემდეგ აღნიშნული მეთოდების ეფექტურად განხორციელების საკითხი რამდენადმე კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. მიუხედავად იმისა, რომ აკადემიური პერსონალი ტექნიკურ პრობლემებს საგანგაშოდ არ მიიჩნევს, აღნიშნული სიტუაცია საყურადღებოა;
- სტუდენტებთან ინტერვიუს დროს გაჟღერდა შემდეგი შენიშვნები: კლასიკური ფილოლოგიის მიმართულებით კონკრეტული საგნებისთვის გამოყოფილი კრედიტების არასაკმარის მოცულობა, კერძოდ: ანტიკური ლიტერატურის ისტორია, მითოლოგია, ისტორიოგრაფია. ასევე, იტალიანისტიკის მიმართულებით ისურვებდნენ დარგობრივი საგნების დამატებას მაგისტრატურის საფეხურზე, მეტ პრაქტიკას, მოსასმენების დამატებას, მართლწერასთან დაკავშირებული მოდულების გაძლიერებას;
- სტუდენტური გამოკითხვები არაორგანიზებული და ფრაგმენტულია, რაც პროგრამაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის, ადმინისტრაციის, სასწავლო კურსების ეფექტიან მუშაობაზე ობიექტურ სურათს ვერ მოგვცემს. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მსგავსი უკუკავშირისთვის სიღრმისეულ ინტერვიუსა და ფოკუს-ჯგუფებს მიმართავენ, თუმცა ეს ალტერნატივა, დიდი ალბათობით, განზოგადების საშუალებას ნაკლებად იძლევა. სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების უმეტესობამ აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა, ამ მიმართულებით კონკრეტული მექანიზმის შემუშავება, მეტად ორგანიზება;
- თსუ-ს ერთიანი საინფორმაციო და სასწავლო პლატფორმა - სტუდენტური პორტალი - LMS - სტუდენტებისთვის მოუხერხებელი და არაკომფორტული პლატფორმაა, საჭიროებს განახლებას, რაც გამოიკვეთა სტუდენტების ინტერვიუების დროს.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დაგეგმილი და განხორციელებული საკონსულტაციო მომსახურებები;
- საკონსულტაციო მომსახურებაში ჩართულ (პროგრამაში ჩართული აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალი, ფაკულტეტის/სკოლის კოორდინატორი, ტუტორი ან სხვა) პირთა დატვირთვა, ფუნქციები და მოვალეობები, მათი სამუშაო აღწერილობები;
- ადგილობრივ და საერთაშორისო აქტივობებში სტუდენტთა ჩართულობის დოკუმენტები/ინფორმაცია;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი (სტუდენტური პროექტები და სხვ.)- <https://cutt.ly/8OQAsQW>
- სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის სამსახურის დებულება
- უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის დებულება
- აკადემიური საბჭოს 2018 წლის 5 თებერვლის N25/2018 დადგენილება-„სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - სტუდენტთა საკონსულტაციო ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“: <https://www.tsu.ge/ka/legalakad/15930>
- ვიზიტისას გამართული ინტერვიუს შედეგები (ადმინისტრაციასთან, აფილირებულ და მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან)

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- განახლდეს და სტუდენტების საჭიროებებზე მაქსიმალურად მორგებული, მოქნილი გახდეს ელექტრონული სასწავლო ბაზა, სტუდენტის პორტალი - LMS-ი;
- სტუდენტთა გამოკითხვებს მიეცეს პერიოდული და რეგულარული ხასიათი და შემუშავდეს საუკეთესო მექანიზმი, რათა სტუდენტთა ინტერესები, მათი კმაყოფილება ყოველსემესტრულად იკვლიონ და შემდგომ შესაბამისი რეაგირება მოახდინონ. ამასთან, გამოკითხვები იყოს ანონიმური და კონფიდენციალურობის პრინციპებით განხორციელებადი.

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია, მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული სტუდენტთა მოსაზრებები პროგრამებში პრაქტიკის ელემენტის და სასწავლო კურსებში პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერების შესახებ.

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერი სერვისები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 კლასიკური ფილოლოგია, ბაკალავრიატი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 ახალი ბერძნული ფილოლოგია, ბაკალავრიატი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 ბიზანტიური ფილოლოგია, ბაკალავრიატი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 ბერძნულ-რომაული ფილოლოგია, მაგისტრატურა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 ფრანგული ფილოლოგია, ბაკალავრიატი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 ესპანისტიკა, ბაკალავრიატი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 იტალიანისტიკა, ბაკალავრიატი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 რომანული ფილოლოგია, მაგისტრატურა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
 - სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.
-

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

აღწერა: კლასიკური, ახალი ბერძნული და რომანული ენების კლასტერში დაჯგუფებული სამაგისტრო პროგრამების მაგისტრანტებს ხელმძღვანელობას უწევს ფაკულტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ს/ს ინსტიტუტისა და დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის ს/ს ინსტიტუტის რომანული ფილოლოგიის კათედრის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომლებიც არიან დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, აქვთ შესაბამისი პუბლიკაციები, კვლევითი პროექტები, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, რაც დასტურდება მათი საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაციით. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა შეუძლია პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, რომელსაც ირჩევს სტუდენტი (ნაშრომის სავარაუდო თემის შერჩევის შემდეგ), სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)თან კონსულტაციის საფუძველზე. ამ გზით უზრუნველყოფილია როგორც სტუდენტის თავისუფლება და ავტონომიურობა, ასევე, მეორე მხრივ, უზრუნველყოფილია, რომ სტუდენტს ჰყავდეს კვალიფიციური ხელმძღვანელი, რომელიც სრულყოფილად შეძლებს სტუდენტის სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობას. ხელმძღვანელს, სტუდენტთან შეთანხმების საფუძველზე, რეგულარული კონსულტაციები ექნება მასთან. კონსულტაციების სიხშირე შესაბამისი იქნება სამაგისტრო ნაშრომის და საკვლევი თემის სპეციფიკისა. ხელმძღვანელი კონსულტირებას უწევს სტუდენტს საკვლევი თემის სათაურის მართებულ ფორმულირებაში, კვლევითი აქტივობის დაგეგმვაში, კვლევის დიზაინის ჩამოყალიბებაში, ნაშრომის სტრუქტურულ, სტილისტურ და აკადემიურ გაფორმებაში. ასევე, ნაშრომზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე ხელმძღვანელი კონსულტირებას გაუწევს სტუდენტს კვლევის მიმდინარეობის თაობაზე. პროგრამაში ჩართული პერსონალი თავის პრაქტიკულ საქმიანობაში მუდმივად განახორციელებს პლაგიატის საწინააღმდეგო კონსულტაციებს. თსუ-ის ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს პლაგიატის მიუღებლობასა და დაუშვებლობას აკადემიური საზოგადოებისა და სტუდენტების მიერ. ეთიკის კოდექსის მიხედვით, „აკადემიური პერსონალი ვალდებულია შეიმუშაოს და დანერგოს სწავლებისა და შეფასების ისეთი მეთოდები, რომლებიც წახალისებს სტუდენტების აკადემიურ პატიოსნებას და გამორიცხავს პლაგიატს. დანერგილია პლაგიატის აღმომჩენი პროგრამული უზრუნველყოფა და პლაგიატის საპრევენციო სერვისები. კერძოდ, თსუ-ში შეძენილ იქნა პროგრამა „turnitin“-ი და მოხდა მისი სწავლის მართვის სისტემაში

(LMS) ინტეგრირება. აღნიშნულ კომპონენტში ჩართულია თსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების (IT) სამსახური. ამასთან, განხორციელდა პროგრამული ტრენინგები (moodle, turnitin) სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული, სამეცნიერო, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისთვის. 80 საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითმფეასების ანგარიში განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია პროგრამების განხორციელებაში ჩართული ახალგაზრდა აკადემიური პერსონალი, რომლებიც ამ პროგრამების კურსდამთავრებულები არიან. გარდა ამისა, სამაგისტრო და საბაკალავრო საფეხურის სასწავლო კურსების სემინარებზე კლასტერის პროგრამები იწვევენ სადოქტორო პროგრამების დოქტორანტებს, რაც ხელს უწყობს ახალგაზრდა კადრების წახალისებასა და მათი კომპეტენციების გაღრმავებას.

უსდ-ს შემუშავებული აქვს მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელის და არსებობის შემთხვევაში - თანახელმძღვანელის, დანიშვნის, შეცვლის, უფლებამოვალეობებისა და ხელმძღვანელობის/თანახელმძღვანელობის პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები, მათ შორის: ნაშრომის მომზადების წესები, ხელმძღვანელის არჩევის წესი, საფაკულტეტო დებულება, აქვთ შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტი უფლება-მოვალეობებთან დაკავშირებით.

ხელმძღვანელს რეგულარული კონსულტაციები აქვს სტუდენტებთან. კონსულტაციების რაოდენობა შეესაბამება პროგრამისა და საკვლევი თემის სპეციფიკას. ხელმძღვანელი კონსულტირებას უწევს სტუდენტს კვლევით პროცესში შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: კვლევის დიზაინი და პროექტის მენეჯმენტი, კვლევის მეთოდოლოგია, პროფესიული განვითარება, თეზისის/სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის წერის პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრირების პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისა და შედეგების წარდგენის პროცესი, სამეცნიერო სტატიების რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნება, სამეცნიერო საგრანტო კონკურსებში მონაწილეობა და სხვ.

სტუდენტებს თავისუფლად შეუძლიათ როგორც ხელმძღვანელის, ისე თემის არჩევა. თემების შედგენაში თავად სტუდენტებიც აქტიურად იღებენ მონაწილეობას და ხშირად მათი ინტერესებიდან გამომდინარე მუშავდება საკვალიფიკაციო ნაშრომის საბოლოო სათაური. როგორც ბაკალავრიატის, ისე მაგისტრატურის სტუდენტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი კომპეტენცია და ხარისხი, რათა სტუდენტებს ღირსეული ხელმძღვანელობა გაუწიონ. როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს, ნაშრომზე მუშაობისას სტუდენტს ნებისმიერ დროს შეუძლია ხელმძღვანელს კონსულტაციებისთვის მიმართოს. ერთ ხელმძღვანელს შეუძლია ბაკალავრიატის 7 და მაგისტრატურის 3 სტუდენტის აყვანა. უნივერსიტეტს აქვს ანტი-პლაგიატის პროგრამა, რომელზეც ნაშრომებს ამოწმებენ. უსდ-ში, ასევე, ფუნქციონირებს გასაჩივრების მექანიზმი, რომლის შესახებაც სტუდენტები ინფორმირებული არიან. საკვალიფიკაციო ნაშრომებს შესაბამისი ქულით აფასებენ მხოლოდ რეცენზენტები და კომისიის წევრები: რეცენზენტი - 60%, კომისია - 40%. ამ ნაწილში ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი მხოლოდ წერილობითი დასკვნით შემოიფარგლება და მას ქულის დაწერის საშუალება არ აქვს.

ანალიზი: თსუ-ს შემუშავებული აქვს შესაბამისი მარეგულირებელი წესები: ხელმძღვანელის დანიშვნა/შეცვლა, ფუნქცია-მოვალეობები, საქმიანობის შეფასება; ნაშრომის გაფორმებისა და დაცვის პროცედურები, და ა.შ. კლასტერში დაჯგუფებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების აკადემიური პერსონალი, რომელიც ახორციელებს მაგისტრანტთა სამეცნიერო ხელმძღვანელობას, გამოირჩევა მაღალი კომპეტენტურობით, პროფესიონალიზმით; სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, ისინი რეგულარულად მართავენ შეხვედრებს, კონსულტაციებს მაგისტრანტებთან და ყოველმხრივ უჭერენ მათ მხარს, საკვალიფიკაციო ნაშრომზე მუშაობის პროცესში.

სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა, ძირითადად, დაცულია.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები პროგრამა 4 (ბერძნულ-რომაული ფილოლოგია, სამაგისტრო)⁸	
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	14
//სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	
მაგისტრანტების რაოდენობა	20
//დოქტორანტების რაოდენობა	
თანაფარდობა - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები/მაგისტრანტები	0.7
თანაფარდობა - სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელები/დოქტორანტები	
მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები პროგრამა 8 (რომანული ფილოლოგია, სამაგისტრო)	

⁸ საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	7
//სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	
მაგისტრანტების რაოდენობა	17
//დოქტორანტების რაოდენობა	
თანაფარდობა - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები/მაგისტრანტები	
თანაფარდობა - სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელები/დოქტორანტები	0,4

მტკიცებულებები/ინდიკატორები

კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის ხელშეკრულების ფორმა და/ან ხელმძღვანელის დანიშვნის, შეცვლის და უფლებამოვალეობების განმსაზღვრელი დოკუმენტი;
- სამაგისტრო/ სადოქტორო პროგრამაზე ხელმძღვანელისა მაგისტრანტის/დოქტორანტის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- ხელმძღვანელებისა და აქტიური სტატუსის მქონე მაგისტრანტების/დოქტორანტების თანაფარდობა;
- ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმები და შეფასების შედეგები;
- საჯარო ინფორმაცია ხელმძღვანელების კვლევითი ინტერესებისა და პუბლიკაციების შესახებ;
- სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესი
- პროგრამის განმახორციელებელთა პერსონალური მონაცემები - CV -ები
- ვიზიტისას გამართული ინტერვიუს შედეგები (ადმინისტრაციასთან, აფილირებულ და მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან)

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

შეფასება: გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 კლასიკური ფილოლოგია, ბაკალავრიატი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 ბიზანტიური ფილოლოგია, ბაკალავრიატი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 ახალი ბერძნული ფილოლოგია, ბაკალავრიატი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 ბერძნულ- რომაული ფილოლოგია, მაგისტრატურა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5-ფრანგული ფილოლოგია,ბაკალავრიატი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6-იტალიანისტიკა, ბაკალავრიატი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 - ესპანისტიკა,ბაკალავრიატი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8-რომანული ფილოლოგია, მაგისტრატურა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
--	---------------------------------	---	---	---

პროგრამა 1 (კლასიკური ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ბიზანტიური ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (ახალი ბერძნული ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (ბერძნულ-რომაული ფილოლოგია, მეორე საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ფრანგული ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (იტალიანისტიკა, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (ესპანისტიკა, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (რომანული ფილოლოგია, მეორე საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ,

გაანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

აღწერა: კლასტერში დაჯგუფებული (ბერძნულ-რომაული ფილოლოგია, რომანული ფილოლოგია) ორივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება შესაფერისი კვალიფიკაციის მქონე კომპეტენტური, გამოცდილი აკადემიური პერსონალის მიერ, რომელიც ფლობს შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს. ხელმძღვანელები და განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი შერჩეულია ცოდნის, გამოცდილების და კვალიფიკაციის შესაბამისად, საკონკურსო წესით. მათ აქვთ პროგრამით გათვალისწინებული შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია, პროგრამის პროფილის შესაბამისი აკადემიური ხარისხი, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება, რაც დასტურდება მათი CV-ებით. კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების ხელმძღვანელებს მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება გააჩნიათ. მათ აქვთ ფართო საერთაშორისო კონტაქტები და ცნობადობა პროფესიულ წრეებში, რის საფუძველზეც აქტიურად არიან ჩართული პროგრამების კურსდამთავრებულთა პროფილური შრომითი დასაქმებით უზრუნველყოფაშიც. კლასტერში შემავალი ორივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართულია იმ რაოდენობის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას აკადემიური რესურსით.

ფაკულტეტის მომსახურე ადმინისტრაციული და დამხმარე ადმინისტრაციული პერსონალი უზრუნველყოფს პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების სრულფასოვან მომსახურებას. კლასტერის საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართული აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) კვალიფიკაცია შესაბამისობაშია კანონმდებლობისა და თსუ-ში მოქმედ რეგულაციებში არსებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. პროფესორის თანამდებობაზე პირს მოეთხოვება დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და არანაკლებ 6 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილება. ყურადღება ექცევა მიმართულების შესაბამის პედაგოგიურ, სასწავლო-მეთოდურ და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილებას (პუბლიკაციები იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალებში, ციტირების ინდექსები (h და g), მოხსენებები საერთაშორისო სამეცნიერო და ადგილობრივ კონფერენციებზე ბოლო 6 წლის განმავლობაში, საგრანტო/სახელმშეკრულებო პროექტებში მონაწილეობა, თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან, სამეცნიერო კვლევების კონცეფცია და სხვ. დამატებითი საქმიანობა). ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე პირს მოეთხოვება დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და არანაკლებ 3 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილება. ყურადღება ექცევა პროფილის შესაბამის პედაგოგიურ, სასწავლო-მეთოდურ და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილებას (პუბლიკაციები იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალებში, პატენტები, ციტირების ინდექსები (h და g) მოხსენებები საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე ბოლო 6 წლის განმავლობაში, საგრანტო/სახელმშეკრულებო პროექტებში მონაწილეობა, თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან, სამეცნიერო კვლევების კონცეფცია და სხვ.). ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე პირს მოეთხოვება დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. სხვა აქტივობებთან ერთად ყურადღება ექცევა სამოტივაციო წერილს.

კლასტერის პროგრამების განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს აქვს თანამედროვე ცოდნა, მეცნიერებაში უახლესი მიღწევების შემოქმედებითი და კრიტიკული ანალიზის უნარი, ადგილობრივი და საერთაშორისო საგრანტო პროექტების შემუშავების წარმატებული გამოცდილებარაც დასტურდება მათი CV-ებით. პროგრამებში ჩართული აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა განსაზღვრება თსუ-ში მოქმედი რეგულაციებით. სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვა - პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 8 საათი; ასევე, განსაზღვრულია მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა (როგორც „ა, ასევე „ბ“ კატეგორიის აკადემიური პერსონალისთვის) დამხმარე პერსონალისათვის საკვალიფიკაციო მოთხოვნები განისაზღვრება ყოველი კონკრეტული პოზიციისათვის, სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე. სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესი განსაზღვრულია აკადემიური საბჭოს დადგენილებით. თსუ-ში მოქმედებს აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესი და პირობები, რომელთა მიზანია უნივერსიტეტსა და მის აკადემიურ პერსონალს შორის ჩამოაყალიბოს ისეთი ურთიერთსასარგებლო შრომითი-სამართლებრივი ურთიერთობები, რომელიც, ერთი მხრივ, აკადემიურ პერსონალს მისცემს საშუალებას თავისი საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობა აწარმოოს უნივერსიტეტის სახელით და, მეორე მხრივ, უნივერსიტეტს გაუჩენს ვალდებულებას, შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალურად შეუწყოს ხელი აკადემიურ პერსონალს თავისი შესაძლებლობების სრული რეალიზებისათვის.

აფილირებული პერსონალი აქტიურად არის ჩართული თსუ-ში სხვადასხვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, აქტიურად უწევს მაგისტრანტებს კონსულტაციებს სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობს მათ საკვალიფიკაციო ნაშრომებს და სხვ.

ანალიზი: კლასტერში დაჯგუფებულ პროგრამებს ახორციელებენ მაღალი კვალიფიკაციის მქონე პროფესორ-მასწავლებლები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა, ძირითადად, უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. პროგრამების ხელმძღვანელებს უდავოდ გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია არა მარტო პროგრამების შემუშავების, არამედ განხორციელების პროცესში.

აფილირებული აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფენ პროგრამის მდგრადობას, გამომდინარე პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების მცირერიცხოვნებისა, მაგრამ ადმინისტრაციამ უნდა შეიმუშაოს რეალური პოლიტიკა მაღალკვალიფიციური და კომპეტენტური მოწვეული პერსონალის შენარჩუნების მიზნით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

პროგრამა 1 (კლასიკური ფილოლოგია, საბაკალავრო)⁹				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი¹⁰	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი¹¹	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	8	8	8	8
- პროფესორი	1	1	1	1
- ასოცირებული პროფესორი	7	7	7	7
- ასისტენტ-პროფესორი	-	-	-	-
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	4	4	3	-
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	-

პროგრამა 2 (ბიზანტიური ფილოლოგია, საბაკალავრო)				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური,	პროგრამაში ჩართული	მათ შორის, დარგობრივი	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით	მათ შორის, აფილირებული

⁹ საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

¹⁰ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

¹¹ საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი	პერსონალის რაოდენობა	მიმართულებით პერსონალი	დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი	აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	5	5	5	5
- პროფესორი	2	2	2	2
- ასოცირებული პროფესორი	2	2	2	2
- ასისტენტ-პროფესორი	1	1	1	1
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	6	5	3	-
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	-

პროგრამა 3 (ახალი ბერძნული ფილოლოგია, საბაკალავრო)

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	3	3	3	3
- პროფესორი	1	1	1	1
- ასოცირებული პროფესორი	2	2	2	2
- ასისტენტ-პროფესორი	-	-	-	-
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	6	6	3	-
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	-

პროგრამა 4 (ბერძნულ-რომაული ფილოლოგია, სამაგისტრო)

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური,	პროგრამაში ჩართული	მათ შორის, დარგობრივი	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით	მათ შორის, აფილირებული
---	--------------------	-----------------------	------------------------------------	------------------------

სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი	პერსონალის რაოდენობა	მიმართულებით პერსონალი	დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი	აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	13	13	13	13
- პროფესორი	4	4	4	4
- ასოცირებული პროფესორი	7	7	7	7
- ასისტენტ-პროფესორი	1	1	1	1
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	14	13	10	1
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	-
პროგრამა 5 (ფრანგული ფილოლოგია, საბაკალავრო)				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	3	3	3	3
- პროფესორი	1	1	1	1
- ასოცირებული პროფესორი	1	1	1	1
- ასისტენტ-პროფესორი	1	1	1	1
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	5	5	4	-
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	-

პროგრამა 6 (იტალიანისტიკა, საბაკალავრო)				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი				
- პროფესორი				
- ასოცირებული პროფესორი				
- ასისტენტ-პროფესორი				
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი				
სამეცნიერო პერსონალი				

სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი			დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი	
სულ აკადემიური პერსონალი	3	3	3	3
- პროფესორი	-	-	-	-
- ასოცირებული პროფესორი	2	2	2	2
- ასისტენტ-პროფესორი	1	1	1	1
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	-	-	-	-
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	-
პროგრამა 7 (ესპანისტიკა, საბაკალავრო)				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	3	3	3	3
- პროფესორი	-	-	-	-
- ასოცირებული პროფესორი	1	1	1	1
- ასისტენტ-პროფესორი	2	2	2	2
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	4	4	3	-
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	-

პროგრამა 8 (რომანული ფილოლოგია, სამაგისტრო)				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი

სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი			დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი	
სულ აკადემიური პერსონალი	10	10	10	10
- პროფესორი	1	1	1	1
- ასოცირებული პროფესორი	5	5	5	5
- ასისტენტ-პროფესორი	3	3	3	3
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	8	8	6	1
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	-

ანალიზი - პროგრამების განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის ბოლო 5 წლის მონაცემების, წარმოდგენილი CV-ების შესწავლამ (მონოგრაფია, სახელმძღვანელო, რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული პუბლიკაციები, კონფერენციებში მონაწილეობა და სხვა აქტივობები) დაადასტურა მათი მაღალი კვალიფიკაცია, ცოდნა, გამოცდილება და კომპეტენცია, რომელიც სრულ შესაბამისობაშია საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის შეუფერხებელ განხორციელებას. აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა განსხვავებულია, პროგრამების მიხედვით, თუმცა, ძირითადად, ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში. პროგრამის განხორციელებისთვის კარგად არის გამოყენებული უნივერსიტეტის შიდა რესურსი. აკადემიური პერსონალის ყველა წარმომადგენელი აფილირებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. პროგრამის ხელმძღვანელებს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდ არიან ჩართულნი პროგრამის განხორციელებაში და მის შეფასება-განვითარებაში, სტუდენტების კონსულტირებაში და სხვადასხვა ღონისძიებებში.

სასურველია, ყურადღება მიექცეს განსაკუთრებულ შემთხვევებს, როცა ერთი აკადემიური პირი კითხულობს 10-ზე მეტ (11,13,14,15, 17 სასწავლო კურსს (მაგალითად, ახალი ბერძნული ფილოლოგიის მიმართულებით; რომანული ფილოლოგიის (ფრანგული, ესპანური, იტალიური)), რაც არ არის მიზანშეწონილი და დასაბალანსებელია, რომ აკადემიური პერსონალის დენადობის შემთხვევაში არ შეფერხდეს სასწავლო პროცესი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება და ფაკულტეტის სტრუქტურა
- სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესი https://www.tsu.ge/data/file_db/orders/118-danarti1.pdf
- აკადემიური/სამცნიერო პერსონალის პირადი მონაცემები (CV)საქმეები
- თვითშეფასების რაოდენობრივი მაჩვენებელი
- თსუ-ის აკადემიური საბჭოს დადგენილება №81/2018, 26 თებერვალი, სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ
- სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესი და პირობები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა
- ვიზიტისას გამართული ინტერვიუს შედეგები (ადმინისტრაციასთან, აფილირებულ და მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან)

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამები 3 (ახალი ბერძნული ფილოლოგია, პირველი საფეხური), რომანული ფილოლოგიის მიმართულება (პროგრამები 5-6-7-8)

სასურველია, ყურადღება მიექცეს განსაკუთრებულ შემთხვევებს, როცა ერთი აკადემიური პირი კითხულობს 10-ზე მეტ (11,13,14,15, 17 სასწავლო კურსს (მაგალითად, ახალი ბერძნული ფილოლოგიის მიმართულებით; რომანული ფილოლოგიის (ფრანგული,

ესპანური, იტალიური), რაც დასაბალანსებელია, რომ აკადემიური პერსონალის დენადობის შემთხვევაში არ შეფერხდეს სასწავლო პროცესი.

პროგრამა 7 (ესპანისტიკა, პირველი საფეხური)

- პროგრამის მოწვეულ მასწავლებლად მითითებულია მარიეტა ჩიხლაძე, რომელიც უკვე წლებია არ თანამშრომლობს თსუ-თან და, შესაბამისად, ეს ინფორმაცია გასაახლებელია.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 4.1 ადამიანური რესურსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (კლასიკური ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ზიზანტიური ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (ახალი ბერძნული ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (ბერძნულ-რომაული ფილოლოგია, მეორე საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ფრანგული ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (იტალიანისტიკა, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (ესპანისტიკა, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (რომანული ფილოლოგია, მეორე საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

აღწერა: კლასტერის სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებს ხელმძღვანელობას უწევს პროგრამების განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი, რომლებიც არიან დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, აქვთ შესაბამისი პუბლიკაციები, კვლევითი პროექტები, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, რაც დასტურდება მათი CV-ებით. პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალის კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება მაგისტრანტების ხელმძღვანელობის საჭიროებებს. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კვლევითი კომპონენტის მომზადება- წარდგენასთან, დაცვასთან და შეფასებასთან, მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესით. აღნიშნული დოკუმენტი, აგრეთვე, ფაკულტეტის დებულება განსაზღვრავს მაგისტრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელთან, მის კვალიფიკაციასა და ფუნქციებთან (აკადემიური ხარისხი, შესაბამის სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება, პუბლიკაციები, მაგისტრანტის საქმიანობის კონტროლი და სხვ.) დაკავშირებულ საკითხებს.

ანალიზი: ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტს პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით შემუშავებული აქვს სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის მოთხოვნების გამჭვირვალე საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც რელევანტურია შესაბამისი საფეხურის მოთხოვნებისა. მაგისტრანტის/დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელებს აქვთ სფეროს უახლესი ცოდნა, თანამედროვე სამეცნიერო კვლევებში მონაწილეობის გამოცდილება და სამაგისტრო/სადისერტაციო ნაშრომის თემატიკის შესატყვისი სამეცნიერო ნაშრომები. პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალის კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება მაგისტრანტების ხელმძღვანელობის მოთხოვნებს (კონფერენციები, პუბლიკაციები, სამეცნიერო გრანტები, გაცვლითი პროგრამები).

აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერის ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისგან

პროგრამა 4 (ბერძნულ-რომაული ფილოლოგია, სამაგისტრო)

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომების ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	14	14	6
- პროფესორი	4	4	4
- ასოცირებული პროფესორი	4	4	4
- ასისტენტ-პროფესორი	1	1	1
მოწვეული პერსონალი	5	5	1
სამეცნიერო პერსონალი			-

პროგრამა 8 (რომანული ფილოლოგია, სამაგისტრო)			
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომების ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	7	7	6
- პროფესორი	1	1	1
- ასოცირებული პროფესორი	3	3	3
- ასისტენტ-პროფესორი	2	2	2
მოწვეული პერსონალი	2	2	1
სამეცნიერო პერსონალი			

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პროგრამის ხელმძღვანელის, ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქციები და მოვალეობები
- სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი;
- ფაკულტეტის დებულება;
- პროგრამების აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობის მაჩვენებლები (დანართი
- ვიზიტისას გამართული ინტერვიუს შედეგები (ადმინისტრაციასთან, აფილირებულ და მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან)

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (კლასიკური ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ბიზანტიური ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (ახალი ბერძნული ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (ბერძნულ- რომაული ფილოლოგია, მეორე საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ფრანგული ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (იტალიანისტიკა, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (ესპანისტიკა, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (რომანული ფილოლოგია, მეორე საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

აღწერა: თსუ-ში შემუშავებულია პერსონალის შეფასების წესი (აკადემიური საბჭოს დადგენილება №81/2018), რომლის მიხედვითაც, ხორციელდება პერსონალის საქმიანობის სისტემატური (ყოველწლიური) მონიტორინგი, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა და შეფასება; ამ მონაცემების ანალიზის საფუძველზე იგეგმება პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებები.

გარდა ამისა, ყოველი კალენდარული წლის ბოლოს ხდება აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის ანგარიშის წარდგენა, სადაც აღიწერება სამეცნიერო პუბლიკაციები, სამეცნიერო პროექტები, კონფერენციებში მონაწილეობა და სხვა სამეცნიერო აქტივობები.

ფაკულტეტი აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ატარებს სხვადასხვა სახის სამეცნიერო აქტივობებს (სემინარებს, ტრენინგებს, კონფერენციებს), რაც ხელს უწყობს მათ პროფესიულ განვითარებას.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი აქტიურად მონაწილეობს საზღვარგარეთ გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, პროექტებში, ტრენინგებსა თუ სამუშაო შეხვედრებში.

კლასტერში გაერთიანებული აკადემიური პერსონალი გამოირჩევა ინტერნაციონალიზაციის მაღალი დონით, სისტემატურად მონაწილეობენ ინგლისურენოვან, ბერძნულენოვან, იტალიურენოვან და ფრანგულენოვან გაცვლით პროგრამებსა და პროექტებში, ევროპის უნივერსიტეტებში.

2017 წლიდან თსუ-ს წვდომა აქვს Clarivate Analytics პროდუქტზე - "Web of Science (WoS)". "Web of Science" პლატფორმაზე ფაკულტეტის სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ფუნქციონირებს სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალი, სადაც აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შეუძლია გამოაქვეყნოს სამეცნიერო ნაშრომები; ჟურნალთა ნაწილი შესულია საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებშიც („ფაზისი“ - საერთაშორისო, უცხოენოვანი, ინდექსირებულია ERIH PLUS ბაზაში, ასევე „ლოგოსი“- ადგილობრივი, ქართულენოვანი რეცენზირებადი გამოცემა, „მნიემოსინე“-სტუდენტებისთვის). შიდასაუნივერსიტეტო დაფინანსებით თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე თითოეულ სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში განხორციელდა მიზნობრივი-სამეცნიერო პროექტები, მათ შორის, სტუდენტთა ჩართულობით.

კლასტერის პროგრამების განმახორციელებელ პერსონალს არაერთგზის აქვთ მოპოვებული შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სხვადასხვა გრანტი, მათ შორის ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტები.

ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური ყოველწლიურად აანალიზებს და აფასებს სამეცნიერო პროდუქტიულობას, რაც დეტალურად მოცემულია სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ყოველწლიურ ანგარიშებში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აქტიური მონაწილეობით მუდმივად ზრუნავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარებაზე და ხელს უწყობს მათ სამეცნიერო-კვლევით აქტივობებს.

ანალიზი: სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე, ასევე აკადემიურ პერსონალთან და ადმინისტრაციასთან ინტერვიუში გამოვლინდა, რომ თსუ რეგულარულად (ყოველწლიურად) აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს, რომლის შედეგებსაც იყენებს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების ღონისძიებების გამოსავლენად და დასაგეგმად.

პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით სისტემატურად ეწყობა სხვადასხვა შინაარსის ტრენინგები, აქტივობები.

აკადემიური პერსონალის სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიზნით, ყოველმხრივ წახალისებულია საერთაშორისო ღონისძიებებსა და პროექტებში მონაწილეობა (მივლინებები, დაფინანსება მაღალრეიტინგულ საერთაშორისო გამოცემებში პუბლიკაციისთვის, კვლევითი პროექტების შიდასაუნივერსიტეტო დაფინანსება და სხვ.).

დადასტურდა აკადემიური პერსონალის, საჭიროების მიხედვით, გადამზადების პრაქტიკა, მაგალითად, ელექტრონული სწავლების ეფექტურად განხორციელების მიზნით; მუდლის პლატფორმის მექანიზმების ათვისების მიზნით და ა.შ.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- თსუ ვებ-გვერდი
- თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ყოველწლიური სამეცნიერო ანგარიშები
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV-ები
- საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი საგნის/საგნების მიხედვით
- პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ვებ-გვერდი <https://www.tsu.ge/ka/quality-assurance>
- თსუ-ს მიერ პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევისა და გამოკითხვის შედეგები
- სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები
- ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ყოველწლიური ანგარიშები: <https://www.tsu.ge/ka/faculty/188/>
- საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია
- ვიზიტისას გამართული ინტერვიუს შედეგები (ადმინისტრაციასთან, აფილირებულ და მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან)

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

